F 75/2 N 13830

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

სამშაბათი, 1 იანვარი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 1 (2347)



„კომუნისტი“ მიიღება ხელის მოწერა 1929 წლისათვის

დიდი პოლიტიკური გაზეთი საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ორგანო

1929 წ. ხელის მომწერთ დაურიგდება კ. მარქსის „კაპიტალი“ ქართულ ენაზე, ტ. I-ლი, 1000 გვ. უდაში, სახელგამის გამოცემა. თარგმნილი გერმანულიდან ქართულად—დ. ონიაშვილის მიერ.—ქართული თარგმანის პასუხისმგებელი რედაქტორი—სახ. უნივ. რექტორი—ზ. ტოროშელიძე.

გაზეთი წლიურ დ „კაპიტალი“-ს დამატებით ეღირება: შეღავათიან ხელის მომწერთათვის—15 მ. 50 კაპ.; დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის—19 მან.

დაწესებულებები და კერძო პირები 19 მანეთს იხდიან ერთდროულად, ხელის მოწერისთანავე;—შეღავათიან ხელის მომწერლებს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილ შეიტანონ ხელფასი (15 მ. 50 კაპ.) ფული შემდეგ ვადებში: ორი მანეთი ხელის მოწერისთანავე (წლიური ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ 5 თებერვლამდე), დანარჩენი კი—თვიურად მანეთნახევარი, 9 თვის განმავლობაში, თებერვლიდან დაწყებული.

ხელის მოწერა მიიღება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში, რკინისგზის კიოსკებში, „კომუნისტი“-ს გამომცემლობის კონტრაგენტებთან და გამომცემლობის მთავარ კანტორაში—რუსთაველის პ. № 24.

„კომუნისტი“ დამატების გარეშე ღირება:

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებელთათვის:		დაწესებულებების, ორგანიზაციების და კერძო პირთათვის:	
1 თვით 1 მ.—	7 თვით 6 მ. 70 კ.	1 თვით 1 მ. 30 კ.	7 თვით 8 მ. 80 კ.
2 „ 2 „—	8 „ 7 „ 65 „	2 „ 2 „ 50 „	8 „ 10 „—
3 „ 2 „ 40 „	9 „ 8 „ 60 „	3 „ 3 „ 80 „	9 „ 11 „ 30 „
4 „ 3 „ 85 „	10 „ 9 „ 55 „	4 „ 5—	10 „ 12 „ 60 „
5 „ 4 „ 30 „	11 „ [illegible]	5 „ 6 „ 25 „	11 „ 13 „ 80 „
6 „ 5 „ 75 „	12 „ 11 „ 50 „	6 „ 7 „ 55 „	12 „ 15 „—

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 4 იანვარს.

„კომუნისტი“

გრძელდება ხელისმოწერა იანვრისათვის

ოთხშაბათს 2 იანვარს კანტორა ღია იქნება

კანტორა—რუსთაველის პრ. № 24. ტელეფ. 8—81

ამხ. ლიტვინოვის ნოტა პოლონეთის მთავრობას

წინადადება თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ

„დეილი ექსპრეს“-ი მოითხოვს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენას

ამერიკა მონაწილეობას მიიღებს განიარაღების მოსამზადებელ კომისიის სესიაზე

თეთრგვარდიელ ბანდიტ ვოიცეხოვსკის მიუსაჯეს 10 წლით პატიმრობა

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება

(ვოიცეხოვსკის საქმეზე გამოტანილ განაჩენის გამო)

თეთრგვარდიელ ვოიცეხოვსკის მიერ ამხ. ლიზარევზე თავდასხმიდან თვის გასვლის შემდეგ, ბოლოს, როგორც იქნა, მოხდა ბოროტმოქმედის გასამართლება. პროცესი რამოდენიმეჯერ გადაიდო. ამასთან, ვოიცეხოვსკის ჯერ წაუყენეს ბრალდება, თითქოს ის ჩვეულებრივ მოქალაქეს დასხმოდეს თავს, შემდეგ კი უფრო მძიმე ბრალდება—თანამდებობის პირის, სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლის მოკვლის ცდა. საგულისხმოა საქმის გარჩევის დაგვიანება და ბოროტმოქმედების სხვადასხვა გვარად კვალიფიკაცია. ეს მოწმობს, რომ პოლონეთის მთავრობა მოლოდინში იმყოფებოდა, იგი მოქმედებდა იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვითარდებოდა საერთაშორისო ძალთა განწყობილება და როგორი იქნებოდა კერძოდ პოლონეთის და საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობა.

ვოიცეხოვსკის მიუსაჯეს ათი წლით დაპატიმრება. რას ნიშნავს ეს საბჭოთა კავშირის მიმართ პოლონეთის პოლიტიკის თვალსაზრისით? ჩვენ ვიცით, რომ პოლონელი იმპერიალისტები ანტისაბჭოთა ზრახვებს ატარებენ. პილსუდსკი ინგლისის და საფრანგეთის [illegible] ხელმძღვანელობით ცდილობს შექმნას მთლიანი ფრონტი ბალკანეთის ქვეყნებთან, რათა ნიადაგი მოამზადოს ჩვენზე გამოლაშქრებისათვის. ამ მიზნით მას კარგა ხანია დადებული აქვს სამხედრო ხელშეკრულება კერძოდ რუმინეთთან. ამავე დროს პოლონელ მილიტარისტებთან შეთანხმებულად „მუშაობს“ თეთრგვარდიელთა ემიგრაცია, რომელსაც ისინი იყენებენ იარაღად ანტისაბჭოთა [illegible] გამოსვლებისათვის. ამ ცოტა ხნის წინედ გამოქვეყნებული [illegible] წერილები შულგინისადმი ამ მხრივ ბევრ რამს მეტყველია.

ყველაფერ ამის შემდეგ პოლონეთის სასამართლოს ვოიცეხოვსკის შესახებ გამოაქვს ისეთი განაჩენი, რომელიც უეჭველად დათმობას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მიმართ და რომელიც მოწმობს, რომ პოლონეთის მთავრობა ამჟამად ვერ ბედავს ჩვენთან დამოკიდებულების გართულებას. რომ გავიგოთ სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილების აზრი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მთლიანი ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნა ჯერჯერობით შეუძლებელი ხდება. და ეს, ჯერ ერთი, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავების გამო (ინგლის-საფრანგეთის ანტანტის და ამერიკის ბრძოლა, გერმანიისა და ამავე ინგლის-საფრანგეთის კავშირის ურთიერთობის გართულება და სხვ.). მეორე, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი აფართოვებს და ამტკიცებს დამოკიდებულებას ბურჟუაზიულ ქვეყნებთან (შეთანხმება გერმანიასთან, საქმიანი თანამშრომლობის ზრდა ამერიკასთან და სხვ.). ამავე დროს მხედველობაშია მისაღები პოლონეთის დღევანდელი მდგომარეობა. გერმანიასთან იგი მეტად დაძაბულ დამოკიდებულებაში იმყოფება (გაიხსენეთ თუ გინდ შტრეზემან - ზალესკის შეტაკება ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სესიაზე), ამასთან, პოლონეთმა ვერ მოახერხა ამ სესიაზე თავის სასარგებლო დადგენილების გატარება ლიტვის წინააღმდეგ. ამავე დროს პოლონეთი საგარეო სესხს ეძებს ამერიკაში, მაგრამ [illegible] ამ სესხს მას არ მისცემს, თუ პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობა გართულდა. ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ პოლონეთის შინაური მდგომარეობაც არ არის მტკიცე. იგი განიცდის ეკონომიურ დეპრესიას. მუშათა და ნაციონალურ უმცირესობათა მოძრაობა, მიუხედავად რეპრესიებისა, არ არის ჩაკლული. საქმიანი წრეები, რომ არ ვილაპარაკოთ მშრომელ მასებზე, მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას. ასეთ პირობებში, თუ პოლონეთის მთავრობა ვოიცეხოვსკის საქმეში მოსკოვის მიმართ მტრულ პოზიციას დაიკავებდა, [illegible] იგი უფრო გაზრდიდა შინ უკმაყოფილებას.

მოასწავებს თუ არა ვოიცეხოვსკის საქმეზე გამოტანილი განაჩენი პოლონეთის მთავრობის პოლიტიკის შეცვლას საბჭოთა კავშირის მიმართ? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გასაცემად, რა თქმა უნდა, საჭიროა გაცილებით უფრო დამაჯერებელი არგუმენტები და ფაქტები. საგულისხმოა, რომ სასამართლო და სახელმწიფო ბრალმდებელი იმ ვერსიას იცავდენ, რომ ვოიცეხოვსკის ბოროტმოქმედება მხოლოდ მისი ინდივიდუალური აქტია და რომ მას თითქო „არავითარი კავშირი არ აქვს ტერორისტულ ორგანიზაციებთან, რომელთა არსებობა გაბათილებულია გამოძიებით“ (ბრალმდებლის განცხადებიდან). ეს, ცხადია, სინამდვილეს არ შეეფერება. აქ ჩვენ ვხედავთ პოლონელ ხელისუფლების ამაო ცდას ემიგრაციის მოხსნას პასუხისმგებლობა საბჭოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ მოწყობილ ტერორისტულ აქტებისათვის. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული განაჩენი თავის თავად ლახვარის ჩაცემაა ემიგრაციისათვის.

პოლონეთის მთავრობა, უდავოა, სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოიყენებს, როგორც იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ მას სურს საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის დამყარება. მაგრამ ეს საბუთი ამისათვის ოდნავადაც არ არის საკმარისი ყველაფერ იმის შემდეგ, რაც ჩვენ ვიცით ვარშავის მთავრობის ანტისაბჭოთა მოქმედების შესახებ. თუ სასამართლოს გადაწყვეტილება ვოიცეხოვსკის საქმეზე არ არის პილსუდსკის მთავრობის მანევრი თავის ანტისაბჭოთა ცდების დასაფარავად, თუ ის არ არის ეხლანდელ საერთაშორისო ძალთა განწყობილებით გამოწვეული იძულებითი ნაბიჯი, თუ პოლონეთის მესვეურთ მართლა სურთ ჩვენთან ნორმალურ ურთიერთობის ჩამოგდება, — მათ, ვიმეორებთ, უნდა მოგვცენ უფრო ძლიერი საბუთები — ემიგრაციის ანტისაბჭოთა გამოსვლების სრული ალკვეთით და საბჭოთა კავშირთან ნამდვილად მეზობლურ დამოკიდებულების აღდგენით. პოლონეთის მმართველთა ნამდვილ განზრახვებს ამ მხრივ კერძოდ დაგვანახვებს ის გამოხმაურება, რომელსაც მათში იპოვის ამხ. ლიტვინოვის დღევანდელი ნოტა პოლონეთ-საბჭოთა კავშირ შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ.

ამხ. ლიტვინოვის ნოტა პატეკს

მოსკოვი, 31 დეკემბერი. 29 დეკემბერს ამხ. ლიტვინოვმა მიიღო პოლონეთის მოსკოველი ელჩი პატეკი და გადასცა მას ნოტა, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„საყოველთაო განიარაღება ყველაზე ნამდვილ გარანტიად მიმაჩნია მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის. ამასთან ერთად საკავშირო მთავრობა თავდაუსხმელობის ხელშეკრულებებს თვლის სერიოზულ ფაქტორად, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს სამხედრო შეტაკებების აცდენას სახელმწიფოებს შორის. საკავშირო მთავრობა იძულებულია აღნიშნოს, რომ თუმცა პოლონეთის მთავრობასთან რამდენიმე წლის წინად დაიწყო მოლაპარაკება ასეთი ხელშეკრულების დასადებად, მაგრამ ამ მოლაპარაკებამ წინ ვერ წაიწია, მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო მთავრობა უაღრესად სერიოზულად ცდილობდა შეთანხმების მიღწევას“.

ნოტა ეხება კელოგის პაქტს, საკავშირო მთავრობის დამოკიდებულებას მისდამი და აღნიშნავს, რომ პარიზის ხელშეკრულება (კელოგის პაქტი), მე-3 მუხლის თანახმად, ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, როცა მის რატიფიკაციას მოახდენს განსაზღვრული 14 სახელმწიფო. პაქტის ხელის მოწერის დღიდან 4 თვე გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ამ 14 სახელმწიფოდან არც ერთს არ მოუხდენია რატიფიკაცია. ეს გარემოება შიშს იწვევს, რომ ჯერ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ხელშეკრულება შეიძლება დარჩეს ისეთ დოკუმენტად, რომელიც ფორმალურად არავისთვის სავალდებულო არ იქნება, საკავშირო მთავრობა ითვალისწინებს, რომ მშვიდობიანობის უზრუნველყოფა აღმოსავლეთ ევროპაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეა, რომ საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე დასავლეთ სახელმწიფოებიდან პარიზის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა პოლონეთმა; ამიტომ საკავშირო მთავრობამ გადასწყვიტა, წინადადებით მიმართოს პოლონეთის მთავრობას, რომ ხელი მოაწეროს მასთან დართულ ოქმს, რომლის თანახმადაც პარიზის ხელშეკრულება ომის უარყოფის შესახებ დაუყოვნებლივ ძალაში შევა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის მას შემდეგ, რაც მის რატიფიკაციას მოახდენს ორივე სახელმწიფო, ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობების მიუხედავად.

აღნიშნულ ოქმზე ხელის მოწერით პოლონეთის მთავრობა, რასაკვირველია, მორალურ ვალდებულებას იკისრებს, რომ შემოღებულის წესით მოახდინოს როგორც პარიზის ხელშეკრულების, ისე თვით ოქმის ერთდროული რატიფიკაცია. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ცაკის პრეზიდიუმმა უკვე მოახდინა რატიფიკაცია და, ამრიგად, საბჭოთა კავშირი შეუერთდა პარიზის ხელშეკრულებას. ნოტა აღნიშნავს, რომ საკავშირო მთავრობა ამით უკან არ მიაქვს თავისი წინადადება პოლონეთის მთავრობისადმი თავდაუსხმელობის პაქტის შესახებ, რომლის დადება მომავალში კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის რესპუბლიკის კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

საკავშირო მთავრობა ამასთან ერთად უცხადებს პოლონეთის მთავრობას, რომ ანალოგიურ წინადადებას იგი აძლევს ლიტვის რესპუბლიკას, როგორც ბალტიის მხარის ერთად ერთ ქვეყანას, რომელიც უკვე შეუერთდა პარიზის ხელშეკრულებას. ომის უარყოფის ხელშეკრულება, რომელიც 1928 წლის 27 აგვისტოს დაიდო პარიზში, საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის ძალაში შევა იმ დღიდან, როცა მას დაამტკიცებენ საბჭოთა კავშირის და პოლონეთის სათანადო საკანონმდებლო ორგანოები.

ეს ოქმი დამტკიცებულ უნდა იქნას საბჭოთა კავშირის და პოლონეთის სათანადო საკანონმდებლო ორგანოების მიერ მათი კონსტიტუციების მიხედვით.

როცა ოქმი ძალაში შევა და მოხდება პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხელშეკრულების დამდები მხარეები ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებენ დიპლომატიური გზით მეორე მხარეს.

ეს ოქმი გამოქვეყნებულია იმ მიზნით, რომ მას შეუერთდნენ ყველა ქვეყნის მთავრობები.

როცა ოქმს შეუერთდება რომელიმე მხარე და ქვეყანა და პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდება მისი საკანონმდებლო ორგანოების მიერ, ამ ქვეყნის მთავრობამ დიპლომატიური გზით დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ იმ მთავრობას, რომელიც ნოტას უგზავნის ზემოაღნიშნულის შესახებ ამ ოქმის ყველა დანარჩენ მონაწილეს.

პარიზის ხელშეკრულების (რომელიც შეეხება ამ ოქმის მონაწილეთა ურთიერთობას) ძალაში შესვლა, რომელიც გათვალისწინებულია ამ ოქმით, დამტკიცებულ იქნება 1928 წლის პარიზის ხელშეკრულების ძალაში შესვლის მიუხედავად, როგორც ეს განსაზღვრულია აღნიშნული ხელშეკრულების მესამე მუხლით.

იმავე დღეს ანალოგიური წინადადება მიეცა ლიტვის მთავრობას ლიტვის ელჩის ბალტრუშაიტისის საშუალებით. ამ წინადადებათა შესახებ ამხ. ლიტვინოვმა საფრანგეთის ელჩის ჰერბეტის საშუალებით აცნობა საფრანგეთის მთავრობას, რომელიც შუამავალია საბჭოთა კავშირსა და ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს შორის კელოგის პაქტისადმი საბჭოთა კავშირის შეერთების საქმეში. ამხ. ლიტვინოვმა ამ წინადადებათა შესახებ საფრანგეთის მთავრობის საშუალებით აცნობა აგრეთვე ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობას.

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

„დეილი ექსპრეს“-ი დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენას.

ლონდონი, 30 დეკემბერი. ზოგიერთი კონსერვატიული გაზეთი „დეილი ექსპრეს“-ი მეთაურ წერილში დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენას. გაზეთი იგონებს ჩინეთთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებას, თუმცა ინგლისი ჩინეთთან ნახევრად საომარ განწყობილებაში იყო.

„თუ ჩვენ,—სწერს გაზეთი,—ერთ შემთხვევაში ასე სწრაფად შევძელით დავიწყებას მივცეთ წარსული, რატომ არ უნდა მოვიქცეთ ასევე მეორე შემთხვევაში“. (ადს).

ვოიცეხოვსკის პროცესი

ვარშავა, 30 დეკემბერი. 29 დეკემბერს 5 საათზე დასრულდა სასამართლოში ვოიცეხოვსკის საქმის გამოძიება. განაჩენის გამოტანას მოელიან კვირა საღამოს.

დამცველების მოწმეებმა ემიგრანტთა წრეებიდან, თითქოს სხვისი ბრძანებით, ვოიცეხოვსკი საუცხოვოდ დაახასიათეს. აქებდნენ მას იდეალიზმისა და პატრიოტიზმისათვის.

დიდის ინტერესით მოელოდნენ პოლიტიკური პოლიციის უფროსის თანაშემწის შიმბორსკის ჩვენებას. მოწმემ განაცხადა, რომ პოლიტიკურმა პოლიციამ დიდი ყურადღება მიაქცია ვოიცეხოვსკის საქმეს.

„გამოძიებამ ცხადჰყო,—სთქვა მოწმემ,—რომ პოლონეთში არ არსებობს არავითარი ტერორისტული ორგანიზაცია ემიგრანტებისა“.

შიმბორსკიმ დაადასტურა, რომ ვოიცეხოვსკის განზრახული ჰქონდა თავდასხმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილეზე პოლონეთში—კოციუბინსკიზე, მაგრამ ხელი აიღო ამ განზრახვაზე, რადგან ვერ მოახერხა წარმომადგენლობის შენობაში შესვლა.

სასამართლოში გამოძიების დამთავრების წინ თავმჯდომარემ რამდენიმე კითხვა მისცა ბრალდებულს.

ვოიცეხოვსკიმ განაცხადა, რომ ვარშავაში ის ჩავიდა კოციუბინსკის მოსაკლავად. ვარშავაში ჩასვლისას ის გაემართა რუსთა კომიტეტისაკენ, შემდეგ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობისაკენ. ამ შენობასთან ვოიცეხოვსკიმ შენიშნა ღია ავტომობილი, რომელშიაც იჯდა ორი უცნობი. მათ წითელ ვარსკვლავიანი სამხედრო ქუდები ეხურათ (აშკარაა, ლაპარაკია საბჭოთა სამხედრო ატაშესა და მისი მდივნის შესახებ). ვილჩია ქუჩაზე, სადაც თავდასხმა მოხდა, თავდასხმის დღეს ვოიცეხოვსკი ორჯერ იყო. პირველად შენიშნა, რომ ჩაიარა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ავტომობილმა, რომლის ნომერი მან „ყოველ შემთხვევისათვის“ ჩაიწერა.

პროკურორი შეეკითხა ვოიცეხოვსკის, რად მივიდა მეორედ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობასთან, თუ კი ხელი აიღო კოციუბინსკის მოკვლის განზრახვაზე.

ვოიცეხოვსკიმ უპასუხა, რომ მას ეგონა კვლავ შეხვდებოდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილ პირებს, რომელთაც იგი „ძალიან დააინტერესეს“ (ადს).

ვარშავა, 30 დეკემბერი. პროცესის დროს მთლად ჩაიშალა პრესის მიერ დიდის შრომით შექმნილი ვერსია იმის შესახებ, თითქოს ვოიცეხოვსკის თავდასხმა წინასწარ არ ყოფილა მომზადებული, თითქოს თავდასხმა ინდივიდუალურ აქტს წარმოადგენდა. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ლიზარევზე თავდასხმა მოხდა მაშინ, როდესაც იგი ბრუნდებოდა სრულუფლებიანი წარმომადგენლობიდან და არა სავაჭრო წარმომადგენლობიდან, რომელიც შორე ქუჩაზეა მოთავსებული. სასამართლოს გამოძიებამ ცხადჰყო, რომ თავდასხმა წინასწარ იყო მომზადებული, და რომ ვოიცეხოვსკის თანამონაწილენი ჰყავდა. (ადს.).

ვარშავა, 30 დეკემბერი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„პროკურორმა თავის სიტყვაში სთქვა შემდეგი: მეორედ ხდება, რომ რუსმა, რომელიც თავშესაფარის უფლებით სარგებლობს პოლონეთში, მოკვლა განიზრახა საბჭოთა წარმომადგენლისა, რომლის პირადი ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილია. თავდასხმა ლიზარევზე მით უფრო სამძიმოა, რომ ვოიკოვის მოკვლის შემდეგ პოლონეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ენერგიულად შეებრძოლება ამგვარ ბოროტმოქმედებას.

პროკურორმა შემდეგ აღნიშნა, რომ ვოიცეხოვსკიმ ესროლა ლიზარევს იმ განზრახვით, რომ მოეკლა იგი, როგორც საბჭოთა წარმომადგენლობის წევრი. ამავე დროს პროკურორმა განაცხადა, რომ თავდასხმა ერთი კაცის მოქმედების ნაყოფი იყო; მას არავითარი კავშირი არა აქვს ტერორისტულ ორგანიზაციებთან, რომელთა არსებობაც არ დამტკიცდა გამოძიებით. პროკურორმა ხაზი გაუსვა ლიზარევის ოფიციალურ მდგომარეობას და განაცხადა, რომ ვოიცეხოვსკის ბოროტმოქმედება მძიმეა და ამიტომ მკაცრად უნდა დაისაჯოს.

ბრალდებულის დამცველი ამტკიცებდა, რომ ლიზარევი არ სარგებლობდა დიპლომატიური ხელშეუხებლობით და რომ პოლონეთის სახელმწიფოს ინტერესები არ დარღვეულა. დამცველი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ლიზარევი არ იყო ოფიციალური პირი, არ სარგებლობდა დიპლომატიური ხელშეუხებლობით, მაშასადამე თავდასხმა არ იყო მძიმე ბოროტმოქმედება და პოლონეთის სახელმწიფოს ინტერესები არ შელახულა. ამგვარად, ვოიცეხოვსკის პროცესი, დამცველის აზრით, არის არა პოლიტიკური პროცესი, არამედ ადამიანის, სულის ტრაგედია. დამცველმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ვოიცეხოვსკიმ თავდასხმა ჩაიდინა ნერვიული გაღიზიანების მდგომარეობაში, რაიც გამოწვეული იყო იმით, რომ მას მოაგონდა მამა, რომელიც ბოლშევიკებმა დახვრიტეს. დამცველმა მოითხოვა მსუბუქი სასჯელი“. (ადს.).

განაჩენი

ვარშავა, 30 დეკემბერი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ [illegible] ინსტანციის სასამართლომ ვოიცეხოვსკის მიუსაჯა ათი წლით პატიმრობა წინასწარ პატიმრობის ჩათვლით. (ადს.)

გერმანიის კომპარტიის ათი წლის თავი

ბერლინი, 30 დეკემბერი. გერმანიის კომპარტიის დაარსებიდან ათი წლის შესრულების გამო, ც. კ.-მა გამოაქვეყნა მოწოდება პარტიის წევრებისა და გერმანიის მთელ მუშათა კლასისადმი. მოწოდებაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„გერმანიის კომპარტიის ათი წლის ისტორია არის ბურჟუაზიული და რეფორმისტული მოღალატეების წინააღმდეგ განუწყვეტელი შეურიგებელი ბრძოლის ისტორია. თუ პროლეტარიატს უნდა გაიმარჯვოს, სოციალ-დემოკრატიის გავლენა უნდა მოისპოს და სოციალ-დემოკრატიული პარტია საბოლოოდ დამარცხდეს. თავისი ათი წლის თავზე გერმანიის კომპარტია უსაზღვრო ნდობით და ამაყი სოლიდარობით შეჰყურებს კომინტერნს და საკავშირო კომპარტიას (ბ), როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესების გამომხატველს. მოსალოდნელია ახალი იმპერიალისტური ომები. ამ ომებში გერმანიის მასებს უნდა უხელმძღვანელონ მხოლოდ გერმანიის კომპარტიამ და კომინტერნმა“.

დასასრულ, ცეკა მოუწოდებს მუშათა მასებს, შევიდნენ პარტიაში და დაიცვან საბჭოთა კავშირი, როგორც ყველა მშრომელის სამშობლო.

ბერლინი, 30 დეკემბერი. გერმანიის კომპარტიის ათი წლის თავის გამო პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „როტე ფანე“-მ დიდი სპეციალური ნომერი გამოუშვა. კვირას ბერლინში შესდგება კომპარტიის დიდი საიუბილეო მანიფესტაცია. ასეთივე მანიფესტაციები გაიმართება გერმანიის სხვა ქალაქებშიაც (ადს).

კელოგი თავისი პაქტის შესახებ

ვაშინგტონი, 30 დეკემბერი. გამოქვეყნებულ იქნა კელოგის განცხადება, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე. კელოგის აზრით, ომის აკრძალვის პაქტი თავის თავად ცხადია და მისთვის საჭირო არ არის შენიშვნები. კონგრესის მხრივ პაქტის რატიფიკაცია არ ნიშნავს საბჭოთა კავშირის ცნობასო.

„ისე რომ ჩვენ შევუერთდებით მრავალმხრივ ხელშეკრულებას,—განაცხადა კელოგმა,—არ ნიშნავს ამ ქვეყნის ცნობას. ჩვენ გვაქვს ოთხი მრავალმხრივი ხელშეკრულება, რომელშიაც რუსეთიც იღებს მონაწილეობას, მაგრამ არავის არასოდეს არ დაუწყია იმის მტკიცება, თითქოს რომელიმე ამ ხელშეკრულებათაგანი რუსეთის რეჟიმის ცნობას ნიშნავდეს“. (ადს)

შვეიცარიის კომპარტიის ცეკას პლენუმი

ბერლინი, 30 დეკემბერი. შვეიცარიიდან მიღებული ცნობით, შვეიცარიის კომპარტიის ცეკას პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში შესდგა, განიხილა საშინაო და საგარეო მდგომარეობის სხვადასხვა საკითხი. პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს კომინტერნის კონგრესის გადაწყვეტილებებს.

რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ყველაზე უფრო სერიოზული საფრთხე ამჟამად არის მემარჯვენე საფრთხე და მოუწოდებს კომპარტიის წევრებს — ენერგიული ბრძოლა აწარმოონ ამ საფრთხის წინააღმდეგ. რეზოლიუცია გმობს მემარჯვენე ჯგუფის ფრაქციულ გამოსვლას გერმანიის კომპარტიაში (ადს).

გომინდანის დროშა მანჯურიაში

ხარბინი, 30 დეკემბერი. ხარბინში და ყველგან მანჯურიაში აღმართულია გომინდანის ეროვნული დროშა. ძველი დროშის ჩამოღება მთავრობის ყველა შენობიდან და ახალი დროშის აღმართვა მზადდებოდა საიდუმლოდ. ეროვნული დროშის აღმართვა ყველგან ერთდროულად მოხდა.

იაპონური გაზეთის „ხარბინ ნიჩი ნიჩი“-ს ცნობით ეროვნული დროშის აღმართვა მანჯურიაში მოხდა მას შემდეგ, როცა მუკდენის მთავრობამ წინასწარ მიიღო თანხმობა იაპონიისაგან (ადს).

მანჯურიის ბელადების ცირკულიარი

პეკინი, 30 დეკემბერი. ჩან სიუეილიანი და მანჯურიის სხვა ბელადები ტელეგრაფით ავრცელებენ ცირკულიარს, რომელშიაც აცხადებენ, რომ მათ გადასწყვიტეს — იცნონ ეროვნული მთავრობის ხელისუფლება. ამის დასამტკიცებლად მუკდენში აღმართულია გომინდანის დროშა (ადს).

წინასწარი ცენზურა

ხარბინი, 30 დეკემბერი. ხარბინში შემოღებულ იქნა წინასწარი ცენზურა—რუსული გაზეთების იმ დეპეშებისა და ცნობებისათვის, რომლებიც ჩინეთს ეხებიან. ცენზორებად მეტწილად თეთრგვარდიელები არიან.

13 კომუნისტის დაპატიმრება

ხარბინი, 30 დეკემბერი. მუკდენის იაპონური გაზეთები იუწყებიან, რომ ჩინეთის პოლიციამ „მუკდენში დააპატიმრა 13 კომუნისტი, რომლებსაც კრება ჰქონდათ გამართული“ (ადს).

აჯანყება ავღანისტანში

მეამბოხენი აქტიურობას არ იჩენენ

ქაბული 30 დეკემბერი. ქაბულის რაიონში, ჩარიკერის მიმართულებით, აჯანყებულნი 18 ვერსით არიან დაშორებულნი ქაბულს. ისინი არავითარ აქტივობას არ იჩენენ. მთავრობის ჯარს უჭირავს ხაირხანის უღელტეხილი ჩარიკარის გზაზე, აგრეთვე მაღლობები, რომლებიც ქაბულის ველს ჩარიკარისგან ჰყოფენ. ჯალალაბადის მიმართულებით არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ქაბულში ჩამოვიდნენ მაზარის და შერიფის ჯარები. ჯარები ქალაქში შევიდნენ მუსიკით და გაშლილი დროშებით (ადს).

ხმები პუანკარეს გადადგომის შესახებ

პარიზი, 30 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„მცირე უთანხმოებამ კაბინეტში (დეპუტატებისათვის ჯამაგირის გადიდების საკითხის ირგვლივ) გამოიწვიეს ხმები ამ ახლო ხანში პუანკარეს გადადგომის შესახებ. მაგრამ ამ განცხადებათა თანახმად, რომლებიც პრემიერმა გააკეთა დეპუტატთა პალატისა და სენატის კულუარებში, იგი სრულებითაც არ ფიქრობს გადადგომაზე, პირიქით, დეპუტატთა პალატაში შეიტანს წინადადებას, რომ 10 იანვრის სხდომაზე გაიხსნას კამათი მთავრობის საერთო პოლიტიკის ირგვლივ“ (ადს).

გემ „სიპინგაი“-ს დაკავების გამო

[illegible], 30 დეკემბერი. ჩინური პრესა აღნიშნავს, რომ ამ დღეებში დაკავებულ გემზე „სიპინგაი“-ზე (ეს გემი დაქირავებული ჰქონდა საბჭოთა - სავაჭრო ფლოტს ვლადივოსტოკსა და შანხაის შუა რეგულიარული რეისისათვის), არ აღმოუჩენიათ არავითარი უკანონო ან ნებადაურთავი რამ. ჩინური პრესის აზრით, გემის 30 რუსი მგზავრს, რომლებიც დააპატიმრეს, ალბად, ამ დღეებში განთავისუფლებენ. რაც შეეხება გემის კაპიტანს ორლოვსკის, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ნანკინს სთხოვა ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ მოექცეს მას (ადს).

რუმინეთი იარაღდება

სტამბოლი, 30 დეკემბერი. გაზეთ „აქშამ“-ის ცნობით, იტალიაში რუმინეთისათვის აშენებენ ორ კონტრნაღმოსანს, ერთ წყალქვეშა ნავს და ავიომატარებელს. ერთი კონტრნაღმოსანი უკვე მზადაა. რუმინეთს სულ 4 კონტრნაღმოსანი აქვს (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საიმპორტო მოწყობილობა გამოუყენებელი რჩება

ამიერ-კავკ. რკ.-გზებზე უცხოეთის მანქანები გამოყენებულია მხოლოდ 40 პროცენტით

მოსკოვი, 28 დეკემბერი. ვინაიდან უცხოეთიდან შემოტანილ ტექნიკურ მოწყობილობაზე სახელმწიფო ხარჯავს მეტად მნიშვნელოვან თანხას და ამავე დროს იყო ცნობები, რომ საიმპორტო მანქანა-იარაღების გამოყენების საქმე არ არის დაყენებული მიზანშეწონილად, საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეისწავლა ეს საკითხი და გამოარკვია შემდეგი:

მთელი რიგი საწარმოები არ იყენებს რაციონალურად საზღვარ-გარეთიდან შემოზიდულ ტექნიკურ მოწყობილობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ მდგომარეობა ტრანსპორტზე, კერძოდ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მხოლოდ 40 პროცენტით არის გამოყენებული უცხოეთის მანქანა იარაღები.

ასეთი მდგომარეობა უმთავრესად აიხსნება იმით, რომ სუსტად მუშაობენ იარაღების მიმწოდებელი ცენტრალ. ორგანოები. არის შემთხვევები, როცა ადგილებზე იგზავნება სრულიად გამოუსადეგარი მანქანა-იარაღები. რკინის გზების სამმართველოებს არა ერთხელ აღუძრავთ საჩივარი ამის შესახებ, მაგრამ მდგომარეობა მაინც უცვლელი რჩებოდა.

ამას გარდა უცხოეთის მანქანების არარაციონალურად გამოყენება გამოწვეულია აღნიშნულ მანქანათა შესყიდვის საქმის მოუწესრიგებლად. მანქანებს უცხოეთის ბაზარზე იძენენ ნაუცფათევად, მხედველობაში არ ღებულობენ ადგილობრივ რეალურ და გადაუდებელ მოთხოვნილებებს ტექნიკურ მოწყობილებაზე.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა, რომ მომავალში მანქანების უცხოეთის ბაზარზე შეძენამდე, საკითხი ყოველ ცალკე შემთხვევაში დამუშავდეს ადგილობრივად.

ღონისძიებები მარცვლეულის კულტურის განვითარებისათვის

მოსკოვი, 31 დეკემბერი. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა მარცვლეული კულტურის კონტრაქტაციის გეგმა 1929 წლისათვის. აღნიშნული გეგმის თანახმად, კონტრაქტაცია უნდა შეეხოს 5.500.000 ჰექტარ ნათესებს, აქედან ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში კონტრაქტაცია უნდა გავრცელდეს 25.000 ჰექტარ ნათესებზე.

ავანსის ნორმათ თითო ჰექტარ ბრინჯის ნათესზე ნავარაუდევია 50 მანეთი. ეს თანხა შეიძლება გადიდებულ იქნეს ადგილობრივ ორგანოების მიერ იმის მიხედვით, თუ როგორია მთესავის სოციალური მდგომარეობა.

მოსკოვის პრესა საქართველოს კინომრეწველობის სურათ — „ბორა“-ს შესახებ

მოსკოვი, 31 დეკემბერი. მოსკოვის დღევანდელ მთელ რიგ გაზეთებში მოთავსებულია რეცენზია საქართველოს კინომრეწველობის სურათ — „ბორა“-ს შესახებ, რომელიც დადგმულია კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით.

რეცენზიების საერთო აზრი სურათის შესახებ უარყოფითია. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მარჯანიშვილმა ვერ მისცა სურათს ღრმა ანტირელიგიური ხასიათი, რაიც ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იყო. სურათი დასცურავს მოვლენათა ზედაპირზე. ამასთან ერთად გაუგებარია, თუ რომელი დროა გამოყვანილი ფილმში. „ბორა“ რეცენზენტების სიტყვით, უნდა შეტანილ იქნას საქართველოს კინომრეწველობის პასივში.

ახალი გამომცემლობა „აკადემია“

მოსკოვი, 31 დეკემბერი. რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მიიღო დადგენილება ახალი გამომცემლობის დაარსების შესახებ. გამომცემლობას ეწოდება „აკადემია“. განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად, აღნიშნული ახალი გამომცემლობა უნდა გადაიქცეს ლიტერატურის გამომცემელ ცენტრად ხელოვნების ყველა დარგისათვის.

შეუდგეთ მუშაობას

ცაკის სესიის მიერ დამტკიცებულ კანონს მოსავლიანობის გადიდებისათვის მისაღებ ღონისძიებათა შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მუშაობის თვალსაზრისით, რომელსაც ჩვენ სოფლად ვაწარმოებთ. ეს კანონი სახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაც საჭიროა ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობის განვითარებისათვის. ეს დეკრეტი ერთმანეთთან აკავშირებს ორ ამოცანას: ერთია სოფლის მეურნეობის გენერალური რეკონსტრუქცია, ურომლისოდაც შეუძლებელია სოფლის მეურნეობის გადაყვანა კულტურის უმაღლეს საფეხურზე, ხოლო მეორე—საბჭოთა ხელისუფლების ყოველდღიური მუშაობა წვრილ მეურნეობათა განვითარებისათვის, ამრიგად, ეს დეკრეტი პირდაპირ გამომდინარეობს მე-15 პარტყრილობის და ცეკას უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებებიდან.

ეს დეკრეტი უდიდეს მოთხოვნილებებს უყენებს ჩვენ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს. ამ დეკრეტის თვალსაზრისით ყოველმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციამ უნდა შეამოწმოს ყველა იმ ორგანოს მუშაობა, რომელიც ამა თუ იმ სახით ემსახურება სოფელს. არ არსებობს თითქმის არც ერთი ისეთი ორგანო, რომელსაც, თუ იგი ოდნავ არის დაკავშირებული სოფელთან, პრაქტიკულად არ ეხებოდეს მოსავლიანობის საკითხი. ამიტომაც არ შეიძლება არსებობდეს არც ერთი ისეთი ორგანო, რომელმაც ესა თუ ის პრაქტიკული დასკვნები არ გამოიყვანოს ამ დეკრეტიდან.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსგან დეკრეტი მოითხოვს ისე გადასინჯოს სოფლის საჭიროებათა დამაკმაყოფილებელი მრეწველობის განვითარების გეგმა, რომ ამით უზრუნველყოფილ იქნას მოსავლიანობის ნამდვილი გადიდება 30—35 პროცენტით მაინც ხუთი წლის დამლევს. რაოდენობის მხრივ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სასუქის წარმოების დარგში ს.მ.უ. საბჭომ ასეთი გადასინჯვა უკვე ჩაატარა უკანასკნელ კვირეებში. 1928 წლის ზაფხულში ნავარაუდევი იყო, რომ ხუთწლედის დამლევისთვის უნდა დამზადებულიყო 300—350 მილიონ მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ამის ნაცვლად ეხლა განზრახულია სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება ხუთი წლის დამლევისთვის გადიდებულ იქნას 600 მილიონ მანეთზე მეტით, მინერალური სასუქის წარმოება კი შვიდ მილიონ ტონამდე. ხოლო მანქანების ღირსების თვალსაზრისით მუშაობა არსებითად მხოლოდ ეხლა იწყება. მაშინ, როდესაც დეკრეტი მოითხოვს არა მარტო იმას, რომ ჩვენმა მრეწველობამ გაადიდოს მის მიერ დამზადებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების რიცხვი, არამედ იმასაც, რომ სასტიკად გადაისინჯოს ამ მანქანების ასორტიმენტი რათა ჩვენს ქვეყანაში გამოყენებულ იქნან ევროპისა და ამერიკის ტექნიკის უმაღლესი მიღწევანი. ამ მხრივ ს.მ.უ. საბჭომ რაც შეიძლება მალე უნდა გამოიყვანოს დასკვნები დეკრეტიდან. იგივე უნდა ითქვას მავნებლებთან ბრძოლის საქმის შესახებ. მავნებლებთან საბრძოლველ საშუალებათა წარმოების არსებული გეგმები მეტად უმნიშვნელოა, დეკრეტი კი მოითხოვს, რომ სოფლის მეურნეობა ორ-სამი წლის განმავლობაში სავსებით მომარაგებულ იქნას მავნებლებთან საბრძოლველად საჭირო ყველა საშუალებით.

ამასთან შედარებით დეკრეტი აკისრებს ს. მ. უ. საბჭოს—დაუყოვნებლივ გადასინჯოს მავნებლებთან საბრძოლველ საშუალებათა წარმოების არსებული გეგმა და სავსებით შეუთანხმოს იგი სესიის მიერ მიღებული კანონის დედა-აზრს.

სადგილ-მამულო ორგანოებისაგან დეკრეტი მოითხოვს ისე გადასინჯონ თავიანთი მუშაობა და შემოიღონ სოფლის მეურნეობისათვის გადადებული სახსრების გამოყენების ისეთი წესი, რომ ამან უზრუნველჰყოს მცირე ხნის განმავლობაში ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომელნიც მოგვცემენ მაქსიმალურ ეფექტს ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობის განვითარების საქმეში. მაქსიმალურად აღრიცხულ იქნან გვალვიან რაიონებში მუშაობის შედეგები, რათა სახსრების ძირითადი მასა მოხმარდეს ცუდი ჯიშის თესლის წმინდა ხარისხის თესლით შეცვლას, თესლის გაწმენდას, მავნებლებთან ბრძოლას, მიწის მოწყობის უთავესი ფორმების განხორციელებას და სხვ.

ამ თვალსაზრისით საჭიროა, რომ ყოველგვარმა კონფერენციამ მოსავლიანობის შესახებ და მოსავლიანობის გადიდების ხელშემწყობმა კომიტეტებმა იმუშაონ იმ ამოცანების თანახმად, რომლებსაც გვისახავს დეკრეტი. დეკრეტი ბოლოს უღებს ყოველგვარ ლაპარაკს „საერთოდ“ მოსავლიანობის შესახებ.

იგი გვისახავს მოსავლიანობის გადიდების პრაქტიკულ საშუალებებს. მოსავლიანობის გადიდების ხელშემწყობი კომიტეტები, კონფერენციები და სადგილმამულო ორგანოები [illegible], რომ დეკრეტის ყოველი პუნქტი გადაიქციონ მოქმედების პრაქტიკულ პროგრამად.

ჩვენ აღვნიშნავთ შემდეგი ამოცანების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომლებსაც დეკრეტი სადგილმამულო ორგანოებს უსახავს: 1) არაჯიშიანი თესლის შეცვლა ხარისხოვანი თესლით; 2) თესლის საყოველთაო წმენდისა და დახარისხების შემოღება; 3) [illegible] პუნქტების ქსელისა და სარემონტო სახელოსნოების მუშაობის გაფართოვება; 4) ბრძოლის გაძლიერება მავნე მწერებთან; 5) მიწათმოწყობის მუშაობის დაჩქარება და მიწათსარგებლობის ძირითად ნაკლთა სწრაფად მოსპობა, სახელდობრ, მოსპობა [illegible] წვრილ [illegible] და მიწათმოქმედების სხვა უმარტივესი წესებისა; 6) კონტრაქტაციის დაკავშირება აგრიკულტურულ ამოცანებთან რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ კონტრაქტაციის [illegible] 300 მილ. მანეთი, რომლის [illegible] ნაწილი ხვდება გლეხურ მეურნეობის ინდივიდუალურ სექტორის ღარიბ და საშუალო გლეხობის ხაზით; 7) აგროპროპაგანდისტული მუშაობის განვითარება.

ეს საკითხები სადგილ-მამულო ორგანოებმა, მოსავლიანობის კომიტეტებმა და კონფერენციებმა პრაქტიკულად უნდა გადასწყვიტონ და დაუკავშირონ გაზაფხულის თესვის კამპანიას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისაგან დეკრეტი მოითხოვს, რომ თავისი ყოველდღიური მუშაობა დაუკავშიროს ღარიბ და საშუალო გლეხის აგროწარმოების განვითარების ამოცანებს. თესლეულის კოოპერაციის გამოცდილება ყველაზე უკეთესად გვიჩვენებს, რომ კოოპერაციაში გაერთიანება მთავარი ბაზისია, რომელიც საშუალებას აძლევს ღარიბ და საშუალო გლეხებს შეითვისონ ის აგრო-კულტურული გაუმჯობესებანი, რომლებიც კაპიტალისტურ სამყაროში მხოლოდ [illegible] კაპიტალისტებისათვის არის ხელმისაწვდომი.

თუ რევოლიუციამდე მხოლოდ ათასი იყო, ახლა ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია 10.000-ზე საწარმოო უჯრედს შეიცავს. აქედან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ თვალსაჩინო როლი უნდა იკისროს მოსავლიანობის შესახებ გამოცემული დეკრეტის მთავარი მუხლების შესრულებაში. დეკრეტის პირველი მუხლი იმის შესახებ რომ არაჯიშიანი თესლი შეიცვალოს ხარისხოვანი თესლით, ისე ვერ შესრულდება, თუ არ გაძლიერდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობა. თესლის საყოველთაო სავალდებულო წმენდის მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ტრიერები და საწმენდი მანქანები უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის იქნება, თუ თესლის წმენდის საქმე ისე მოწესრიგდება, როგორც საზოგადოებრივი საქმე. სარემონტო სახელოსნოების განვითარება შეიძლება იმ ზომით, რა ზომასაც მოითხოვს დეკრეტის მე-3 მუხლი, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფარგლებში. მავნე მწერებთან ბრძოლას დეკრეტით გათვალისწინებული მასშტაბით ვერავითარ შემთხვევაში ვერ აწარმოებენ ცალ-ცალკე; ამ ბრძოლის წარმოება შეიძლება მხოლოდ გაერთიანებული ძალებით მხოლოდ კოოპერატიულ ფორმებში. კონტრაქტაცია, როგორც გლეხთა მასების აგრიკულტურულ დონის ამაღლებელი ღონისძიება, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კოოპერატიულ ფორმებში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაზე დაკისრებული ამოცანების ჩამოთვლაც კმარა, რომ ამ კოოპერაციის ყოველი ორგანოს წინაშე დაისვას მოსავლიანობის შესახებ გამოცემული კანონის შესრულების საკითხი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის უმაღლეს ტიპს—კოლექტიურ მეურნეობებს დეკრეტი ორმაგ ამოცანას უსახავს: მოსავლიანობის გადიდებას ხუთი წლის დამლევისთვის არა 30—35 პროცენტით, არამედ 60 პროცენტით. რამდენიმე კოლექტიური მეურნეობის მოსავლიანობა [illegible] აღემატება გლეხის საშუალო მოსავლიანობას, [illegible] ზოგიერთი სასოფლო კოლექტიური მეურნეობის მოსავლიანობა 3—4-ჯერ აღემატება. [illegible] კოლექტიური მეურნეობის მოსავლიანობას, იმდენად მოსავლიანობის გადიდების საქმე ხდება [illegible] კოლექტიური მეურნეობის უპირატესობა ინდივიდუალური მეურნეობის წინაშე. დეკრეტი ავალებს კოლექტიურ მეურნეობებს, აგიტაცია გასწიონ კოლექტიური მოძრაობის განვითარებისათვის პირველ ყოვლისა იმით, რომ გაადიდონ თავიანთი მოსავლიანობა. ამ საფუძველზე უნდა გაძლიერდეს ის დახმარება, რომელიც უნდა გაუწიონ კოლექტიურმა და საბჭოთა მეურნეობებმა გლეხებს. მათი მიზანი მარტო ის კი არ უნდა იყოს, რომ ღარიბ და საშუალო გლეხებს დაეხმარონ მოსავლიანობის გადიდებაში, არამედ ისიც, რომ მეურნეობის კოლექტიურად გაძღოლის უპირატესობის მაგალითები უჩვენონ.

[illegible] საბჭოთა ორგანოებისაგან, მთელი პარტიული ორგანიზაციისა და კოოპერატიული ორგანიზაციებისაგან დეკრეტი მოითხოვს, რომ მოსავლიანობის გადიდებისა, კოლექტივიზაციის, კოოპერაციაში გაერთიანების განვითარებისა, მცირე და უმცირესი მეურნეობების გაძლიერების საკითხები გადაიქცნენ მათი მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ერთ-ერთ ძირითად საკითხად. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოების მომავალი ყრილობების გამოყენებას. დეკრეტი მოითხოვს, რომ საბჭოების მომავალ ყრილობებზე აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის [illegible] გარდა იმისა, თუ [illegible] ეს ორგანოები [illegible], თუ როგორ მუშაობენ მოსავლიანობის გასადიდებლად. ამ მიზნით დეკრეტი უშუალოდ მიმართავს სოფლის საერთო კრებების, საბჭოების ყრილობების და პარტიული კონფერენციების [illegible] ცნობების მიხედვით, საბჭოების მომავალი ყრილობების დღის წესრიგში მეტ წილად ჯერ კიდევ არ არის დასმული მოსავლიანობის საკითხი. დეკრეტის თანახმად, საჭიროა დაუყოვნებლივ და დამატებით დაისვას ეს საკითხი იმ მიზნით, რომ ამა თუ იმ ადგილობრივ პირობების შესაფერი პრაქტიკული ღონისძიებანი დამუშავდნენ საბჭოების ყრილობებზე.

ამ მხრივ დეკრეტი თავის როლს მხოლოდ მაშინ შეასრულებს, თუ მას საბჭოების ადგილობრივ ყრილობებზე მოჰყვება პრაქტიკული მუშაობის პროგრამის გაშლა-გაფართოვება. [illegible] „დეკრეტი მოსავლიანობის შესახებ“ გუბერნიის, მაზრის და თემის მასშტაბით. ბოლოს, ის ნამდვილი საშუალება იქნება იმისათვის, რომ [illegible] გასცილდეს ფარგლებს ჩვენი დაწესებულებებისა, რომლებიც მარტონი ვერ შესძლებენ (რაც უნდა კარგად იმუშაონ და რაც უნდა კარგი განზრახვა ჰქონდეთ), რომ ისე წასწიონ წინ საქმე, როგორც პროლეტარული სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, ე. ი. ამ საქმეში მილიონობით ჩააბან ღარიბი და საშუალო გლეხთა მეურნეობანი.

უკვე ამჟამად არსებობს სოფლის ყრილობების მრავალი ასი დადგენილება; ეს ყრილობები [illegible] შესაფერ ღონისძიებებს, რომლებსაც შეუძლიათ სწრაფად გაადიდონ მოსავლიანობა. უნდა მოვაგვაროთ, რომ არც ერთი ისეთი სოფელი არ იყოს, სადაც [illegible] ცაკის დეკრეტი მოსავლიანობის შესახებ, სადაც სახეიროდ და მუხლობრივად არ იქნება იგი განხილული, სადაც დეკრეტის თანახმად მიღებული არ იქნება ესა თუ ის პრაქტიკული ზომები.

პარტიას შეუძლია ამ საქმეს მოერიოს, მაგრამ ხამისოდ, პირველ ყოვლისა, საჭიროა, რომ სოფლად მუშაობასთან ღრმად თუ ბევრად დაკავშირებულმა პარტიის წევრებმა გაიგონ, თუ რას მოითხოვენ მათგან ღარიბი და საშუალო გლეხის მეურნეობის განვითარების საქმეში პარტიული გადაწყვეტილებანი, რომლებიც ცაკის დეკრეტში მუშაობის პრაქტიკულ პროგრამაში სახით არიან ჩაწერილნი; საჭიროა, რომ პარტიის თვითეულმა წევრმა სოფლად პრაქტიკული მუშაობის დროს შეუთანხმოს კოლექტივებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარება იმ ყოველდღიურ დახმარებას, რომელიც უნდა გაუწიოთ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასას მეურნეობის აგრიკულტურული განვითარების საქმეში.

შეუდგეთ მუშაობას!

„პრავდა“, 30 დეკემბერი.

ამხ. მიხა ცხაკაიას მისალმება
ამხ. ჩერვიაკოვს, გოლოდედს და ხაცკევიჩს

გადაეცით ჩვენი მოძმე ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკის მუშებს და მშრომელ გლეხობას მრავალეროვნებიანი და მრავალტომიანი ამიერ-კავკასიის ქალაქებისა და სოფლების მშრომელთაგან მხურვალე სალამი და გულწრფელი მილოცვა ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის ათი წლის თავის გამო. საბჭოთა ბელორუსიის მშრომელნი ყოველთვის მჭიდროდ იქნებიან დაკავშირებულნი ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის მშრომელ ერებთან; ისინი დიადი ლენინური საკავშირო კომპარტიის (ბოლშევიკებისა) და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის შტაბის—კომინტერნის ხელმძღვანელობით განაგრძობენ წინსვლას სოციალიზმისაკენ, მუდამ ენერგიულად და გადაუხრელად აწარმოებენ სოციალისტურ მშენებლობას მთელი სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და მთელი მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირების გზით, მუდამ მზად იქნებიან ოქტომბრის დიად მონაპოვართა და რევოლუციონური მარქსიზმის, ლენინიზმის მონოლიტური, იდეოლოგიური პრინციპების დასაცავად ყოველგვარ გადახრებისაგან, როგორც „მარცხნით“, ისე მარჯვნით, დღეს კი განსაკუთრებით მარჯვნით.

გაუმარჯოს მეცნიერული კომუნიზმის იდეების ამ ლაბორატორიას და კერას—ბელორუსიის ახალ სამეცნიერო აკადემიას!

გაუმარჯოს ოქტომბრის ძლევამოსილ რევოლუციასთან ერთად დიად კულტურულ და აგრიკულტურულ რევოლუციას მთელს საბჭოთა კავშირში და მის სახელოვან განუყრელ ნაწილში—დამოუკიდებელ ბელორუსიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში!

გაუმარჯოს თავისი არსებობის ათი წლის თავზე ჩვენს გმირულ მოძმე მუშურ-გლეხურ საბჭოთა ქვეყანას—საბჭოთა სოციალისტურ ბელორუსიას!

ძლიერ ვწუხვარ რომ მრავალი მიმდინარე საქმეები საშუალებას არ მაძლევენ პირადათ დავესწრო ზეიმს საბჭოთა ბელორუსიის ათი წლის თავის გამო და ჩვენი სახელოვანი გმირულ საბჭოთა ბელორუსიის დიადი კულტურული რევოლუციის ლაბორატორიის და კერის— ახალი სამეცნიერო აკადემიის გახსნას.

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის წევრი და ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია.

საბჭოთა კავშირში

კრედიტები მუშათა საბინაო მშენებლობისათვის

მოსკოვი, 31 დეკემბერი. ცენტრ. კოოპერატიული ბანკის გამგეობამ გადასწყვიტა, 1928—29 წელს საბჭოთა საბინაო მშენებლობისათვის გადასდოს 9.520.000 მან.; აქედან ლითონის მრეწველობის მუშების საბინაო მშენებლობისათვის— 3.115.000მან. ხე-ტყის—1.880.000 მან., სილიკატის მრეწველობის—1.270.000 მან., შუშა-ფაიფურის მრეწველობის—1.225.000 მან. (ადს).

ტრაქტორების შემოტანა.

მოსკოვი, 31 დეკემბერი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა საგაზაფხულო თესვისათვის ტრაქტორების შემოტანის გეგმა; ჩრდილო კავკასია მიიღებს 640 ტრაქტორს, ციმბირი—440, ურალი—190, ქვემო ვოლგის ოლქი—430, შუა ვოლგის ოლქი—415, ცენტრალური შავ-მიწიანი ოლქი—325, ყირიმი—90, ყირგიზეთი—30, ყაზაყსტანი—180, ბაშკირეთის რესპუბლიკა—130, თათართა რესპუბლიკა—10, იაროსლავის და კოსტრომის გუბერნიები—20 და ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნია—5 ტრაქტორს. (ადს).

ამხ. კოროსტაშევსკის გამოკვლევის შედეგები

ლენინგრადი, 31 დეკემბერი. ელექტრო-ის მთავარ სამმართველოს კომისიამ ამხ. კოროსტაშევსკის მეთაურობით დაამთავრა მუშაობა ლენინგრადის ელექტრო მრეწველობის გამოსაკვლევად.

ჟურნალისტებთან საუბარში ამხ. კოროსტაშევსკიმ განაცხადა:

„ლენინგრადის მდგომარეობა ელექტროენერგიის მიწოდების მხრივ ვერ არის სანუგეშო. საჭიროა შეუდგეთ 100—150 ათას კილოვატიანი ორთქლის ელექტროსადგურის აგებას. სადგური ტორფით იმუშავებს.

სწარმოებს მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ამ დიდი მშენებლობისათვის გამოყენებულ იქნას ის კრედიტები, რომლებსაც „ჯენერალ ელექტრიკი“ გვაძლევს 25 მილიონი დოლარის რაოდენობით“. (ადს).

ახალგაზრდათა სამდივნო პროფინტერნთან

მოსკოვი, 31 დეკემბერი. პროფინტერნთან არსდება ახალგაზრდათა სამდივნო, რომლის ამოცანას შეადგენს კავშირის დამყარება სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდათა პროფორგანიზაციებს შორის (ადს).

ისტორიკოს-მარქსისტთა საკავშირო კონფერენცია

მოსკოვი, 31 დეკემბერი. ისტორიკოს-მარქსისტთა საკავშირო კონფერენციაზე 29 დეკემბერს დილით მუშაობა დაიწყეს სექციებმა. საკავშირო კომპარტიის (ბ) ისტორიის სექციაში ამხ. ნევსკიმ წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე—„პარტიის ისტორია, როგორც მეცნიერება“. სალამოთი აკადემიკოსმა მარმა დელეგატებისა და სტუმრების მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე—„ისტორიული პროცესის საკითხი იაფეტურ თეორიის თვალსაზრისით“.

30 დეკემბერს დილით იმუშავებს ყველა სექცია. წაკითხული იქნება 11 მოხსენება, მათ შორის ამხ. ლუკინის მოხსენება „იმპერიალიზმის ეპოქის შესწავლის პრობლემები“, ამხ. შჩეგოლევის მოხსენება „თანასწორთა შეთქმულება“ და ამხ. იავორსკის მოხსენება „თანამედროვე ბურჟუაზიული მიმდინარეობანი უკრაინის ისტორიულ მეცნიერებაში“.

საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაცია

მოსკოვი, 31 დეკემბერი. საკავშირო სახკომსაბჭომ და შრომისა და თავდაცვის საბჭომ, განიხილეს რა საბჭ. კავშ. სახელმწ. საგეგმო კომისიის და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენებები, აღნიშნეს, რომ ელექტრომშენებლობის ზრდის ტემპი ჩამორჩა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების ზრდას. სახკომსაბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო საჭიროდ სცნობენ მიმდინარე წელს დაიწყოს აგება ახალი სარაიონო ელექტროსადგურების — ნიჟნი-სვირსკის, ბრიანსკის, სტალინგრადის, ოსინოვსკის და ბაქსანსკის ელექტრო სადგურისა. მთავრობა, იღებს რა მხედველობაში ელექტრონის ენერგიის დიდ მოთხოვნილებას დონბასში, საჭიროდ სცნობს მიმდინარე წელს დაიწყოს მუშაობა შტეროვის ელექტროსადგურის გასაფართოვებლად 88.000 კილოვატამდე. მთავრობამ ამ მიზნისათვის გადასდო 10 მილიონი მანეთი.

ამავე დროს საჭიროდ იქნა ცნობილი ნიჟნი-ნოვგოროდის, ივანოვო-ვოზნესენსკის, ლიაპინის ელექტრო სადგურების, და აგრეთვე „მოგესის“ (მოსკოვი) და ელექტროდენის (ლენინგრადი) აგება.

სახკომსაბჭომ და შრომისა და თავდაცვის საბჭომ ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო კომიტეტი და აღმასკომი გაანთავისუფლეს შახტისა და დიზელდონის ელექტრო სადგურების მშენებლობისათვის თანხების გაღებისაგან. შახტის ელექტროსადგურის ასაშენებლად სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებულ იქნება 2.800.000 მან., დიზელდონის ელექტრო-სადგურის ასაგებად—3400.000 მანეთი.

ბელორუსიის რესპუბლიკის მთავრობას წინადადება მიეცა, ოსინოვის ელექტროსადგურის ასაგებად მიმდინარე წელს გადასდოს 1.200.000 მან.

უკრაინის რესპუბლიკის მთავრობას წინადადება მიეცა [illegible] ელექტროსადგურის ასაგებად მიმდინარე წელს გადასდოს 3 მილიონი მანეთი. (ადს).

გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაციის გეგმა

მოსკოვი, 31 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა გაზაფხულის ნათესის კონტრაქტაციის გეგმა 1929 წელს. გეგმის თანახმად, კონტრაქტაცია ეხება 5.500.000 ჰექტარს, აქედან რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში—3.650.000 ჰექტარი, უკრაინაში—1.700.000, ბელორუსიაში—25.000, ამიერკავკასიაში—25.000, შუა აზიაში—100.000 ჰექტარი. ავანსის საშუალო რაოდენობა ერთ ჰექტარზე დაწესებულია: კარგი ხარისხის ხორბლისათვის—10 მან. 50 კაპ. ავანსის საშუალო რაოდენობის დიფერენციაცია ადგილობრივ უნდა მოხდეს მთესველთა სოციალური მდგომარეობის მიხედვით. ამასთან გადიდებული ავანსი (არა უმეტეს 50 პროცენტისა) მიეცემა ღარიბ მეურნეებს და კოლმეურნეობებს.

კოლეგიამ აღიარა, რომ კონტრაქტაცია უპირველესად უნდა იქნეს შეთანხმებული სოფლის მეურნეობის საწარმოო ამოცანებთან და საპერსპექტივო გეგმასთან. (ადს).

ნ. ი. ორდანსკის გარდაცვალება

მოსკოვი, 31 დეკემბერი. 29 დეკემბერს მოსკოვში გულის ასთმისაგან გარდაიცვალა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ივანეს ძე იორდანსკი, პლეხანოვის ყოფილი თანამშრომელი. იორდანსკი 53 წლისა იყო (ადს).

ღამის ცნობები

კომუნისტი დეპუტატის მენეტრიეს არჩევა გაბათილებულ იქნა

პარიზი, 30 დეკემბერი. დეპუტატთა პალატამ განიხილა საკითხი სენტ-დენის საარჩევნო ოლქში დეპუტატად კომუნისტ მენეტრიეს არჩევის შესახებ. ამჟამად მენეტრიე დაპატიმრებულია შპიონაჟისათვის. პალატამ უარჰყო კომუნისტების წინადადება საკითხის განხილვის გადადების შესახებ და ხმის დიდი უმრავლესობით გააბათილა მენეტრიეს არჩევა.

ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით

ვაშინგტონი, 30 დეკემბერი. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატები მონაწილეობას მიიღებენ განიარაღების მოსამზადებელი კომისიის სესიაში 15 აპრილს (ადს).

პალატამ მიიღო საფრანგეთის ბიუჯეტი

პარიზი, 30 დეკემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, დეპუტატთა პალატამ 460 ხმით 112 ხმის წინააღმდეგ მიიღო საფრანგეთის ბიუჯეტი (ადს).

მონოპოლიის გაუქმების წინ

სტამბოლი, 30 დეკემბერი. როგორც გაზეთი „აქშამი“ იუწყება, 1929 წლის აგვისტოში, ახალი საბაჟო ტარიფების შემოღების გამო, განზრახულია ზოგიერთი მონოპოლიის, პირველ რიგში ნავთის მონოპოლიის გაუქმება. (ადს).

დეპუტატების ჯამაგირის გადიდება

პარიზი, 30 დეკემბერი. ჰავასი იუწყება: „სენატმა 140 ხმის უმრავლესობით 97 ხმის წინააღმდეგ მიიღო დადგენილება დეპუტატების ჯამაგირის გადიდების შესახებ. ამ დადგენილებით გათვალისწინებულია სპეციალური დამატების გადიდება იმ დეპუტატებისათვის, რომელნიც იძულებულნი არიან ორი ბინა იქონიონ (მხედველობაში ჰყავთ პროვინციელი დეპუტატები); დამატება თვიურად გადადებულია 1,200 ფრანკამდე.

პუანკარე, რომელიც წინააღმდეგი იყო მიმატებისა, კამათს არ დასწრებია“. (ადს).

პარიზი, 30 დეკემბერი. მიუხედავად პუანკარეს წინააღმდეგობისა სენატში მინისტრთა საბჭოს სახელით გამოსულმა ფინანსთა მინისტრმა შერონმა დაჟინებით მოითხოვა დაუყოვნებლივ განხილვა და მიღება მთავრობის კანონპროექტისა დეპუტატების ჯამაგირის გადიდების შესახებ. პუანკარე სენატის სხდომას დემონსტრატიულად არ დაესწრო. (ადს).

პარიზი, 30 დეკემბერი. ჰავასი იუწყება: „პალატის საფინანსო კომისიამ შვიდი ხმით სამის წინააღმდეგ (ორმა თავი შეიკავა) მიიღო სენატის მიერ უკვე მიღებული კანონპროექტი პალატის დეპუტატების ჯამაგირის გადიდების შესახებ“.

დეპუტატთა პალატამ 287 ხმით 234 ხმის წინააღმდეგ მიიღო კანონპროექტი დეპუტატების ჯამაგირის გადიდების შესახებ“. (ადს).

ამხ. კოსიორი ბაქოში

ბაქო, 31 დეკემბერი. ბაქოში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კოსიორი. ჩამოსვლის მიზანია „აზნავთის“ მდგომარეობის გაცნობა, აგრეთვე გაცნობა „აზნავთსტროი“-ს სამუშაოებისა ბაქო-ბათუმის ნავთსადენის გაყვანის საქმეში. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანის მთავრობის მოწოდება.

ბაქო, 31 დეკემბერი. აზერბეიჯანის ყველა სახელმწიფო დაწესებულება, აგრეთვე სკოლები 1 იანვრიდან გადავლენ ახალ თურქულ ანბანზე. ახალი თურქული ანბანის შემოღების დღე რევოლუციონურ დღესასწაულად არის გამოცხადებული.

ბაქოში და მაზრებში 1 იანვარს გაიმართება ზეიმი და დემონსტრაციები ახალი თურქული ანბანის შემოღების გამო. ბაქოში ახალი ანბანის შემოღების დღე აღნიშნულ იქნება აზერბეიჯანის მთავრობის საზეიმო სხდომით, რომელსაც დაესწრებიან პარტიული, პროფესიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კომკავშირი.

აზერბეიჯანის მთავრობამ ახალი თურქული ანბანის შემოღების გამო მოწოდებით მიმართა აზერბეიჯანის მუშებს და გლეხებს.

„1929 წლის 1 იანვარი,—ნათქვამია,—ახალი ისტორიული თარიღია აზერბეიჯანის ცხოვრებაში. მთელი სახელმწიფო აპარატი, ყველა საბჭოთა, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დღეს საბოლოოდ გადადიან ახალ თურქულ ანბანზე. ძველი არაბული ანბანი—აღმოსავლეთის მრავალი მილიონი მშრომელების ჩაგვრის იარაღი,—მთელის სიმტკიცით და რევოლუციონური ენერგიით იქნა განდევნილი საბჭოთა აზერბეიჯანის ტერიტორიიდან. მოხდა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი საბჭოთა აზერბეიჯანი—მოწინავე მებრძოლი მშრომელთა განთავისუფლებლად, აღმოსავლეთის განთავისუფლებლად უმეცრების სიბნელიდან, მოწოდებულია განახორციელოს კულტურული რევოლუცია—განდევნოს ძველი არაბული ანბანი მუშურ-გლეხური მასების ახალი კულტურული ყოფაცხოვრებიდან და მშრომელთა მასების ფართო ფენებში დანერგოს ახალი თურქული ანბანი მშრომელი მუშები და გლეხები გადაჭრით გადავიდნენ ახალ თურქულ ანბანზე და ასევე გადაჭრით უნდა გაავრცელონ ეს ანბანი სოფლად.

გაუმარჯოს აზერბეიჯანის მუშებსა და გლეხებს—ახალი თურქული ანბანის პიონერებს! გაუმარჯოს ახალ თურქულ ანბანს მთელ აღმოსავლეთში (ადს).

მუშები სიმშილით იხოცებიან ინგლისში

(ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტისაგან)

მემაღაროების საკითხი ხელახლა დღის წესრიგში სდგას. აუწერელმა გაჭირვებამ, რომელიც გაბატონებულია ქვა-ნახშირის რაიონებში, განსაკუთრებით სამხრეთ უელსსა, დიურჰემსა, ნორტჰუმბერლანდსა და შოტლანდიაში, თითქო თანაგრძნობის მოძრაობა გამოიწვია, მაგრამ დაე თავს ნურავინ მოიტყუებს. ეს მხოლოდ ნამდვილი ფარისევლობაა, და თუ ბურჟუაზია ქველმოქმედებას იჩენს, ეს მხოლოდ საარჩევნო ფანდია.

უკვე კარგა ხანია, რაც გაჭირვება თავს დაატყდა მემაღაროების ოჯახებს. მუშათა დამხმარე ორგანიზაციები იმთავითვე ცდილობდნენ ყურადღება მიეპყროთ, მემაღაროეთა მდგომარეობისათვის. მაგრამ დღემდე არც ბურჟუაზიას და არც მუშათა პარტიის რეფორმისტ-ბელადებს თავი არ შეუწუხებიათ.

მხოლოდ ორი კვირაა, რაც ბურჟუაზიულ პრესაში შეჯიბრება დაიწყო მემაღაროების სასარგებლოდ. კაცს ეგონება, ისინი ახლა აღმოაჩინესო. წინად საშიშ რევოლუციონერად ითვლებოდა, ვინც მემაღაროეებზე ლაპარაკს ჩამოაგდებდა. დღეს გაზეთი „დეილი მეილი“—ეს განხორციელება ბურჟუაზიული ეგოიზმისა და, გაუმაძღრობისა—ხელის მოწერას აცხადებს მემაღაროების ოჯახების სასარგებლოდ. ყველა ბურჟუაზიული გაზეთი მოსთქვამს დედაკაცებისა და ბავშვების გაჭირვების გამო, რათა საზოგადოების ქველმოქმედება გამოიწვიოს. მთელი ინგლისის ლორდმერები და მერები ლონდონში შეიკრიბენ, რათა გაეცხოველებიათ კამპანია იმ დამხმარე ფონდის გასაძლიერებლად, რომელიც ამ ერთი წლის წინად ლონდონის ლორდმერმა დაარსა. მაგრამ ამ ფონდმა ერთი წლის განმავლობაში ძლივს მიაღწია 90.000 გირვანქა სტერლინგს, საგულისხმიეროა, რომ იმ ხელისმოწერამ, რომელიც გაზეთ „ტაიმსმა“ გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვის დამთავრებისთანავე. რათა პოლიციისთვის ჯილდო მიეცათ, ორიოდე დღის განმავლობაში რამდენიმე ასი ათასს სტერლინგს მოუყარა თავი!!.

რისთვის ხდება ეს მოწოდება ქველმოქმედებისადმი?

საყოველთაო არჩევნები ახლოვდება. საჭიროა მემაღაროების და მათი ქალების სიმპატიის მოპოება, მათ საარჩევნო ხმების შეძენა. დღევანდელ ხელისმოწერას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: ამ უბედურთა ხმების შესყიდვა. ასეთია უახლოესი მიზანი ამ ბურჟუაზიული მოძრაობისა, რომელსაც თითქო მემაღაროების გაჭირვების შემსუბუქება აქვს მიზნად.

სხვა მოსაზრებაც არსებობს. სამასი ათას მემაღაროეზე მეტი საბოლოოდ განწირულია, როგორც უმუშევარი, ისინი ვერასოდეს ველარ დაბრუნდებიან ინგლისის ქვანახშირის ინდუსტრიაში. ეს მეტის მეტად მძიმე ტვირთია კაპიტალიზმისთვის, ამასთანავე მეტის მეტად დიდი საფრთხეც. ეს გაიგო ბურჟუაზიამ. დღეს, როცა რეპრესიის, ლეპრესიის და დემორალიზაციის პოლიტიკის წყალობით, რომელშიც თავისი წვლილი შეიტანეს როგორც ტრედუნიონების, ისე მუშათა პარტიისა და მემაღაროების ნაციონალური ფედერაციის რეფორმისტმა ბელადებმა, დღეს, როცა ამავე ბელადების ანტიკომუნისტური და ბურჟუაზიული პოლიტიკის წყალობით თვით მემაღაროების ფედერაცია უსიცოცხლო, უძალო ორგანიზაციად იქცა და მას ძალა აღარ შესწევს მწყობრი მოქმედების საწარმოებლად, დღეს, როცა მემაღაროების ფედერაცია არა თუ საფრთხეს არ წარმოადგენს, არამედ კლასთა თანამშრომლობის ორგანოდ იქცა,—გულდამშვიდებული ბურჟუაზია თავის მხრით სცდილობს თავიდან აიცილოს სიღატაკის ამბოხება მშლე მოწყალების გაცემით. ამასთანავე ბურჟუაზი[illegible]ელის, რომ მთავრობა, რომელსაც ამ შემთხვევაში მუშათა პარტია მხარს უჭერს, განახორციელებს იმ გეგმებს, რომლების მიხედვით ზედმეტი მუშა ხელი დომინიონებსა და კოლონიებში იქნება გადაგზავნილი. კონსერვატიული მთავრობა მხოლოდ ემიგრაციის შემწეობით ფიქრობს ქვანახშირის ინდუსტრიის განკურნებას ხანგრძლივი კრიზისისაგან. მან უკანასკნელ [illegible] რომელიც გააკეთა [illegible] მხრით: დაახლოვებით 3.000 მემაღაროე კანადაში გადაიყვანა. შემდეგ მთავრობის გეგმა გაფართოვდა. მან შეთანხმება მოახდინა სანაოსნო საზოგადოებებთან ემიგრაციის გასაადვილებლათ. გზის ხარჯი ინგლისიდან კანადამდე 10 სტერლინგამდეა შემცირებული იმ ინგლისელი ემიგრანტებისთვის, რომელთაც კანადაში დასახლება სურთ. ეს ფართო გეგმა შემუშავებული იქნება ემერის მიერ, მისი მოგზაურობის დროს კოლონიებში.

ბურჟუაზიული ინგლისი ამ გზით მარტო უმუშევრობის ტვირთის თავიდან მოსაშორებლად როდი ზრუნავს. როგორც ამ რამდენიმე დღის წინად ლორდმა მელჩეტმა განაცხადა, უნდა მოხდეს დომინიონების, განსაკუთრებით კანადის, „გაინგლისელება“, მიტომ რომ კანადა თანდათან თავისუფლდება ინგლისის ეკონომიურ და პოლიტიკური გავლენისაგან და შეერთებულ შტატებს უახლოვდება. ინგლისმა ხელახლა უნდა დაიპყროს დაკარგული პოზიციები არა მარტო ეკონომიურ დარგში, არამედ პოლიტიკურშიც.

მაგრამ რას იფიქრებენ თავიანთ სამშობლოზე მუშები, რომელთაც სიმშილი აიძულებს თავიანთი კერა დასტოვონ? განა მათ შეუძლიათ უცხოეთში ასეთი სამშობლოს იდეებისთვის იბრძოლონ? ესეც არ იყოს, ამ ემიგრაციის გეგმებს ვიწრო საფუძველი აქვს და მოსალოდნელია, რომ ზედმეტი მუშახელის გადაყვანა დომინიონებში, სადაც ისედაც უკვე უმუშევრობამ იჩინა თავი, ბევრს გაუგებრობას გამოიწვევს ხელფასის შემცირების გამო.

ბურჟუაზია უეჭველია აღტაცებაში მოვა თავისივე საკუთარი ქველმოქმედებით. მაგრამ განა ეს სამარცხვინო არ არის ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც ინგლისია, რომ თუმცა აქ ერთი კლასი ოქროში იღრჩობა, თუმცა აქ ეკონომიურ წარმატებას ხელს არ უშლის არც ბოიკოტი არც სხვა რაიმე გარეგანი დაბრკოლება და თუმცა ეს ქვეყანა სათავეში უდგას ევროპის კაპიტალისტურ სისტემას, მაგრამ მაინც ისეთი საშინელი სიღატაკე არსებობს, რომ მისი უარყოფა არ შეუძლია თვით ბურჟუაზიულ პრესას? დიახ, ეს, სამარცხვინოც არის და იმავე დროს დიდათ ნიშანდობლივიც. მიტომ რომ ასეთ მდიდარ ქვეყანაში, რომელიც გაოცებას იწვევს სხვა ევროპიულ ქვეყნებში, ხალხი **სიმშილით იხოცება.** გუშინ ვესტმინსტერის ხიდზე, პარლამენტის კედლებთან, ფეხზე წამოაყენეს უმუშევარი, რომელსაც არაქათი გამოლეოდა სიმშილისაგან და წაქცეულიყო. ეს არ არის ერთად ერთი შემთხვევა. უკვე მრავალმა მუშამ ჩამოიღრჩო თავი უკანასკნელი თვეების განმავლობაში, მიტომ რომ მათ ვერ გაუძლეს თავიანთი ქალების და ბავშვების ტანჯვის ცქერას.

ჯ. დავიდ.

ლონდონი, 20 დეკემბერი.

იწყება საბჭოების საანგარიშო კამპანია

საარჩევნო კამპანიის პირველი, მოსამზადებელი პერიოდი, საერთოდ დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. ბევრ მაზრაში დასრულებულია, ზოგან კი სულ მალე მოთავდება ამომრჩეველთა სიების შედგენა. ყველგან ჩატარდა ქალაქის საბჭოების, მაზრაღმასკომების და თემ-საბჭოების პლენუმები, ღარიბ გლეხობის, მოჯამაგირეთა ჯგუფების, ქალთა ორგანიზატორების, საწარმოთა მუშების და სხვა თათბირები, სადაც გაირჩა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საკითხები. ცენტრიდან თავის დროზე მიეცა ადგილებს საჭირო მასალები, დირექტივები და განმარტებანი, რომლების საფუძველზე წარმოებდა მოსამზადებელი მუშაობა. ყველგან დაარსებულია და მოქმედებენ საარჩევნო კომისიები. ქალაქებისა და სოფლების საარჩევნო უბნებად დაყოფის საქმეში წელს ჩვენ მივაღწიეთ დიდ შედეგებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ უბნების რიცხვი წელს საშუალოდ მთელ რესპუბლიკაში 50 პროც. მეტია, ვიდრე იყო წარსულ საარჩევნო კამპანიის დროს. ამ გარემოებას დადებითი მნიშვნელობა ექნება კამპანიის ჩატარებაზე იმ მხრივ, რომ შესამჩნევად გაუადვილდება მშრომელ მოსახლეობას საანგარიშო და საარჩევნო კრებებზე დასწრება და უფრო მასიურად და დაკვირვებით მოსმენა და განხილვა საბჭოების ანგარიშების და მასიურივე საარჩევნო კრებებზე დეპუტატების არჩევა.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ის სუსტი მხარეებიც, რომელნიც თან სდევდნენ მოსამზადებელ პერიოდს: ზოგიერთი მაზრა (მაგ. ქუთაისის) შედარებით გვიან შეუდგა არჩევნებისათვის სამზადისს, მათ ვერ გაითვალისწინეს თავის დროზე საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების შემუშავება და გატარება. ზოგ მაზრაში (მაგ. სენაკის) ხელმძღვანელ ორგანოებმა საკმაო სერიოზულად ვერ შეითვისეს საარჩევნო კამპანიის უდიდესი პოლიტიკური ხასიათი, ვერ შეიგნეს მისი უაღრესად დიდი მნიშვნელობა, მათ უფრო „მსუბუქად“ და შარტივად ქონდათ წარმოდგენილი მისი ჩატარება. ასეთი ნაკლოვანებები გამოსწორებულ იქნა ცენტრიდან მივლინებულ ამხანაგების მითითებით და დახმარებით. რაც უფრო აღსანიშნავია, ეს ის, რომ ადგილობრივ საბჭოთა დაწესებულებების და სხვადასხვა ორგანიზაციების (კოოპერაცია, პროფკავშირები, გლეხკომები, საადგილ-მამულო, სწავლა-განათლების, იუსტიციის და სხვა ორგანოები) მონაწილეობა ან სულ არ სჩანდა, ან იყო სუსტი. სათანადო ცენტრალური უწყებების და ორგანიზაციების მხრით მიცემული დირექტივები და გეგმები ბევრ შემთხვევაში დარჩენ ქაღალდზე. ზოგიერთ ადგილას საარჩევნო კომისიების შედგენის დროს დარღვეული იყო როგორც საარჩევნო ინსტრუქციით გათვალისწინებული წესები, ისე ცენტრიდან მიცემული დირექტივები. მაგალითად, ზოგან კომისიებში არ ყოფილან გაყვანილი სათანადო ორგანიზაციების წარმომადგენლები, არ ყოფილან შეყვანილი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები და სხვა. გარდა ამისა, ბევრ მაზრაში არ ყოფილა დამზადებული თავის დროზე საანგარიშო მასალები ამომრჩევლების წინასწარ გასაცნობად. ცენტრისათვის ინფორმაციული ცნობების მოწოდება წარმოებდა და წარმოებს ეხლაც სუსტად. ამ ცნობებში ძალიან ნაკლებად ვხედავთ ანტისაბჭოთა ელემენტების, განსაკუთრებით კულაკების, აქტივობის და განწყობილების სურათს.

ყველა ეს უარყოფითი მხარეები, რომელთაც ნაწილობრივ ჯერ კიდევ აქვთ ადგილი, აუცილებლად თავიდან უნდა იქნენ აცილებულნი კამპანიის შემდეგ პერიოდში. მომზადების ამ სუსტ მხარეებთან ერთად გვაქვს დადებითი მხარეებიც, რომელნიც გამოიხატებიან ღარიბ გლეხობის და მოჯამაგირეთა აქტივობის გაძლიერებაში. მუშა და გლეხ ქალთა ორგანიზაციების უფრო მეტ და რაზმვაში, საარჩევნო უბნების რიცხვის გამრავლებაში, საარჩევნო უფლება მოკლებულ პირთა სიების უფრო ყურადღებით და დაკვირვებით შედგენაში. საერთოდ ადგილობრივ, პარტიულ საბჭოთა, კომკავშირის და სხვა ორგანიზაციების უფრო მომზადებულად, შეკავშირებულად გამოსვლაში და სხვ.

იანვრის პირველ რიცხვებში ჩვენ ვიწყებთ საარჩევნო კამპანიის მეორე მნიშვნელოვან პერიოდს. ეს არის საანგარიშო პერიოდი. საანგარიშო კამპანიის დაწყებით ჩვენ გადავდივართ საარჩევნო კამპანიის ამოცანების უშუალო და პრაქტიკულად განხორციელების საქმეზე. ამ პერიოდის ჩატარება იმავე დროს არის იმის გადასინჯვა, თუ რამდენად სწორად და სრულად გავითვალისწინებთ და გავატარებთ ჩვენ როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ ყველა მოსამზადებელი ღონისძიება. თავის თავად ცხადია, რომ საანგარიშო კამპანიის ნაყოფიერება იქნება დამოკიდებული წინასწარ ჩატარებულ სამზადისის ხარისხზე. ამ უკანასკნელით გაიზომება ის შედეგები, რომელთაც ესა თუ ის მაზრა, ესა თუ ის თემი მიაღწევს საანგარიშო პერიოდში. ეს შედეგები კი უნდა გამოიხატოს: საანგარიშო კრებებზე მშრომელთა მასიურ მონაწილეობაში, მათი ცოცხალი ინტერესში და აქტივობაში ანგარიშების მოსმენის და განხილვის დროს, ამ კრებების ღარიბ გლეხობის და მოჯამაგირეების შეგნებულად და მომზადებულად გამოსვლაში. იმ ყურადღებაში და ცხოველ ინტერესში ჩვენი აღმშენებლობის მთავარ საკითხისადმი, რომელსაც ამომრჩევლები გამოიჩენენ ანგარიშის მოსმენის დროს, საანგარიშო კრებებზე საქმიანი თვითკრიტიკის გაფართოება - გაღრმავებაში და სხვა.

კიდევ და კიდევ უნდა გვახსოვდეს, რომ საანგარიშო კამპანია საბჭოების მუშაობის მასიური და გენერალური გასინჯვას წარმოადგენს. ამ კამპანიის დიდი აზრი. მისი პოლიტიკური მნიშვნელობა საბჭოთა სახელმწიფოში ისაა, რომ მშრომელთა ფართო მასების კონტროლ ქვეშ გავატაროთ საბჭოების მთელი მუშაობა გამოვიჩინოთ ამ მასების წინაშე ჩვენი აღმშენებლობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. პარტიის და ხელისუფლების დირექტივები საანგარიშო კამპანიის ჩატარების დროს ურყევად უნდა იქნენ განხორციელებული. მუშებისა და გლეხების საქმიანი შემოქმედებითი თვითკრიტიკა—აი უმთავრესი ლოზუნგი, რომელიც მოგვცა ჩვენ პარტიამ და რომელსაც უნდა მიეცეს მაქსიმალური გასაქანი. თვითკრიტიკა უნდა იქნეს მიმართული საბჭოთა აღმშენებლობის სუსტ და მახინჯ მხარეების გამომჟღავნების და გამოსწორებისაკენ. მშრომელთა საქმიანი თვითკრიტიკა გააჯანსაღებს საბჭოებს, მისცემს მათ მომავლისათვის უფრო სწორ მიმართულებას, ხელს შეუწყობს საბჭოების პრაქტიკულ ამოცანების განხორციელებას, აწევს მასების აქტივობას სახელმწიფოებრივ საქმეების განხილვაში და გადაჭრაში, ნიღაბს ახდის საბჭოთა ხელისუფლების მტრებს და სხვ.

მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მუშების და გლეხების თვითკრიტიკა განსხვავდება ჩვენი მტრების (კულაკების, სამღვდელოების, ვაჭრების, მეშჩანეების და სხვ.) კრიტიკისაგან, რომლებიც შეეცდებიან გამოიყენონ საბჭოთა ხელისუფლების ეს ლოზუნგი თავისი კლასიური ინტერესებისათვის. მათი სურვილი იქნება „კრიტიკის“ საშუალებით, დემაგოგიური, წინასწარ ბოროტგანზრახულ გამოსვლებით დააბნიონ მშრომელთა მასები და ამით გადაუფარონ კამპანიის ნორმალური მსვლელობა. ეს გარემოება უნდა თავის დროზე იქნეს გათვალისწინებული და საამისოდ გაფრთხილებული მშრომელთა მასები. საბჭოების მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა, მუშების და გლეხების საბჭოების გარშემო უფრო მტკიცედ დარაზმვა, მათი მასიური თვითმოქმედების გაშლა, მუშების და ღარიბ გლეხობის საშუალო გლეხობასთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის განმტკიცება, ამ კავშირში პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, ღარიბ და საშუალო გლეხობის ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის გაუმჯობესება, ქალაქად და სოფლად მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისათვის ხელის შეწყობა, კოლმეურნეობათა ზრდა და განმტკიცება, კოოპერაციის განვითარება და განმტკიცება, უვიცობის, კულტურულ ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლა, მშრომელთა ეროვნულ სოლიდარობის გაღრმავება, წითელ არმიაზე ზრუნვა და სხვა — აი ის უმთავრესი ლოზუნგები, რომელთა საფუძველზე უნდა წარმოებდეს საკითხების გაშუქება. მასების ინტერესის და ყურადღების მიპყრობა.

მოხსენებები უნდა კეთდებოდეს გასაგებ და მარტივი ფორმით. ეროვნულ უმცირესობათ უნდა მიეცეთ საშუალება მოისმინონ ანგარიშები მათთვის გასაგებ ენაზე. სასურველია წერილობით ანგარიშები მშრომელთა წინასწარ გასაცნობად იქნან გამოქვეყნებული პრესაში, კედლის გაზეთებში ან ცალკე მასალების სახით გადაეცენ სამკითხველოებს, კლუბებს, წითელ კუთხეებს და სხვა. საანგარიშო კრებები არ უნდა იქნენ დატვირთული მრავალი საკითხით. საბჭოს მოხსენებაში შეძლებისდაგვარად უნდა ამოწურული იქნეს ადგილობრივი აღმშენებლობის ყველა საკითხი, ხოლო ამ საკითხების უფრო ვრცელ გაშუქებაში უნდა დაეხმარონ მომხსენებელს კამათში გამოსვლის სახით ადგილობრივ დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელნიც აუცილებლად უნდა დაესწრონ საანგარიშო კრებას. განსაკუთრებული აქტივობა უნდა გამოიჩინონ საბჭოს წევრებმა — როგორც ანგარიშების ჩაბარებით თავის ამომრჩეველთა წინაშე, ისე სხვადასხვა ამოცანების გაშუქებით. მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნება მუშკორების და გლეხკორების მონაწილეობა საანგარიშო კრებაში, სადაც ისინი, როგორც საბჭოების და ყველა ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობის ავ-კარგის მცოდნე პირები, შესძლებენ ამომრჩეველთა წინაშე უფრო ნათლად გააშუქონ ეს მუშაობა. ამომრჩევლებს თავის დროზე უნდა ეცნობოს საანგარიშო კრების დღე და საათი; კრებები უნდა იქნეს მოწყობილი ისეთ დროს, როდესაც მუშა, გლეხი და მოსამსახურე არ იქნება გაცდენილი სხვა რაიმე გარემოებით ან მუშაობით. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რანაირ ბინაზე იქნება მოწყობილი კრება, ის არ უნდა იყოს უხერხული, ბნელი, ნესტიანი და სხვა.

თუ ყველა ამ ამოცანას გადავჭრით, თუ ყველა ამ ორგანიზაციულ ღონისძიებას განვახორციელებთ სათანადო ყურადღებით და ენერგიით, — ჩვენ ისე ჩავატარებთ საარჩევნო კამპანიის მეორე მნიშვნელოვან საანგარიშო პერიოდს, რომ ის მოგვცემს საჭირო ეფექტს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს მესამე და უკანასკნელ პერიოდს — თვით არჩევნების პერიოდის წარმატებით ჩატარებას.

ი. ვარძიელი.

რევოლუციონური დღესასწაული აზერბეიჯანში

დღეიდან მთელს აზერბეიჯანში შემოღებულია ლათინური ანბანი

აზერბეიჯანის და ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთ

დღეს, 1 იანვარს აზერბეიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკა გადადის ახალ ანბანზე. ამ მოვლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო აზერბეიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიისათვისაც.

თურქულ-თათრული მართლწერის რეფორმა უდიდესი გამარჯვებაა კულტურული რევოლუციის ფრონტზე. ეს რეფორმა ძალიან ამსუბუქებს ბრძოლას წერა-კითხვის უცოდინარობასთან მშრომელ თურქთა მოსახლეობის ჩამორჩენილ მასებს შორის და ამით უზრუნველყოფს მშრომელთა უფრო ინტენსიურად ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში.

ლოზუნგი არაბული ანბანის ძირიანად შეცვლის შესახებ აზერბეიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის მშრომელმა მასებმა [illegible] ჯერ კიდევ 1922 წელს. მაშინ ამ ლოზუნგს დიდის აღშფოთებით შეხვდნენ დახავსებული მუსლიმანური აღმოსავლეთის რეაქციონური ძალები რომლებიც შეუპოვრად იცავდნენ „სადვთო“ შრიფტის ხელშეუხებლობას.

მოლებმა და ბეგებმა იცოდნენ, რომ ძველი, ძნელად შესასწავლი ანბანის გაუქმებით აზერბეიჯანის მშრომელნი დაანგრევენ ერთ-ერთ საუკუნოებრივ დასაყრდენს აღმოსავლეთის ხალხების კულტურული და პოლიტიკური დამონების სისტემაში; კარგად იცოდნენ, რომ ახალ ანბანზე გადასვლა, რომელიც, ვ. ი. ლენინის აზრით, წარმოადგენს „უდიდეს რევოლუციას აღმოსავლეთში“, საბოლოოდ მოსპობს აღმოსავლეთის კულტურულ განმარტოებას იმ კულტურულ გამარტოებას, რომელიც სავსებით თანხმება ბეგების და მოლების კლასობრივ ინტერესებს.

წინააღმდეგობა რეფორმისადმი უკუგდებულ იქნა მასიური მოძრაობით, რომელმაც მოიცვა მთელი საბჭოთა კავშირის თურქ-თათართა ხალხების მშრომელებს. ამ მოძრაობის სათავეში იდგა წითელი აზერბეიჯანი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ აზერბეიჯანის მუშები და გლეხები ამ ახალი კულტურული გამარჯვების შემდეგ, ამიერ-კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად, საბოლოოდ მოსპობენ რეაქციონური კულტურის მეორე ნიშნს—ჩადრს.

გაუმარჯოს აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა უდიდეს კულტურულ ნაბიჯს!

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის სამხარეო კომიტეტი.

კულტურული რევოლუციის მიჯნაზე

1929 წლის 1-ლი იანვარი დიდი თარიღია საბჭოთა აზერბეიჯანის ცხოვრებაში. ამ დღეს პირველი ხარისხით [illegible] არაბული ანბანი—აღმოსავლეთის ხალხთა ჩამორჩენის ერთი პირველი მიზეზთაგანი, უმთავრესი დაბრკოლება, რომელიც აფერხებდა ფართო მასების პროგრესს და აძნელებდა უბრალო წ.-კ. შეთვისებას. მრავალ საუკუნის მოწმე მოუცვლელი,—მან განვლო ნატურალური, ნახევრად მომთაბარეული მეურნეობის პერიოდი, სპარსეთის მეფეთა ფეოდალური წყობა. ლება და შემდეგ სხვადასხვა კოლონიზატორების მიერ აღმოსავლეთის ხალხთა მრავალმხრივი ექსპლოატაციის ხანა. თავისი გრძელი სიცოცხლის მანძილზე ის წმინდად იცავდა თავის პირვანდელ ფორმას, შეურყევლად ასრულებდა თავის პირვანდელ დანიშნულებას—მუდამ ყოფილიყო მხოლოდ რჩეულთა კუთვნილება, სინათლე დაეჩრდილა და სიბნელეში ჰყოლოდა აღმოსავლეთის ხალხთა მრავალმილიონიანი მასები.

ვერც წარმოების შეცვლილმა ფორმებმა, ვერც სახალხო მეურნეობაში ისეთი რევოლუციონური გარდატეხის ფაქტორმა, როგორიც არის რკინის გზა, ვერც ცხოვრების აჩქარებულმა ტემპმა ვერ შესძლეს ამ სიმტკიცის შერყევა. მკვდარს მაგრად ჩაებღაუჭა ხელი ცოცხლისათვის, იგი კვლავაც ფიქრობდა ის ცხოვრების ჩახშობას, რომელიც მას გვერდს უვლიდა. და მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც ახალი პერსპექტივები გადაუშალა აღმოსავლეთის ხალხებს, შესძლო მოკლე დროის განმავლობაში სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა ამ ფეოდალთა ფეოდალიზმისთვის, სიბნელისა და უმეცრების ამ დაუშრეტელ წყაროსათვის. ოქტომბრის რევოლუციამ თავისი არსებობის მე-12 წელს წითელ აზერბეიჯანში საბოლოოდ ჩაასვენა იგი სამარეში.

არაბული ანბანი, მონობისა და ბატონობის მექომაგე ანბანი, შესცვალა ახალმა, სულ ექვსი წლის წინად დაბადებულმა თურქულმა ანბანმა. ამ მოკლე დროის განმავლობაში მას ფართოდ დაუჭირა მხარი მახლობელი აღმოსავლეთის ყველა მოწინავე ელემენტმა. დიდად არიან ახალი ანბანით დაინტერესებულნი სპარსეთსა და ავღანისტანში, მრავალმა ასი ათასმა მშვენივრად შეითვისა იგი თურქეთში, ღრმად შეიჭრა იგი საბჭოთა ყველა თურქულ-თათრული რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების ყველა კუნჭულში. ყოველივე ეს ცხადყოფს ახალი ანბანის უდიდეს სასიცოცხლო ძალას და ამართლებს მას, როგორც „დიად რევოლუციას აღმოსავლეთში“. ახალი თურქული ანბანის სამშობლოში, საბჭოთა აზერბეიჯანში, სადაც ამ ანბანის პირველი წარმატება [illegible] წლის წინად დაიწყო, სადაც, პირველად მთელს აღმოსავლეთში, საძირკველი ჩაეყარა რეფორმას, ამ ხნის განმავლობაში მივაღწიეთ [illegible] შედეგებს ანბანის გავრცელების საქმეში, წლით-წლობით მატულობდა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი, იცემოდა ამ ანბანზე მრავალი გაზეთი და წიგნი, სწავლობდნენ ამ ანბანით სკოლებში—და ყველა ამან შექმნა პირობები იმისათვის, რომ, ბოლოს, შესაძლებელი გახდა რეფორმის დასრულება. 1-ლ იანვარს დამთავრდება ახალი ანბანის სრული გამარჯვება: არც ერთი სტრიქონი არ დაიწერება არაბული ანბანით, არც პრესაში, არც საბჭოთა აპარატში და საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, არც სკოლებში და სხვ.

აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის მშრომელნი პირველნი შეუდგნენ რეფორმის გატარებას მათ დახვდათ დახავსებული ელემენტების დიდი წინააღმდეგობა, დაამარცხეს ისინი მთელს ფრონტზე და დაასრულეს უდიდესი მნიშვნელობის რეფორმა. და თუ ოქტომბრის რევოლუციის განთავისუფლებული ძალა იმდენად დიადი იყო, რომ, ძველი ანბანის შეთვისების მეტის-მეტ სიძნელის მიუხედავად, ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში წ.-კ. მცოდნეთა რიცხვი მაინც გაორკეცდა, ახლა ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ კულტურული მშენებლობის ტემპი ბევრად უფრო გაიზრდება.

ახალი თურქული ანბანის განმტკიცებასთან ერთად, აზერბეიჯანის ქალაქისა და სოფლის ყოფა-ცხოვრების სიღრმეში ხდება სხვა პროცესიც, რომლებშიაც უფრო და უფრო იზიდავს მოსახლეობის ფართო მასები. ეს არის კამპანია ჩადრის ტარების წინააღმდეგ. იმ ჩადრისა, რომელსაც მოსწრებულად „მონაზონ ტომარა“ უწოდეს, ბრძოლა ბატონყმობის შორეული ეპოქის ამ მეორე ნაშთთან, რომელიც აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას აშორებს თურქ მშრომელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს. ამჟამად ეს ბრძოლა ბრწყინვალე შედეგებს იძლევა.

ამ მიმართულებით მიღწეული გამარჯვება დიადი წინამორბედი გახდება იმ კულტურული რევოლუციისა, რომელიც წლით-წლობით ახლოვდება. და რომ ეს გამარჯვება არც ისე შორსაა, ამას მოწმობს წარმატებით მიმდინარე კამპანია, რომელიც მოითხოვს ჩადრის წინააღმდეგ დეკრეტის გამოცემას. ამ კამპანიამ ბრძოლაში ჩააბა არა მარტო მშრომელი ქალები. არამედ ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ქალაქისა და სოფლის მთელი საბჭოთა აქტივი. ის დიდი გამოხმაურება, რომელიც ჰპოვა ამ კამპანიამ რესპუბლიკის ყველაზე უფრო ბნელ კუთხეებშიც კი, იმის ნათელს სურათს გვაძლევს, რომ საბჭოთა მთელმა საზოგადოებრიობამ და მოსახლეობის უმრავლესობამ შეიგნო, რომ ერთმანეთთან შეუთავსებელია განვითარების გზაზე შემდგარი სოციალისტური მშენებლობა, და ის ტანისამოსი, რომელიც ასე ამცირებს ქალის ადამიანურ ღირსებას და უთანასწორებს მას უბრალო ნივთს. ყველა ამის შემდეგ ეჭვს გარეშეა, რომ აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის საბჭოთა მე-6 ყრილობა, რომელიც მოწვეული იქნება 1929 წლის მარტში, ბოლოს მოუღებს წარსულის ამ შორეულ ნაშთს, საბოლოოდ განთავისუფლებს ქალს და მისცემს მას სოციალისტურ მშენებლობაში თანასწორი მონაწილეობის სრულ შესაძლებლობას.

თურქ-ქალი სავსებით მომწიფდა ასეთი მუშაობისათვის და ამას ადასტურებს ჩვენი სინამდვილის აუარებელი ფაქტი საკმარისია მოვიყვანოთ ციფრები იმის შესახებ, თუ როგორ სწრაფად იზრდება თურქი მოსწავლე-ქალების რიცხვი პირველი საფეხურის სკოლებში: 1914—15 წელთან შედარებით, 1927—28 წელს ეს ზრდა 830 პროცენტს აღწევს, მაშინ როდესაც სხვა ეროვნებათა მოსწავლე-ქალების რიცხვის ზრდა იმავე სკოლებში იძლევა 151 პროცენტს. ან კიდევ საკმარისია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ 11 პედაგოგიურ ტეხნიკუმში, სადაც მოსწავლეთა რიცხვი 2.837-ს აღწევს და სადაც რევოლუციამდე ქალები თითებზე ჩამოითვლებოდნენ, ამჟამად მოსწავლეთა ერთსმესამედს ქალები შეადგენენ.

კიდევ ბევრი ისეთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, რომელიც ცხადყოფს რევოლუციის განმავლობაში აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის ქალთაშორის მომხდარ გარდატეხას, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად შეუძლებელია უკვე მომწიფებული რეფორმის გადადება, გადადება დეკრეტის გამოცემისა ჩადრის ტარების აკრძალვის შესახებ. ერთხელ გადაიჭრას ის ძაფი, რომელზედაც ჰკიდია ქალის ღირსების დამამცირებელი მონობის ტანსაცმელი.

ამხ. აღამალი-ოღლი

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე, თურქული ანბანის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე.

ეს ორი მოვლენა აზერბეიჯანის კულტურულ ცხოვრებაში შესაძლებელი გახდა იმ დიდი შემოქმედებითი მუშაობის წყალობით, რომელიც სწარმოებს ნაციონალური კულტურის ყველა დარგში. ამ მშენებლობის რომელი დარგიც არ უნდა ავიღოთ, ყველგან შევამჩნევთ უდიდეს შედეგებს. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სახალხო განათლების მატერიალური ბაზისი არა თუ არ სუსტდება, პირიქით, ძლიერდება კიდეც.

მუსავატური ბიუჯეტის 600.000 მანეთიდან, რომელიც სახალხო განათლებაზე იხარჯებოდა, 1924—25 წელს სახალხო განათლებაზე ჩვენ მიერ გაღებული თანხა 11 მილ. მანეთამდე გაიზარდა, ხოლო ამჟამად, 4 წლის შემდეგ, ამ საქმეზე ყველა წყაროდან გაღებული თანხა 2 ნახევარჯერ გადიდდა და შეადგენს 24,4 მილ. მანეთს, ე. ი თითო სულზე 11 მან. 89 კაპეიკ. ხარჯების ასეთი ზრდის მიუხედავად ჩვენ მაინც მეტად გვჭირია სახსრები. სოფლებში ამ ხნის განმავლობაში ჩვენ შევძელით ახალი შენობებით არსებული სასკოლო შენობების მხოლოდ ერთი მეხუთედის შეცვლა. ცნობილია, რომ ჩვენი ძველი სასკოლო შენობები სოფლებში გარეგანი შეხედულებით ძალიან ცოტათი ჰგავდნენ სკოლას.

ზევით აღვნიშნეთ, რომ პედტეხნიკუმებში მოსწავლეთა რიცხვი დიდია, მიუხედავად ამისა, ჩვენ ჯერ კიდევ კარგი კვალიფიკაციის მასწავლებელთა დიდ ნაკლებობას განვიცდით. მართალია, აქაც გვაქვს დიდი მიღწევები. ჯერ კიდევ 1925—26 წელს პირველი საფეხურის სკოლებში ისეთი მასწავლებლები, რომელთაც დაბალი და შინაური განათლება ჰქონდათ მიღებული, 76,2 პროცენტს შეადგენდნენ, მაგრამ ჩვენ იმდენი შევძელით, რომ ეს პროცენტი ამჟამად 40-მდე დავიყვანეთ.

შემდეგ მნიშვნელოვან მიღწევას კულტურული მშენებლობის დარგში წარმოადგენს სკოლების დაახლოვება ადგილობრივ მოსახლეობასთან, ამ მოსახლეობისათვის მისაწვდომად გახდომა სკოლისა. ამ მიმართულებით მრავალი დადებითი ფაქტიდან საკმარისია შევჩერდეთ ერთზე: უმაღლეს სასწავლებლებში უფროსი და საშუალო აკადემიური პერსონალიდან თურქები შეადგენენ 42 პრ.-ს. ამას თუ მივუმატებთ თურქულ ენაზე საგამომცემლო მუშაობას, რომელიც ფართოდ განვითარდა (1927 წ. თურქულ ენაზე გამოიცა 700-ზე მეტი სახელწოდების სხვადასხვა წიგნი დიდი ტირაჟით), მაშინ ჩვენი მიღწევების სურათი ცოტად თუ ბევრად ცხადი გახდება.

საბჭოთა აზერბეიჯანის კულტურული ზრდის შედეგები გვარწმუნებენ, რომ მშრომელთა წინაშე მესამე ფრონტზე დასმული ახალი უდიდესი ამოცანა—1937 წელს საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება—დროზე და სავსებით შესრულებული იქნება.

ბაქოს საბჭოს შემდეგ, სალიანის აღმასკომმა განახორციელა საყოველთაო სავალდებულო სწავლება ქალაქის ტიპის ადგილებში, ხოლო მთელ მაზრაში მისი განხორციელება განზრახულია ხუთი წლის განმავლობაში. ასეთივე განზრახვა აქვს აღდამის აღმასკომს.

საბჭოთა აზერბეიჯანის ამ ორი საქმის ახალი თურქული ანბანის შემოღება და თურქი ქალის განთავისუფლება—შედეგები ნათლად ამტკიცებენ. თუ რა დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგია იფარება ოქტომბრის რევოლუციის მიერ განთავისუფლებულ ხალხში, თუ როგორ სწრაფად იზრდება ყოველ წლობით მოახლოვებული კულტურული რევოლუციის წინასწარი პირობები.

გ. მუსაბეკოვი.

ბაქო, 31 დეკემბერი.

[illegible] რევოლუციონური ინტელიგენცია, მშრომელი გლეხობა ერთხმად მო[illegible] ახალი ანბანის დაწყებულ კულტურულ რევოლუციას. ბნელი, დრომოჭმული ელემენტები [illegible] ძალღონით ებრძოდნენ [illegible] ანბანს, როგორც მათთვის სარწმუნოების, კონსერვატიზმის სიმბოლოს [illegible] საუკუნეთა განმავლობაში პროლეტარიატმა გადამჭრელი დამარცხება კიდევ აწვნია მტრებს კულტურულ ფრონტზე, და ახალი ანბანის იდეა უკვე გასცდა პატარა აზერბეიჯანის საზღვრებს, მოეფინა საბჭოთა კავშირის ყველა თურქულ რესპუბლიკას და ჩამოაყალიბა მთლიანი ანბანის სისტემად. ეს ანბანი შეფარდებულია საბჭოთა კავშირის იმ ერთვ[illegible]ბათა ენების თავისებურობასთან, რომელნიც დღემდე არაბული ანბანით სარგებლობდნენ.

მაგრამ ახალი ანბანის გამარჯვება მარტო საბჭოთა კავშირის ფარგლებით არ განისაზღვრება. 1928 წელიწადი, საბჭოთა აზერბეიჯანში არაბული ანბანის არსებობის ეს უკანასკნელი წელიწადი, იმავე დროს ახალი ანბანის დაბადების წლად იქცა თურქეთის რესპუბლიკაში, რომელიც ამ ანბანს გულმოდგინედ ატარებს საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგში.

ამრიგად, საბჭოთა აზერბეიჯანის ფარგლებში განხორციელებული იდეა ახალი ანბანისა, მარჯვების მრავალი საფეხურის გავლის შემდეგ, საბოლოოდ განმტკიცდა თურქულ-თათრულ საბჭოთა რესპუბლიკებში, გასცდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს და თურქეთის საზღვრებშიაც შეიჭრა.

მაგრამ, ცხადია, ამით არ განისაზღვრება კულტურის, პროგრესისა და ცოდნის გამარჯვება უმეცრებასა და სიბნელეზე.

ახალ გამარჯვება მიღწეული იქნება აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიაც, რომლებიც ჯერ კიდევ სარგებლობენ არაბული ანბანით, [illegible] აღმოსავლეთში რევოლუციის ეხლანდელი განვითარება შემდეგია კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) დაუცხრომელი მუშაობისა.

აზერბეიჯანის მშრომელთა მსგავსად, ახლო აღმოსავლეთის ყველა დაჩაგრულმა მშრომელმა კიდევ უფრო გადაჭრით უნდა მიჰყოს ხელი ბრძოლას აღმოსავლეთის მშრომელთა განსათავისუფლებლად ევროპის ბურჟუაზიის მონობისაგან და საუკუნოებრივ უმეცრებისა და უკულტურობის გავლენისაგან.

ტყუილად არ უწოდა ოქტომბრის რევოლუციის დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა ახალი ანბანის გასატარებლად დაწყებულ მუშაობას მეორე რევოლუცია აღმოსავლეთში.

ეს რევოლუცია აღმოსავლეთში უკვე დაიწყო. იგი გამარჯვებით მიდის წინ და ანადგურებს თავის გზაზე ყოველსავე დამყაყებულს, ძველს და ანტიკულტურულს.

ეს რევოლუცია პირმშო შვილია დიდი ოქტომბრისა, რომელმაც აყვავების ფართო შესაძლებლობა გადაუშალა აღმოსავლეთის ჩამორჩენილ ხალხებს. ეს რევოლუცია შედეგია კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მუშაობისა, იმ პარტიისა, რომელმაც ამოცანად დაისახა აღმოსავლეთისა და მთელი ქვეყნის ყველა დაჩაგრული ერის განთავისუფლება. პარტია საშუალებას აძლევს ყოველ წვრილ ერს—განავითაროს თავისი ნაციონალური კულტურა და ებრძოლოს იმ საუკუნოებრივ უმეცრებას, რომელსაც ადგილი აქვს აღმოსავლეთის ქვეყნებში, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში აზერბეიჯანის მშრომელები, ბაქოს პროლეტარიატის ხელმძღვანელობით აზერბეიჯანის ტერიტორიიდან ძველი ანბანის განდევნის მსგავსად, ყველა თურქულ-თათრულ ეროვნებასთან მჭიდრო კავშირის გზით, გამართავენ კიდევ ერთს სახალხო პროლეტარულ დღესასწაულს ლოზუნგებით: „ძირს ჩადრი“, ძირს უზარმაზარი „ფაფახი“! „ძირს მთელი ძველი ყოფა-ცხოვრება!“ და ამ ძველი ყოფა-ცხოვრების ნაცვლად ისინი დაამკვიდრებენ ახალ ცხოვრებას, ახალ და უტყუარ პროლეტარულ კულტურას და შემდეგ—სოციალისტურ ცხოვრებასა და მშენებლობას.

მ. ტაგიევი.

მისალმებები აზერბეიჯანის მშრომელთ

ახალ ანბანზე საბოლოოდ გადასვლის გამო ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი მისალმება აზერბეიჯანის საბჭოთა სოც. რესპუბლიკის მშრომელებს.

სრული გამარჯვება ძველ ანბანზე და საბოლოოდ გადასვლა ახალ ანბანზე გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს გულში ყველა კლასობრივ მტრებს და ბნელი წარსულის ყველა ნაშთს. იგი მოახწავებს სოციალიზმის მშენებლობის ახალი საფეხურის დასაწყისს.

ახალი ანბანი ფართო გზას უხსნის მშრომელებს კულტურისაკენ და აღმოსავლეთის ხალხთა მშრომელების უფრო მეტი დაახლოვებისაკენ.

ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ამ.-კავკასიის სამხარეო კომიტეტი მოუწოდებს ბაქოს პროლეტარულ ახალგაზრდობას, რომელიც სათავეში უდგას კულტურული რევოლუციის მოძრაობას და აზერბეიჯანის ყველა კომკავშირელსა და მშრომელ ახალგაზრდობას—გაათკეცონ ენერგია კულტურული რევოლუციის ნამდვილი განხორციელებისათვის.

კომკავშირელებო! იყავით ახალი ანბანის მეგობართა და გამტარებელთა პირველ რიგებში და დაუნდობლად, მთელი რევოლუციონური ენერგიით ამხილეთ მოწინააღმდეგენი.

ახალი ანბანის შემწეობით ბოლო მოუღეთ წერა-კით. უცოდინარობას კომკავშირელთა და მშრომელ ახალგაზრდათა შორის.

კომკავშირელებო! იყავით ყოველთვის კულტურული რევოლუციის ახალი საქმის ინიციატორები და ხელის შემწყობნი.

გაბედული და მტკიცე ნაბიჯით გავსწიოთ წინ ახალ გამარჯვებათა გზით.

გაუმარჯოს აღმოსავლეთის პროლეტარული რევოლუციის ანბანს!

გაუმარჯოს აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკას—სოციალისტური მშენებლობის ქვეყანას.

საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის მდივანი **ახუნდ-ზადე.**

—:—

პარტიული და საბჭოთა მუშაკების ჯგუფმა აზერბეიჯანის ცაკის მდივანს ამხ. აგამალი-ოღლის გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

მივესალმებით აზერბეიჯანის მშრომელებს 1-ლ იანვარს, იმ დღეს, როდესაც აზერბეიჯანი კულტურული რევოლუციის საქმეში გადადის თავისი განვითარების ახალ ისტორიულ საფეხურზე.

აზერბეიჯანის მშრომელების გადასვლა სწავლების საქმეში ახალ თურქულ ანბანზე წარმოადგენს ჩვენი დიდი მასწავლებლისა და ბელადის ლენინის ანდერძის ნამდვილ განხორციელებას, ლენინმა სიკვდილამდე დიდი ხნით ადრე განმარტა, რომ კულტურულმა რევოლუციამ აღმოსავლეთში უნდა იაროს [illegible] აღმოსავლეთის ხალხთა ახალ თურქულ ანბანზე გადასვლის გზით.

არაბული ანბანი შეადგენდა ბურჟუაზიის ზედაფენების—ბეგებისა, ხანებისა, მოლებისა და სეიდების მცირე ჯგუფის პრივილეგიას. ამათ შეგნებულად სიბნელეში ჰყავდათ მშრომელები. არაბული ანბანი მათთვის წარმოადგენდა მუშათა და გლეხთა ბნელი მასების დამონებისა და ეკონომიური ექსპლოატაციის იარაღს.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო მემამულე-[illegible] ბურჟუაზიულ-მუსავატური მთავრობის ბატონობა, დაამსხვრია სიბნელისა და უმეცრების ბნელი ჯაჭვები და ამით სოციალისტური მშენებლობის ფართო შესაძლებლობა გადაუშალა თვითონ მშრომელებს.

1-ლ იანვრიდან ახალ თურქულ ანბანზე გადასვლა უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს აზერბეიჯანისა და მასთან ერთად საბჭოთა კავშირის მთელი აღმოსავლეთის თურქულ-თათრულ ხალხთა მშრომელებს. ეზიარონ საერთო სოციალისტურ კულტურას და [illegible] მოწინავე ხალხთა ტექნიკას, უმთავრესად კი ახალ ანბანზე გადასვლა საშუალებას აძლევს მშრომელებს—შეიგნონ ლენინური მოძღვრება, ლენინიზმი და მარქსიზმი.

გაუმარჯოს ბაქოს პროლეტარიატს, კულტურული რევოლუციის ხელმძღვანელს და აღმოსავლეთში სიბნელისა და უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლის დროშის პირველ აღმმართველს!

ტაგიევი, ჰუსეინოვი, იზმაილოვი, იაკუბოვი, ნარიმანოვი, ა[illegible]როვი, ნაზიევი, გაჯინსკი, ხალილოვი, შირვანსკი, ახუნდ-ზადე, ნაჯაფოვი, რასულ-ზადე, იუზბაშევი, ტაგი-ზადე, ნადირშინი, სუზბანკულოვი, შარიფოვი, სუმიხი.

კულტურული რევოლუცია აღმოსავლეთში

ახალი წლის პირველ დღეს დაჰკრავს დამკვიდრებული არაბული ანბანის არსებობის უკანასკნელი საათი, იმ ანბანის, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აფერხებდა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ განვითარებას. ამ დღიდან ლათინური ანბანი ერთად-ერთ ანბანად არის გამოცხადებული მთელი აზერბეიჯანისათვის, ხოლო არაბული ანბანი ამ ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებიდან სრულიად განიდევნება.

თურქული კულტურის ყველაზე უფრო განათლებულმა წარმომადგენლებმა, ყველაზე უფრო პროგრესიულმა ელემენტებმა ჯერ კიდევ რამდენიმე ათი წლის წინად შეიგნეს, თუ რამდენად უვარგისია თურქული ენისათვის არაბული ანბანი. მათ მაშინვე წამოაყენეს ახალი ანბანის (ლათინური ტრანსკრი პროექტი. მაგრამ პროექტი პროექტად რჩებოდა და არც ერთს მთავრობას ამ პროექტის განხორციელებისათვის ხელი არ მოუკიდებია. არაბული ანბანი განაგრძობდა არსებობას იმ დრომდე, სანამ არ იფეთქა ოქტომბრის რევოლუციამ.

აზერბეიჯანის საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის მეორე წელსვე დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ ძველი არაბული ანბანი შეცვლილიყო ლათინური ანბანით, ხელისუფლება სამართლიანად სთვლიდა, რომ ანბანის საკითხს უდიდესი სოციალურ-კულტურული ფაქტორის მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ახალი თურქული ანბანის შესადგენად და შემდეგ ცხოვრებაში გასატარებლად მან შექმნა სპეციალური კომიტეტი.

და მაშინ, როდესაც მთელი მუშათა კლასი,

საბჭოთა არჩევნებისათვის

იწყება საბჭოების საანგარიშო კამპანია

თბილისის აღმასკომის მოწოდება

ქალაქ თბილისის და მისი მაზრის მშრომელებს

ამხანაგებო!

საბჭოების მომავალ საანგარიშო - საარჩევნო კამპანიას განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა.

სოციალისტური მშენებლობის გაშლა, სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის გაძლიერებული შეტევა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და, ამასთან დაკავშირებით, ზოგიერთი სამეურნეო დაბრკოლებები,—აი რა ახასიათებს უმთავრესად ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო მდგომარეობას, რომელშიაც გვიხდება საბჭოების მომავალი არჩევნების ჩატარება, უკანასკნელი საარჩევნო კამპანიის შემდეგ გავიდა ორი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ საგრძნობლად წავიწიეთ წინ სოციალიზმისაკენ. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ჩვენი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა, პირველ რიგში კი მისი სოციალისტური სექტორი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების იზრდება, მომავალი არჩევნებისათვის ჩვენ სწორი პოლიტიკის მეოხებით. სწრაფი ტემპით თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს სამეურნეო მშენებლობის დარგში, საგრძნობლად გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი ბიუჯეტი, ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობისათვის გადადებულია მნიშვნელოვანი თანხები, ჩვენი ქვეყანა გადაუხრელად მიდის ინდუსტრიალიზაციის გზით, არის მიღწევები სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დარგში. აგრეთვე წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა უფრო მსხვილი, განსაზოგადოებული მეურნეობაზე გადაყვანის საქმეში, მთელი სახალხო მეურნეობის წინსვლასა და პროლეტარულ სახელმწიფოს მბრძანებელი მწვერვალების განმტკიცებასთან ერთად, უმჯობესდება მშრომელი მასების ნივთიერი მდგომარეობაც და იზრდება მუშათა და მშრომელ გლეხთა პოლიტიკური აქტივობა და ორგანიზაციული დარაზმულობა.

ეს მიღწევები გვაქვს, მიუხედავად ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების თავგამოდებული წინააღმდეგობისა, იმ ელემენტების წინააღმდეგობისა, რომელნიც ყოველნაირ სპეკულიაციას ეწევიან ჩვენ სამეურნეო დაბრკოლებებზე და არაფერს არ ერიდებიან, რომ ჩაშალონ სოციალიზმის მშენებლობა ჩვენში. ეს წინააღმდეგობა—კლასობრივი ბრძოლა—განსაკუთრებით წვავდება პროლეტარული დიქტატურის ორგანოების—საბჭოთ ტარული დიქტატურის ორგანოების—საბჭოების არჩევნების დროს.

ჩვენი კლასობრივი მტრები, ნეპმანური და კულაკური ელემენტები საბჭოების მომავალ საარჩევნო კამპანიაში ყოველნაირად შეეცდებიან ხელი შეგვიშალონ, შეეცდებიან დაიპყრონ პოზიციები და გაიყვანონ საბჭოებში თავიანთი წარმომადგენლები. ამიტომ, ჩვენი მოწინააღმდეგების პოლიტიკური აქტივობის რამდენადმე გაძლიერების გამო, საბჭოების მომავალი საარჩევნო კამპანია ჩატარდება უფრო გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, ვიდრე წინანდელი კამპანია.

კაპიტალისტური ელემენტების გადიდებულ პოლიტიკურ აქტივობას, რომელსაც ავიწროებს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე კლასობრივი პოლიტიკა, უნდა დაუპირისპიროთ მუშათა კლასისა და მოჯამაგირეების, სოფლის ღარიბი მოსახლეობის და ქალაქის და სოფლის მთელი მშრომელი მასის უაღრესად გაძლიერებული აქტივობა და ორგანიზაციული შეკავშირება, რათა გადაჭრით აღვკვეთოთ ამ ელემენტების ცდა—გავლენა მოახდინონ არჩევნების მსვლელობაზე, პოლიტიკურად განვამარტოვოთ ისინი და დავასუსტოთ მათი პოზიცია.

მომავალ საარჩევნო კამპანიაში, მუშათა კლასი, მოჯამაგირეები, სოფლის ღარიბი მოსახლეობა და საშუალო გლეხობა, დარაზმული კომუნისტური პარტიის ირგვლივ, აქტიურად და ორგანიზაციულად შეკავშირებულნი უნდა წავიდნენ საბჭოების არჩევნებზე. მათ უნდა გაითვალისწინონ არჩევნების ჩატარების ყველა სიძნელე და უნდა უზრუნველყონ თავიანთი კლასობრივი ბატონობის აპარატის განმტკიცება.

საარჩევნო კამპანია უნდა გადაიქცეს შემდგომ ნაბიჯად საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების გზაზე. ამ დარგში თბილისის აღმასკომს საგრძნობი მიღწევები აქვს. საბჭოთა პლენუმების მეშვეობით, სექციებისა და კომისიების მეშვეობით საბჭოთა პრაქტიკულ მშენებლობაში ჩაბმულია სოციალისტური მეურნეობის მშენებელთა ახალი კადრები მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის წრიდან. საბჭოების მომავალი არჩევნების საშუალებით საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში და სახელმწიფო მართვა-გამგეობის ორგანოებში უნდა ჩავაბათ ქალაქის მუშების, მოჯამაგირეების, ღარიბი და საშუალო გლეხთა ახალი ფენები.

ამიტომ საარჩევნო კამპანიის პრაქტიკულ ლოზუნგად უნდა გადაიქცეს მუშების, მოჯამაგირეების და ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელის 100 პროცენტიანი მონაწილეობა საანგარიშო კრებებში და საბჭოების გადარჩევაში. **საბჭოებში უნდა გავიდნენ დაზგის საუკეთესო მუშები და ნამდვილი გლეხები!** საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, უნდა ჩატარდეს საბჭოების პრაქტიკული მუშაობის შემოწმების ნიშნის ქვეშ. ამ მუშაობის შემოწმება უნდა მოხდეს ფართო საქმიანი თვითკრიტიკის გზით.

საჭიროა მშრომელი მასების წინაშე ფართოდ გავაშუქოთ ჩვენი მიღწევები, დეფექტები და დაბრკოლებები, რომელნიც წინ გვეღობებიან, უნდა აუხსნათ მასებს ამ დაბრკოლებების ხასიათი და მიზეზები და არ მივცეთ საშუალება ანტი-საბჭოთა ელემენტებს თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ თვითკრიტიკა და მოხვდენ საბჭოებში ჩვენი მეგობრების სახით, არჩევნებმა, რომლებიც ჩატარებულ უნდა იქნენ ფართო საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის საფუძველზე, უნდა უზრუნველჰყონ მუშათა, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა გავლენის გაძლიერება საბჭოებში, ხელი უნდა შეუწყონ მათი ახალი კადრების ჩაბმას პროლეტარულ სახელმწიფოს მმართველობა-გამგეობის საქმეში.

საჭიროა ჩვენი კანონების საფუძველზე ფხიზლად თვალ-ყური ვადევნოთ იმას, რომ არც ერთი კულაკი, ნეპმანი, მღვდელი, ვაჭარი, ექსპლოატატორი და, საერთოდ, ანტი-საბჭოთა ელემენტი არა თუ არ იქნას არჩეული საბჭოებში, არამედ არც მიეცეთ მათ საარჩევნო ხმა.

ჩვენი სინამდვილის პირობებში (მრავალი ეროვნებები) სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობას საბჭოებში ამავე დროს საჭიროა ენერგიული ბრძოლა ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ.

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ქალაქ თბილისის პროლეტარიატი, დაყრდნობილი მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ფენებზე, საშუალო გლეხობასთან კავშირში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მომავალ არჩევნებში თავისი ერთსულოვანი მონაწილეობით ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს თავის ძალას და კლასობრივ შეგნებას.

პროლეტარული დიქტატურის ორგანოები —ქალაქისა და სოფლის საბჭოები—უფრო განმტკიცებულნი გამოვლენ საარჩევნო კამპანიიდან, გააძლიერებენ კავშირს ამომრჩეველთა ფართო მასებთან და განამტკიცებენ პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს ჩვენს ქვეყანაში.

პროლეტარებო და ყველა მშრომელნო! მომავალ არჩევნებში, რომელიც ჩატარდება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დააწინაურეთ საბჭოების აქტიურ მუშაკთა ახალი კადრები, მებრძოლთა, სოციალიზმის მშენებელთა ახალი არმია!

გაუმარჯოს ინდუსტრიალიზაციის შემდგომ განვითარებას და მშრომელთა ნივთიერი კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებას!

გაუმარჯოს სოფლის მეურნეობის კოოპერატიულად შეკავშირებას და კოლექტივიზაციის განვითარებას!!

გაუმარჯოს საბჭოების საიმედო დარაჯს—წითელ არმიას და საბჭოთა კავშირის თავდაცვის განვითარებას!

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი.

მუშა და გლეხ ქალთა მონაწილეობა არჩევნებში

საარჩევნო კამპანია არის უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანია, რომლის დროსაც კლასობრივი ბრძოლის გამწვავება უფრო მკვეთად იჩენს თავს, ვიდრე წინა წლებში, რაც უფრო გავაძლიერებთ შეტევას კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ, მით უფრო გამოიჩენენ და გააძლიერებენ ისინი თავიანთ აქტივობას. და, რა თქმა უნდა, ამ ბრძოლაში ისინი გამოიყენებენ ქალაქისა და სოფლის ჩამორჩენილ ფენებს, ხოლო ჩამორჩენილი მასების რიცხვს ჯერ-ჯერობით ქალებიც ეკუთვნიან.

წარსული საარჩევნო კამპანიის დროს ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, რომ სათანადო ანგარიშს ვერ უწევდნენ საარჩევნო კრებებზე ამომრჩეველ ქალთა გამოცხადების პოლიტიკურ მნიშვნელობას, რაც ამცირებდა არჩევნებზე გამოცხადებულთა საერთო პროცენტს. საქართველოში მშრომელი ქალები შეადგენდნენ არჩევნებში მონაწილეობის მიმღებთა 37,7 პროცენტს. ეს პროცენტი საქართველოსათვის არასაკმაოდ უნდა ჩაითვალოს. მომავალი არჩევნების დროს ქალთა აქტივობის გასაძლიერებლად საჭიროა: ჯერ-ერთი—საარჩევნო კომისიებში ჩაბმულ იქნან აქტივისტი ქალები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ როგორც საარჩევნო კომისიის საერთო მუშაობას, ისე, კერძოთ, მუშა და გლეხი ქალების არჩევნებში ჩაბმას.

მეორე—საანგარიშო კამპანიაში, რომელიც მთელ საქართველოში 1 იანვრიდან იწყება, უნდა ჩავაბათ დეპუტატი ქალები, რისთვისაც მათ საანგარიშო მოხსენებები უნდა გავაკეთებინოთ არა მარტო ქალთა კრებებზე, არამედ საერთო კრებებზედაც, რაც ხელს შეუწყობს დეპუტატი ქალის აქტივობისა და მისი ავტორიტეტის გაძლიერებას ამომრჩეველთა თვალში.

მესამე—წარსული საარჩევნო კამპანიის გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ ღარიბ გლეხთა კრებებზე მონაწილეობას იღებდა ღარიბ გლეხ და მოჯამაგირე ქალთა 2 პროცენტი; ეს გარემოება მთელი სიმწვავით აყენებს საარჩევნო კომისიების წინაშე იმ საკითხს, რომ მომავალი არჩევნების დროს გაძლიერებული ყურადღება მიაქციონ ღარიბ გლეხ ქალთა და მოჯამაგირე ქალთა დარაზმვას.

მეოთხე—უწყებების დაგზავნამ წარსული არჩევნების დროს რამდენადმე ხელი შეუშალა ამომრჩეველ ქალთა აქტივობის ზრდას, განსაკუთრებით ჩამორჩენილ რაიონებში (სადაც ქალს უფლება არა აქვს სახლიდან გამოვიდეს თუ საპატიო მიზეზი არა აქვს). ეს საქმე უნდა გაუმჯობესდეს იმ მხრივ, რომ უწყება ყოველ ამომრჩეველ ქალს უნდა ჩაბარდეს და არა ოჯახის მეთაურს, რომელიც ჯიბეში იდებს უწყებას და არც კი აგებინებს ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით ქალებს, რომ უწყება მიიღო. საარჩევნო კომისიები ოჯახის მეთაურის მიერ წარდგენილ უწყებებს კი არ უნდა იღებდნენ მხედველობაში, არამედ იმას, თუ **ნამდვილად** რამდენი ამომრჩეველი ქალი დაესწრო კრებას.

მეხუთე—საარჩევნო კრების ჩატარების დრო და ადგილი შეფარდებულ უნდა იქნას ამომრჩეველ ქალთა ყოფა-ცხოვრების პირობებთან. ნაწილობრივი არჩევნების შესახებ მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ამ მომენტებისათვის სათანადო ანგარიშის გაუწევლობამ დიდი გავლენა იქონია ამომრჩეველ ქალთა გამოცხადებაზე, მაგალითად, როკის რაიონში (სამხრეთ-ოსეთი), სადაც არჩევნები ღამე ჩაატარეს, ქალთა გამოცხადების პროცენტი 68-დან 24-მდე შემცირდა, რა თქმა უნდა, ეს მომენტი არ ახასიათებს საარჩევნო კამპანიას მთელ საქართველოში და არჩევნებში ქალების მონაწილეობას, მაგრამ მაინც სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს.

მეექვსე—მომავალი საარჩევნო კრებები გამოყენებულ უნდა იქნან ქალის ფაქტიურად განთავისუფლებისათვის საბრძოლველად, კერძოდ იმისათვის, რომ ბრძოლა გამოეცხადოს ჩადრის ტარებას, მცირეწლოვანთა გათხოვებას, ყალინს, მონობისა და დამცირების სიმბოლოს „ბოსელს", რომელშიაც მშობიარობის დროს ქალს პირუტყვივით ამწყვდევენ, და სხვ. **საბჭოებმა უნდა განიხილონ და დაგმონ ყველა ასეთი ჩვეულება**

მერვე არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ იმ უმსგავსო ფაქტებს, რომლებსაც წარსული არჩევნების დროს ზოგიერთ მაზრაში ჰქონდა ადგილი: მაშინ, როდესაც ანტისაბჭოთა ელემენტების ოჯახის წევრები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, როგორც მოსამზადებელ, ისე საარჩევნო კამპანიაში, კომუნისტებისა და კომკავშირელების ოჯახის წევრები სრულებით არ ესწრებოდნენ კრებებს. ისინი, ჩადრით თუ უჩადროთ სახლში ისხდნენ კარგამოკეტილნი. ამ მომენტს ანგარიში უნდა გაუწიონ თვით პარტიის წევრებმა და კომკავშირელებმა ადგილებზე.

ყველა აღნიშნული მომენტის გარდა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ დისპროპორციას: არჩევნებში მონაწილეთა შორის ქალები შეადგენენ 37 პროცენტს, ხოლო საბჭოებში არჩეულთა შორის—8.2 პროცენტს. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ქალთა დაწინაურებისა და მუშაობაში ჩაბმის საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ეხლა უკვე ზედმეტია აგიტაციის გაწევა იმის შესახებ, რომ ქალს შეუძლია მუშაობა. ქალმა უკვე საკმაოდ გამოიჩინა თავი მუშაობაში.

როდესაც ქალს დავაწინაურებთ, მას სერიოზული საქმიანი პირობები უნდა შევუქმნათ. ის ღონისძიებები, რომლებსაც ანხორციელებს პარტია მუშა ქალთა ხელმძღვანელ სამუშაოზე დასაწინაურებლად, უნდა განმტკიცდნენ საარჩევნო კამპანიის პროცესში. ქალთა დაწინაურება უნდა გატარდეს საბჭ. აპარატის ყველა საფეხურზე, ქვედა საფეხურის ორგანოებიდან სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეობამდე.

ამჟამად მთელ საქართველოში მიმდინარეობს უპარტიო ქალთა აქტივის კონფერენციები, სადელეგატო კრებებზე ირჩევა არჩევნების საკითხი. 5 იანვრისათვის თბილისში დანიშნულია ქალთა ორგანიზატორების რესპუბლიკანური თათბირი. მაგრამ ის ღონისძიებანი, რომლებსაც ანხორციელებენ მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებები, ვერ უზრუნველჰყოფენ ქალთა ასპროცენტიან მონაწილეობას, თუ პარტიულმა, კომკავშირის, პროფკავშირების და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დიდი ყურადღება არ მიაქციეს არჩევნებში მშრომელ ქალთა ჩაბმას და თუ ამოცანად არ დაისახეს—განახორციელონ მათი 100 პროცენტით მონაწილეობა.

ვარო ჯაფარიძე.

მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე

გორის მაზრაში

პარტორგანიზაციის მონაწილეობა არჩევნებში

გორის სამაზრო აღმასკომთან არსებული კომუჯრედი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. უჯრედმა დაამუშავა კალენდარული გეგმა, თუ რაში უნდა გამოიხატოს კომუჯრედის მონაწილეობა არჩევნებში. დაწვრილებით განხილულ იქნა საარჩევნო ინსტრუქცია, რის შემდეგაც ცალკე უბნებში მისამაგრებლად გამოყო კომუჯრედის წევრები. შავი და თეთრი სიების სწორად შედგენისათვის გორის ქალაქის საბჭოზე მიმაგრებულია ხუთი ამხანაგი. კომუჯრედის სხდომის დადგენილებით გამოწვეულია ხაშურის საბჭოთა უჯრედი, თუ ვინ უკეთ გაატარებს პარტიის უმაღლესი ორგანოების დირექტივებს საბჭოების მიმდინარე გადარჩევებთან დაკავშირებით.

კომუჯრედის მორიგ სხდომაზე დასმულია ქალაქის საბჭოსთან არსებული საარჩევნო კომისიის მოხსენება და ამავე საარჩევნო კომისიის გეგმის განხილვა. გეგმაში გათვალისწინებულია აგრეთვე ქალაქის საბჭოს წევრ-კომუნისტის მოხსენების მოსმენა და განაწესის პროექტის დამუშავება.

გამოშვებულ იქნება კედლის გაზეთის ორი სპეციალური ნომერი სამმუშაკთა ადგილკომთან ერთად, სადაც გაშუქდება საბჭოს არჩევნების მიმდინარეობისა და მასში კომუჯრედის მონაწილეობის საკითხი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არც ერთი კომუჯრედის წევრი არ არის დარჩენილი არჩევნებთან დაკავშირებით, რაიმე პრაქტიკული დავალების გარეშე, კომუჯრედი სათანადო ხელმძღვანელობას უწევს კომკავშირს გორის მოჯამაგირეთა უჯრედს, რომ მათაც აქტიური მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე საბჭოთა არჩევნების კამპანიაში.

კ. შეროზია.

ქარელის თემი

სათემო საარჩევნო კომისია მუშაობას შეუდგა დეკემბერში. გეგმის მიხედვით, მთელი მუშაობა დაყოფა სამ პერიოდად, თემი დაყოფილია 34 საარჩევნო უბნად, ნაცვლად წინანდელი 26-ისა. თვითეულ უბანზე მიმაგრებულია კომისიის წარმომადგენლები. მოწვეულ იქნა თემის კულტძალების თათბირი და მოსახლეობის აღწერა ჩატარდა სისწრაფით.

მოწვეულ იქნა უპარტიო ქალთა კონფერენცია, სადაც დასმული იყო საკითხი საბჭოთა არჩევნებში ქალთა მონაწილეობის შესახებ. კონფერენციამ გამოთქვა იმედი, რომ ქალები მთელი ასი პროცენტით მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში.

ყურთევე სადელეგატო პუნქტებმა მოისმინეს სათემო წევრ-ქალის საანგარიშო მოხსენება, რამაც გაზარდა ქალთა აქტივობა.

საკითხი დამუშავდა ღარიბთა კრებებზე. ღარიბები აქტიურად გამოდიოდნენ კამათში (35-მდე მიიღო მონაწილეობა) და აღუთქვამდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, რომ დაირაზმებიან საშუალო გლეხობის საუკეთესო ნაწილთან და საბჭოთა არჩევნებს ჩაატარებენ კულაკის სრული იზოლაციით.

მელო.

შორაპნის მაზრაში

საჩხერის თემი

დ. საჩხერეში უკვე დაიწყო საარჩევნო სამზადისი, თემში არჩეულია საარჩევნო კომისია 11 კაცის შემადგენლობით. ამ დღეებში შეუდგებიან უბნებში ანგარიშების ჩაბარებას ამომრჩევლებზე.

დ. საჩხერე კონტრ-რევოლიუციონური კუთხეა, სადაც თვალსაჩინოდ ვხედავთ მოკალათებულ ჯერ კიდევ განუდევნელ ანტი-საბჭოთა ელემენტებს ყოფ. თავად-აზნაურების სახით, სასულიერო კულტ-მსახურებთან ხელიხელ ჩაკიდებულ მომუშავეთ.

წარსულ საბჭოთა არჩევნებში როგორღაც ამ მახინჯი ელემენტების გავლენა ნაწილობრივ ყოფილა მოპოებული საბჭოში მათი შემადგენლობიდან წევრების გაყვანით, ხოლო წელს კი მშრომელთა სისხლის მწოველებს ადგილი არ ექნებათ არამც თუ საბჭოში, არამედ საარჩევნო უბნებში მოწვეულ კრებებზედაც. მშრომელთა თვალი ფხიზელია.

შ. კალანდაძე.

ოზურგეთის მაზრაში

წინასწარი სამზადისი დამთავრდა

(წერილი ოზურგეთიდან)

საბჭოების საგადარჩევო კამპანიის წინასწარი საორგანიზაციო და ტექნიკური მუშაობის სამზადისი გურიაში სავსებით დამთავრებულია.

მაზრა დაყოფილია 88 საარჩევნო უბნათ, წინააღმდეგ წარსული არჩევნების 68 საარჩევნო უბნისა.

ჩატარებულ იქნა აქტივ გლეხთა სამაზრო კონფერენცია საბჭოების გადარჩევასთან დაკავშირებით, სადაც 107 დამსწრედან კამათში გამოვიდა 85 ქალი, რომლებიც აშუქებდენ ყველა საჭირბოროტო საკითხს და თვითეული მათგანის გამოსვლა იყო საღი და საქმიანი.

აგრეთვე რაიონების მიხედვით ჩატარებულ იქნა თათბირები სათანადო საარჩევნო ინსტრუქციების განხილვის და გაცნობის მიზნით.

განზრახულია ახლო ხანში მოეწყოს ქ. ოზურგეთის და მისი რაიონში შემავალ კორესპონდენტთა რაიონული თათბირი. კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით მიმდინარეობს შეუჩერებელი მუშაობა, როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა მთელ რიგ ორგანიზაციების ხაზით.

წარსული წლის არჩევნებიდან ეხლანდელი საარჩევნო სამზადისი განირჩევა მით, რომ წელს მასსა განურჩევლად სქესისა აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საარჩევნო სამზადისში.

სამაზრო საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებულ გეგმის თანახმად. საარჩევნო კამპანია დაყოფილია სამ პერიოდად: პირველი პერიოდი—1-ველ დეკემბრიდან პირველ იანვრამდე, მე-2 პერიოდი—პირველ იანვრიდან პირველ თებერვლამდე და მესამე პერიოდი (საბჭოების დეპუტატების არჩევა და ნაკაზის განხილვა). დაიწყება თებერვლის პირველ რიცხვებში და დამთავრდება თებერვლის მეორე ნახევარში.

ვ. ს—ძე.

პარტიაში

ნოემბრის პლენუმის შედეგების დამუშავება

თბ. საქონლის სადგურის მე-3 კომუჯრედში

თბილისის საქონლის სადგურის მე-3 კომუჯრედმა სახალხო სკოლის კომკავშირთან ერთად მოისმინა ამხ. **მექვაბიშვილის** მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ. ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში კრება მთლიანად უერთდება ცეკას პლენუმის დადგენილებებს და აღნიშნავს, რომ ძირითადი ამოცანების გადაჭრა, რომელიც სდგას პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნის ნიადაგზე.. ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ ამ ამოცანების გადასაჭრელად და არსებულ სიძნელეთა გადასალახავად საჭიროა დაუზოგველი ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზის ყოველგვარი გამრუდების წინააღმდეგ. განსაკუთრებით კი მემარჯვენე გადახრის, მასთან შემარიგებლობის და ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთების გამოცოცხლების ცდის წინააღმდეგ. კრება ავალებს უჯრედს თვითეულ წევრს დაწვრილებით შეისწავლონ ნოემბრის პლენუმის დადგენილებები და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მიღებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ხიდისთაველი.

წნორის რაიონის პარტაქტივის კრებაზე

ამ დღეებში მოწვეულ იქნა წნორის რაიონის პარტიის და კომკავშირის აქტივის გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოსმენილი იყო პარტკომის მდივნის ამხ. **ჯოჯუას** მოხსენება პარტიაში მემარჯვენე გადახრის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო თერთმეტმა ამხანაგმა. კამათში გამოსულ ამხანაგებს დაუშვებლად მიაჩნიათ კომუნისტურ პარტიაში ისეთი მოვლენების დაშვება, როგორიცაა ტროცკისტული ოპოზიცია, მემარჯვენე გადახრა, და მასთან შემარიგებლობა, ვინაიდან ეს საფრთხეს უმზადებს პარტიის მთლიანობას და აფერხებს მსხვილი ინდუსტრიის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განვითარების საქმეს. აღნიშნული გადახრები ხელს უწყობს აგრეთვე კულაკურ და ნეპმანურ ელემენტების გაძლიერებას, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტურ სახელმწიფოს შენებას და მშრომელთა ინტერესებს. აი რა აღნიშნეს კამათში გამოსულმა ამხანაგებმა.

წნორის რაიონის პარტაქტივის კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ის მთლიანად უერთდება საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებებს და მოითხოვს პარტიაში ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის წარმოებას.

ი. უჩა.

ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნის უჯრედში

საქ. კ. პ. (ბ) ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნის № 1-ლ კომუჯრედის გაერთიანებულმა სხდომამ კომკავშირის აქტივთან ერთად მოისმინა ამხ. ქ. **გურგენიძის** მოხსენება ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგების შესახებ. მოხსენების ირგვლივ სხდომამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია. რომლითაც სავსებით იწონებს პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებებს რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია:

„სხდომა ერთსულოვნად გმობს პარტიაში ყოველგვარ მერყეობასა და გადახრებს და საჭიროდ მიაჩნია პლენუმის მიერ მიღებული დადგენილებების მთელი ასი პროცენტით ცხოვრებაში გატარებას".

დ. ს—ძე.

კომკავშირში

რას მოითხოვენ კომკავშირელი გლეხები

(ფასანაურის ა. ლ. კ. კ. სათემო კონფერენციის გამო)

ფასანაურის ა.ლ.კ.კ. სათემო კონფერენციამ, რომელმაც ერთ დღეს გასტანა, მოისმინა ორი საანგარიშო მოხსენება: თბილისის კომიტეტის და თემკომისა.

აღვნიშნავთ იმ საკითხებს, რომლებზედაც გლეხ ახალგაზრდობამ შეაჩერა თავისი ყურადღება.

კომკავშირის მუშაკების მოსამზადებლად საჭიროა მოწყობილ იქნეს სპეციალური წრეები და მიღებული ცოდნის მიხედვით მიეცეთ სამუშაო.

მოჯამაგირეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიწა-ტყის კავშირმა უფრო ცხოველი მუშაობა უნდა აწარმოოს, თორემ მთაში მოჯამაგირეებს უწყალოთ ყვლეფენ კულაკები.

ფასანაურის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა ვერ არის სათანადოთ მოწყობილი. რის გამო მეცადინეობა ნაყოფიერად არ მიმდინარეობს. ნივთიერი ხელმოკლეობისა და მოუმზადებლობის გამო უღარიბესი გლეხობა დარჩენილია სკოლის გარეთ, სკოლაში კი უმეტესად საშუალო და კულაკური ელემენტები სწავლობენ.

ფასანაურის თემი უაღრესად ჩამორჩენილია, ამიტომაც თბილისის კომიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მას, ყოველშემთხვევაში საჭიროა თემკომის მდივანი იყოს ჯამაგირიანი. თორემ ზოგან ხელმძღვანელობის უქონლობის გამო ა.ლ.კ.კ. უჯრედები იშლება. კომკავშირელები პოლიტიკ. სრულიად მოუმზადებლები არიან, მათ არც პოლიტ წრეები აქვთ, არც შესაფერი ლიტერატურა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიას კომკავშირელებშიაც ფართოდ აქვს ფესვები გადგმული. ერთი წლის განმავლობაში ორმოცამდე კომკავშირელი გარიცხიათ რელიგიური წესების შესრულებისათვის. ანტირელიგიური ლიტერატურა ადგილობრივ არ მოიპოვება და არც რაიმე მუშაობა სწარმოებს ამ ფრონტზე

ზოგ სკოლაში ყველა მასწავლებელი კომკავშირელია, ზოგან კი თითქმის ყველა უპარტიო. რასაკვირველია, ეს არ არის ნორმალური.

ფასანაური მთაგორიანი ადგილია. იქ მესაქონლეობას მისდევენ და ზოგან მერძევეთა არტელები არის დაარსებული. კომკავშირელები არ არიან ჩაბმული არტელებში. ორატორები მოითხოვენ კომლმეურნეობათა შექმნას.

პარტიული ხელმძღვანელობა ძალზე მოისუსტებს. ეს გასაგებიც არის, რადგან ფასანაურში სულ სამი კომუნისტი სცხოვრობს და ცხადია ისინი ა.ლ.კ.კ. ხელმძღვანელობას ჯეროვან ყურადღებას ვერ მიაქცევენ. არ შეიძლება, რომ არ აღვნიშნოთ ერთი მეტად მტკივნეული საკითხი. საქმე იმაშია, რომ კ.კ. რიგებში რამდენიმე წლით იზრდებიან და იწვრთნებიან უღარიბესი ახალგაზრდა გლეხები და პარტიაში კი ვერ გადადიან. ჯერ ერთი რომ სამი კაცის რეკომენდაცია არ ჰყოფნით; მეორეც ადგილობრივი კომუნისტები ყველას ვერ იცნობენ და რეკომენდაციას არ აძლევენ. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება.

ფ. მესხიძე.

კომკავშირის ქალაქის რაიონის მე-11 კონფერენცია

მეოთხე სხდომა

კონფერენციის მეოთხე სხდომაზე გაგრძელდა კამათი რაიკომის მუშაობის საანგარიშო მოხსენების გარშემო.

ამხ. **კუსმინი** ეხება კომკავშირში ახალ წევრების მიღების საკითხს და ამბობს, რომ უჯრედები ორგანიზაციაში ღებულობენ ახალ წევრებს, ანკეტები დასამტკიცებლად ეგზავნება რაიკომს. აქ კი 5—6 თვეში ანკეტები უყურადღებოთ ყრია, მათი დაკარგვის შემთხვევაც ხშირია, რაც ცუდ განწყობილებას ჰქმნის ახლად მიღებულ წევრებში. ამ გარემოებას რაიკომმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს. გარდა ამისა კომკავშირელების დაწინაურებას პროფესიონალურ და სამეურნეო სამუშაოზე ნაკლები ყურადღება ექცევა. რაც მომავალში უსათუოდ უნდა გამოსწორდეს.

ამხ. მელქუმიანი აღნიშნავს, რომ კომკავშირელების პოლიტიკური მომზადების დონე დაბალია. არ გვაქვს სათანადო ბინები, რომ შევიკრიბოთ და მოვაწყოთ დისპუტები, მოხსენება-საუბრები სადღეისო საკითხებზე.

ამხ. **ბოჭორიშვილი** (კოჯორიდან) ამბობს: სოფლის უჯრედებს რაიკომი სუსტ ხელმძღვანელობას უწევს. კოჯორსა და სხვა თემებში ჩვენ არა გვყავს მომზადებული ძალები, არა გვყავს ხელმძღვანელები. სოფლის უჯრედებში არიან 26-27 წლიანები, მათ პარტიის რიგებში ვადარიცხვას ყურადღება არ ექცევა; კომკავშირელების პარტიის რიგებში მიღებას ხელს უშლის პოლიტიკური უცოდინარობა; ქალთა შორის მუშაობას არავითარი ყურადღება არ ექცევა. მომავალში რაიკომის ახალ შემადგენლობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის უჯრედებს, მიამაგროს მომზადებული ამხანაგები, რომლებიც თვეში ერთხელ მაინც უნდა ინახულონ უჯრედი და ჩაატარონ საუბარი შესაფერ თემებზე.

ამხ. ამარაშვილი ვრცლად შეეხო მემარჯვენე გადახრას, მასთან შემარიგებლობას და ტროცკისტული ოპოზიციის ნამსხვრევებთან ბრძოლის აუცილებლობას.

ამხ. მიქელოვი. საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების მუშაობაში გვაქვს ერთგვარი დეფექტები. სასწავლებლები ვერ გვაძლევენ სათანადოთ მომზადებულ ძალებს. რაიონულმა კომიტეტმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს წითელ სპეციალისტების მომზადებას.

კამათში მონაწ. მიიღო ამხ. **სტეპანოვმა, შუშიანმა,** გელოვანმა, რუსაძემ, აკოფოვმა, ბერიაშვილმა, ოგანეზოვმა, სალატოვმა, ბეჟანოვმა, გრავეიშვილმა, კვინტრაძემ, ლობჟანიძემ, რაჟინოვმა, გარდაველძემ, გამსახურდიამ, **ჩუბინიძემ** და სხვ.

პროლეტარულ სტუდენტთა სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. **პერვუშინი.**

მეხუთე სხდომა

კონფერენციის მეხუთე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **მაისურაძის** და **იაგნეტინსკის** საბოლოო სიტყვები. მომხსენებლებმა ამომწურავი პასუხი გასცა ყველა შეკითხვებს და ორატორების მიერ აღძრულ საკითხებს.

მეექვსე სხდომა

კონფერენციის მეექვსე სხდომა შესდგა გუშინ დილის ათ საათზე.

საკავშირო კომკავშირის ა. კ. საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მარტიროსიანმა.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო ა. კ. საოლქო კომიტეტის მიერ ჩატარებულ მუშაობას, აღნიშნა ორგანიზაციის ნაკლი და მიღწევები.

იმავე სხდომაზე ამხ. მარტიროსიანის მოხსენება ქართულად გადმოთარგმნა ამხ. **გოგოშვილმა.**

მეშვიდე სხდომა

კონფერენციის მეშვიდე სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. მარტიროსიანის მოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდა ამხ. **ნინუა, სალათოვი, ჯიქია, დანელია, ბარამიძე, იარულოვი, არჩუაძე** და სხვები.

კამათში გამოსული ორატორები უმთავრესად აღნიშნავდენ იმ ნაკლოვანებებს, რომელიც შემჩნეულ იქნა საანგარიშო პერიოდში. მაგ. პროტექციონიზმი, ბიუროკრატიზმი, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებისადმი სუსტი ხელმძღვანელობა და სხვ.

კამათის დასრულების შემდეგ **საბოლოო** სიტყვით გამოვიდა ამხ. მარტიროსიანი, მან ამომწურავი პასუხი გასცა ორატორების მიერ აღძრულ საკითხებს.

ამხ. მარტიროსიანის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციის მეშვიდე სხდომა დაიხურა.

26 კომუნარის რაიონის მე-11 კონფერენცია

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი რაიკომის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ.

ამხ. **ოვანესიანი.** კულტურული მუშაობა წარმოებებში ჩაბმულ ახალგაზრდა შორის უნდა გაძლიერდეს. ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ლოთობას, რომელსაც საკმაოდ აქვს გადგმული ფესვები ახალგაზრდობაში. ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრების საკითხები საკმაოდ უნდა გაუშუქდეს პრესაშიაც. ახალგაზრდობის მეტი ნაწილი უნდა ჩაებას საკლუბო მუშაობაში.

ამხ. **ამაშუკელი.** თუ ჩვენი რაიონის ორგანიზაციაში ვამჩნევთ დეფექტებს ამაში ბრალი არ უნდა დავდოთ მარტო რაიკომს. უჯრედები და თვითეული კომკავშირელი აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ ორგანიზაციის ყოველდღიურ მუშაობაში და ეხმარებოდნენ რაიკომს ორგანიზაციის გაჯანსაღება-განმტკიცების საქმეში.

ამხ. **ლეჟავა.** კომკავშირელები, რომლებიც გადაირიცხნენ პარტიის რიგებში კომკავშირის მუშაობას თავს ანებებენ.

უჯრედებში ფართედ უნდა გავშალოთ თვითკრიტიკა, თვითეული კომკავშირელის მუშაობა, რა დავალებასაც არ უნდა ასრულებდეს იგი, ყოველმხრივ უნდა გავაკრიტიკოთ.

ამხ. **კალაძე**—(წით. არმიიდან) სამოქალაქო ორგანიზაციებს სუსტი კავშირი აქვთ სამხედრო ნაწილების ორგანიზაციებთან, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. კომ-კავშირის ორგანიზაცია უნდა გარკვეული იყოს გასამხედროების ამოცანები.

ამხ. **კარიზოვი,** რაიკომს ეკონომიურ დარგში საკმაო მიღწევები აქვს. ახალგაზრდობის საწარმოო თათბირების დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს, რასაც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე სტეფანოვმა, თათუზოვმა, ბეჟანოვმა და ჭიჭინაძემ, რის შემდეგ კამათი შეწყვეტილ იქნა. დასასრულ კონფერენციამ მოისმინა მომხსენებელის საბოლოო სიტყვა.

ქართული მხატვრული პროზა 1928 წელში

(მიმოხილვის მაგიერ)

ორი მთავარი ამოცანა სდგას ჩვენ დღევანდელ მხატვრულ ლიტერატურის წინაშე: 1. მეტი იდეოლოგიური სიმტკიცე და გარკვეულობა—ეს ასე ვთქვათ შინაარსის მხრივ და 2. მეტი სიმარტივე და სისადავე—ეს ასე ვთქვათ ფორმის მხრივ. ქართულ მხატვრულ ლიტერატურას აკლია პირველიც და მეორეც, განსაკუთრებით კი პირველი,—ესე იგი იდეოლოგიური სიმტკიცე. ქართული ლიტერატურის განვლილი ერთი წელი განსაკუთრებით სიმწვავით სვამს საკითხს იდეოლოგიური სიმტკიცის და ურყეობის შესახებ. შეიძლება ზოგიერთი მიღწევები აქაც იყოს, მაგრამ არა დიდი, არა გადამწყვეტი. იდეოლოგიის საკითხი წყეულ საკითხად სდგას ჯერ კიდევ ქართულ ლიტერატურის წინაშე. მართალია ქართველი მწერლები თავის უკანასკნელ ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ იდეოლოგიური საკითხი ამოწურულია, რომ რევოლიუციის და მწერლობის დამოკიდებულობის საქმე საბოლოოდ მოგვარებულია, რომ ეს უკვე განვლილი ეტაპია. ასე ამბობდენ თითქმის ყველა ლიტერატურულ მიმართულების წარმომადგენლები. მაგალითად ამხ. ჟღენტი ლაპარაკობდა:

„თუ მწერალთა პირველ ყრილობაზე ჩვენი მსჯელობის უმთავრეს საკითხს ქართული მწერლობის პოლიტიკური ორიენტაცია წარმოადგენდა, ამჟამად ჩვენი ყურადღების ცენტრი ლიტერატურისა და კულტურის სპეციფიურ პრობლემების გადაჭრაზე უნდა იქნას გადატანილი. რადგან ქართული მწერლობა უკვე გარკვევით სდგას არსებული ხელისუფლების ნიადაგზე და მაშასადამე ამ მხრივ საკითხი გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს".

სამწუხაროდ ამის დამამტკიცებელი ბევრი არაფერი არ მოგვცა ამ წელმა. რევოლიუციის და მწერლობის საკითხი კვლავ ისევ მწვავედ სდგას როგორც იგი იდგა ჯერ კიდევ პირველ ყრილობაზე. მართალია პოლიტიკური დეკლარაციებით ჩვენ ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს. სადაო თითქმის არაფერი დარჩა. მაგრამ ამ პოლიტიკურ დეკლარაციების ლიტერატურული განხორციელება ჯერაც არ მომხდარა. ყველა დაეთანხმება მათ შორის ამხ. ჟღენტიც, რომ მწერლობას ახასიათებს არა ის თუ როგორ დეკლარაციას აკეთებენ მისი წარმომადგენლები— დეკლარაციები საერთოდ მწერლობის სფერო არ არის—არამედ რა მხატვრულ პროდუქციას იძლევა იგი. სასაცილო იქნებოდა, რომ ჩვენ ზაჰესის მშენებელი ინჟინრები დაგვეფასებია მათი დეკლარაციებით, და არა იმით თუ როგორ ააშენეს მათ ზაჰესი. ეს შედარება შეიძლება საკმაოდ უხეშიც იყოს, მაგრამ უმთავრესში იგი სწორეა: ზაჰესის მშენებელი ინჟინრები ჩვენ დავაფასეთ ზაჰესის პატიოსნური და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ხელსაყრელი და გამოსადეგი აშენებით, ყოველ შემთხვევაში არა მათი დეკლარაციებით. რასაკვირველია დეკლარაციასაც აქვს ზოგიერთი მნიშვნელობა; რატომაც არა? იგი ამტკიცებს — უმრავლესობის მიმართ მაინც—სურვილს ამ ადამიანებისა, გააკეთონ ის, რაც დეკლარაციაში არის გამოთქმული. მაგრამ სურვილიდან ამ სურვილების ცხოვრებაში განხორციელებამდე უდიდესი მანძილია. და აი ჩვენ ვამბობთ: საქართველოს მწერლები ჯერ კიდევ შორს არიან ცხოვრებაში, ე. ი. თავის შემოქმედებაში გვიჩვენონ ცხოვრების ახალი გაგება, მხატვრულად დაასაბუთონ ის, რასაც განცხადებებით ხშირად ამბობდნენ და ამბობენ. საკითხის ასე დასმა არავინ ახსნას ჩვენი „ჯიუტობით", ბოლშევიკური შეურიგებლობით, სექტანტობით. ოდნავადაც არა. ამ საკითხის გამორკვევა ან და უკეთ რომ ვთქვათ გადაჭრა საინტერესოა და სასარგებლო ყველაზედ მეტად თვით მწერლებისათვის. სანამ ეს დავა—რევოლიუციასა და მწერლობას შორის—მოგვარებული არ იქნება რევოლიუციის სასარგებლოდ, მწერლობაც ვერ ნახავს „თავის თავს" საჭირო სიღრმით და მოცულობით, ე. ი. ფრთებს ვერ გაშლის იგი. მით უმეტეს დღეს, როდესაც ქვეყნის მეთაურ კლასის და პარტიის მთავარ საქმედ გამოცხადებულია ბრძოლა მემარჯვენეობის წინააღმდეგ.

არავინ იფიქროს, რომ მწერლობას არ ეხება ის ბრძოლა, რომელსაც პარტია ეწევა თავის საკუთარ რიგებში და მის გარედ. მოსტყუვდება ვინც ასე იფიქრებს. კულტურის საკითხები, მაშასადამე მწერლობისაც, უმნიშვნელოვანეს საკითხებად არის გამოცხადებული. უკვე მესამე ფრონტი კი არ არის კულტურის ფრონტი, არამედ უპირველესი ფრონტი—რევოლიუციის გამარჯვების ფრონტი. დღეს არ ამბობენ მესამე ფრონტიო—კრუპსკაიას მოსწრებული თქმით—დღეს ამბობენ კულტურული რევოლიუციაო. და მწერლობის საკითხებიც სწორედ ამ კულტურულ რევოლიუციის სფეროშია მოქცეული. როგორ შეიძლება, რომ იგი პარტიის სდღეისო პოლიტიკის გარედ დარჩეს. ბრძოლა მემარჯვენეობის წინააღმდეგ მწერლობაში უნდა გამოიხატოს, უფრო მეტი, უფრო ჯანსაღი, უფრო მტკიცე და უფრო ორგანიული დაახლოებაში რევოლიუციის მეთაურ კლასთან და იმ ამოცანებთან, რომლებიც მას აქვს დასახული. ნაკლები მოხედვები უკან, ნაკლები თანაგრძნობა ძველ ქვეყნიდან დარჩენილ ადათ-ჩვეულებებს და კულტურის სხვა ამგვარ ნაშთებს, ბრძოლა ნაციონალიზმთან, კარ-ჩაკეტილობასთან, ჰორიზონტის მეტი გაშლა, ახალი ქვეყნის მეტი შეყვარება, ახალი ადამიანის ძებნა და მონახვა, უარყოფითი მხარეების ჩვენი ცხოვრებისა და სინამდვილის დაუზოგავად მხილება; მაგრამ ცუდი მხარეები ჩვენი ცხოვრებისა უნდა ვეძიოთ უმთავრესად იქ, სადაც უმთავრესად არიან ისინი თავმოყრილი: ძველი ქვეყნის ნაშთებში: ბიუროკრატიზმში, ობლომოვშჩინაში, მამლაყინწაობა-ტრაბახობაში და, რაც მთავარია, რეაქციონურ ნაციონალიზმში. აი ეს იქნება სწორი გაგება მემარჯვენეობასთან ბრძოლისა. და ვკითხულობთ ახლა ჩვენ, როგორ შეიძლება ეს განხორციელებული იქნეს თუ კი ჩვენი მწერლობა თვით ერიდება რევოლიუციას თავის შემოქმედებაში, რევოლიუციის საკითხებს გაურბის? როგორ უნდა იბრძოლოს მან სწორი ხაზისათვის, როდესაც თვით არა აქვს ეს ხაზი? სწორედ ამიტომ არის, რომ რევოლიუციის საკითხი ლიტერატურაში კვლავ აქტუალურ საკითხად სდგას ჩვენს წინაშე. აქვე უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ბრძოლა ლიტერატურულ იდეოლოგიისათვის უნდა სწარმოებდეს არა მარტო იმ ლიტერატურაში, რომელსაც ჩვენ თანამგზავრულს უწოდებთ, არამედ თვით ჩვენს საკუთარ წრეებშიაც და პირველად ყოვლისა პროლეტარულ ლიტერატურაში.ზოგიერთები ასე ფიქრობენ. რომ ბრძოლა მემარჯვენეების წინააღმდეგ ლიტერატურაში უნდა ამოიწურებოდეს ბრძოლით იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ორგანიზაციულად არ არიან ჩვენთან. ეს უდიდესი შეცდომაა. პარტია მემარჯვენეობას ებრძვის არა მარტო თავის გარეშე, არამედ საკუთარ რიგებშიაც. მთელი სიახლე და აქტუალობა ამ საკითხისა სწორედ აქ არის. ლიტერატურის მიმართაც ეს სწორედ ასე სდგას: დაუზოგავი ბრძოლა ჩვენი ცხოვრების დამამახინჯებელთა და გამყალბებელთა —ჩვენ საკუთარ რიგებშიაც. დამპატიეებთან ერთად „ბლინძა ყვირილაძეც" უნდა ვამხილოთ.აქ ხშირად საჭირო შეიქნება „მემარცხენე" ფრაზების ქვეშ ძებნა მემარჯვენე საქმეებისა. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით,რომ ხშირად მემარჯვენე საქმე სწორედ „წითელ და რევოლიუციონურ" სამოსელში გვევლინება; ასე ხდება არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ჩვენი ცხოვრების სხვა გამოხატულებებშიაც: კერძოდ ლიტერატურაში. ლიტერატურაში განსაკუთრებით სახიფათოა წითელ სამოსელში გამოწყობილი მემარჯვენე საქმეები. რადგან ხშირად ამ სამოსში უნიჭობა, უპრინციპობა, მამლაყინწობა, ყოყოჩობა და უკულტურობა გვევლინება. მხატვრულ ლიტერატურის ყველაზე საშინელი მტერი სწორედ ეს უკულტურობა და უნიჭობაა. ამიტომ ვამბობთ: ბრძოლა ლიტერატურულ იდეოლოგიის სწორ მიმართებისათვის უნდა სწარმოებდეს განურჩევლად იმისა, თუ რომელ ლიტერატურულ დაჯგუფებიდან გამოდის ესა თუ ის ლიტერატურა. პროლეტარულ ლიტერატურასაც უნდა მოხვდეს აქ და უნდა მოხვდეს სწორედ იმ ადგილას, სადაც მას განსაკუთრებით ესაჭიროება ეს. საჭიროა ბრძოლა ყოველგვარ ხალტურის წინააღმდეგ, როგორიც შტამპიც —თუ გინდ ულტრარევოლიუციონერული ჰქონდეს მას. აი ეს იქნება ნამდვილი და სწორი გაგება მემარჯვენეობასთან ბრძოლის სწორად და ყოველმხრივად წარმოებისა ლიტერატურაში.

დასკვნა: ჩვენი ლიტერატურა ავადმყოფობს „იდეოლოგიური" სენით: მას აკლია ეპოქის სწორი და რევოლიუციონური გაგება. განვლილი წლის ნამუშევარი აშკარად ხდის ამ მოვლენას. ცხადია,ჩვენ საერთოდ წინ მივდივართ, უკან არ ვიხევით, მაგრამ მიღწევები იმდენი და ისეთი არ არის, რომ ჩვენ შევეძლოთ — მოვისვენოთ. მხატვრულ ლიტერატურის იდეოლოგიური გაჯანსაღება—აი რა მნიშვნელოვანი ამოცანა უდგას წინ მომავალ წელს, თუ წლებს.

მეორე მოთხოვნილება, რომელიც ჩვენის აზრით, უნდა განაღდოს ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ არის ნაწარმოების გასაგები ენით და მარტივი ფორმით შესრულება. ეს საკითხი არის იმავე დროს საკითხი მწერალისა და მკითხველის დამოკიდებულებისა. ნაწარმოები იწერება იმისათვის, რომ იგი იკითხებოდეს. განსაკუთრებით დღევანდელ ხანაში, როდესაც მილიონები ამოძრავებული კულტურული ცხოვრებისათვის. ერთხელ კაგანმა ამის მსგავსი პარადოქსალური აზრი წარმოსთქვა: ნაწარმოები, რომელიც არ წაკითხულა, არ არის ნაწარმოები. ეს შეიძლება ცოტათი გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ უმთავრესში მაინც მართალია იგი. მწერალს, რომელსაც მკითხველი არ ჰყავს, დაკარგული აქვს მნიშვნელობა. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მწერალი უნდა დაქვეითდეს უკულტურო, ან ობივატელ მკითხველის გემოვნებამდე. ჩვენ სრულებითაც არ მოვითხოვთ, რომ ხალტურა და ვულგარობა გავამეფოთ ლიტერატურაში. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ნაწარმოები ისე „უნდა" კეთდებოდეს, ისეთი ენით უნდა იწერებოდეს, რომ იგი გასაგები იყოს მკითხველთა ფართო მასებისათვის. რასაკვირველია, მკითხველიც არის და მკითხველიც. აქ ცხადია ჩვენ მხედველობაში გვყავს არა მეშჩანინი, სენტიმენტალური „ინსტიტუტკა" ან და ყოველგვარ მხატვრულ გემოვნებას დაკარგული მშრალი ბიუროკრატი, არა, მკითხველის ქვეშ ჩვენ გვესმის: ჩვენი რევოლიუციონური ახალგაზრდობა; ოპტიმისტი, წინმხედვი, რევოლიუციის მოყვარე მუშების და გლეხების შვილნი, ფიზიკური და გონებრივი მუშაკნი, საბჭოთა მკითხველი—როგორც ჩვენ მას ვეძახით. აი ამ მკითხველისათვის გასაგები უნდა იქნეს მწერლობა. აი ამ მკითხველის მხატვრულ გემოვნებასაც უნდა გაუწიოს ანგარიში მწერალი, რასაკვირველია, არ უნდა მისდევდეს იაფ ფასიან პოპულიარობას, ხელოვნურად სახელის მოხვეჭას, მაგრამ ის უნდა ცდილობდეს—მკითხველი ეყოლოს.

ჩვენ უმთავრესი დავა ჩვენს მემარცხენე ამხანაგებთან გვაქვს სწორედ ისინი არიან განსაკუთრებული [illegible]: ახალის გამონახვა სიტყვების ხმარებაში და ახალის მოგონებაში. ახლის წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ,ეს „ახალი" ახლისათვის გასაგები უნდა იქნეს. დაბოლოს ლიტერატურა არ არის არც ლაბორატორია და არც სასწავლებელი, სადაც რაღაცას იგონებენ და სწავლობენ. ლიტერატურა მასების კუთვნილებაა; საჭიროა მისი სახელით გამოდიოდენ საჯაროდ ვინაც უკვე „საკმაოდ ნასწავლია" ამ დარგში და რომლისგანაც სხვებს შეუძლიათ ისარგებლონ. ისტორიას ახსოვს არა ერთი და ორი ხანა, როდესაც ლიტერატურულ ენაში მთელი რევოლიუციები ხდება, გაჩაღებული ომი ძველსა და ახალს შორის. ჩვენს მემარცხენეებს ხშირად უყვართ ასეთი ხანების მოგონება, მაგრამ მათ ერთი რამ ავიწყდებათ, სწორედ მთავარი. პუშკინი და გოგოლი ებრძოდენ დერჟავინის და ლომონოსოვის ძველ რუსულს—ახალი რუსულით; მაგრამ ბრძოლა ხდებოდა სწორედ—გასაგებ, ხალხურ ენასა და ძველ მაღალ „შტილის" შორის. დერჟავინი და მისი მომხრეები მაღალ „შტილს" იცავდენ, არისტოკრატიულ ენას—პუშკინი და მისი მეგობრები კი —ხალხური, გასაგები, მარტივი ენით გამოდიოდენ. და ეს არა იმიტომ, რომ მათ ძალიან უყვარდათ ეს ხალხი—დერჟავინზე მეტად ცხადია უყვარდათ —არამედ იმიტომ, რომ ყოველი ახალი ყოველთვის მოითხოვს ხალხთან მეტს დაახლოებას, ყოველი ახალი, ყოველთვის გამოდის ფართო მასსების უფრო მეტად გასაგები ენით, დაბოლოს ხელოვნება განსაკუთრებით მოითხოვს სისადავეს და უბრალოებს...

ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და მთელ მათ თაობას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა—ძველმა პლეადამ ქართველ მწერლებისა—ორბელიანების მეთაურობით. რა ხაზით მიდიოდა ეს ბრძოლა? პირველნი ენის გამარტივების, გასადავების, გახალხურების მომხრენი იყვნენ და სწორედ ასე სწერდენ; ორბელიანები კი—განსაკუთრებულ „მაღალ და კეთილშობილ" ენას—ხალხისთვის გაუგებარს იცავდენ: და ასე იყო ყოველგან და ყოველთვის. მხატვრულ ლიტერატურულ ენის ისტორია ნათლად მოწმობს იმ ფაქტს, რომ მისი განვითარება, წინსვლა ყოველთვის ხდებოდა მაღალ „შტილებს" კეთილშობილ საჯდომებიდან—ხალხის ფართო მასსებში ჩამოსვლით. ძველი ყოველთვის ცდილობს ვიწრო ფარგლებში ჩაკეტოს ყოველივე საჭირო და სასარგებლო, ახალი ყოველთვის ანგრევს ამ კედლებს, აფართოებს სამოქმედო ასპარეზს... ლიტერატურა ცხადია არის არა მხოლოდ გამომხატველი იმისა, რაც არის: ეს რომ ასე იყოს, მაშინ შესაძლოა ფოტოგრაფიითაც დავკმაყოფილდებოდით. ლიტერატურა ამავე დროს არის ის ძალა, რომელიც თვით მოქმედებს ცხოვრების დენაზე, ის, არამც თუ ეძებს და ხატავს ახალ ადამიანს, არამედ თვით უწყობს ხელს ამ ახალი ადამიანის შექმნას. ლიტერატურა არა მარტო მაყურებელია, ან და მარტო ამსახავი იმისა რაც არის—არამედ ამავე დროს მშენებელიც არა მარტო ახალი სიტყვის, არამედ—ახალი ცხოვრების და ახალი ადამიანის. და სწორედ ამიტომაა საჭირო და უაღრესად საჭირო, რომ იგი გასაგები გახდეს, ხალხის ფართო მასსებისათვის მისაწდომი, რადგან მხოლოდ ამ ხალხის ფართო მასსებით და მასსებში შეიძლება განხორციელდეს ახალი ცხოვრება და მხოლოდ მათში შეიძლება მოინახონ ახალი ადამიანები—ხვალინდელი ადამიანები. ეს საკითხი მნიშვნელოვანი ამოცანაა ახალ ქართულ ლიტერატურის, რადგან — ავადმყოფობა ლიტერატურულ ენის დაშორებისა მკითხველის ენისაგან საგრძნობლად გამჟღავნებულია ჩვენს ლიტერატურაში და სწორედ მათ ნაწერებში, რომლებიც განსაკუთრებით ახლოს არიან ჩვენთან, თავისი იდეოლოგიით — ცხოვრების გაგებით. ჩვენის აზრით ეს სენი უფრო საყმაწვილოა, ვიდრე მოხუცებულობის, მაგრამ... საყმაწვილო სენსაც უნდა წამლობა და განკურნება, თორემ სიკვდილი და დაინვალიდება ყმაწვილობაშიაც ხდება... რას გვეუბნება ამ მხრივ განვლილი წელი? უთუოდ მნიშვნელოვანი მიღწევებია აქ, მწერალი თანდათან უახლოვდება მკითხველს, თავისი ენით, „ფუტურისტებიც" ეხლა უფრო გასაგებათ სწერენ, ვიდრე უწინ. სიმონ ჩიქოვანის და მის ამხანაგების გაგება ეხლა შეიძლება... „მემარცხენეობა"—უკვე ქართული ენით არის დაწერილი. ქიმიური ფორმულებით ჩვენი მემარცხენე მოკავშირეები ეხლა არ ლაპარაკობენ, ან და ძალიან იშვიათად. სხვა მწერლებსაც ემჩნევა ეს წინსვლა. მაგრამ საკითხის საბოლოო ამოწურვამდე ჯერ კიდევ შორსაა. მუშაობა ამ მხრივ ჩვენს მწერლებს აუცილებლივ დასჭირდებათ საკმაო; სხვათა შორის პროლეტარულ მწერლებსაც. ცხადია, არც სწორი და წმინდა იდეოლოგია, არც გასაგები და კარგი ქართული ენა არ არის საკმაო იმისათვის, რომ ესა თუ ის ნაწერი მხატვრული იქნეს. თავის თავად ვერც პირველი და ვერც მეორე ნაწარმოებს მხატვრულად ვერ ჰქმნის. მაგრამ როგორც ტოლსტოი სწერდა ერთ თავის წერილში ლეონიდ ანდრეევს:

> «Простота необходимое условие прекрасного. Простое и безыскусственное может быть нехорошо, но непростое и искусственное никогда не может быть хорошо!»

⁂

გრიგოლ რობაქიძის ახალი რომანი „ფალესტრა" ჯერ არ არის დამთავრებული. ჩვენ წავიკითხეთ „ქართულ მწერლობის" ნომრებში მხოლოდ ექვსი კამარა (ალბად თავი). ამ ექვსი კამარითაც შეიძლება ზოგიერთი დასკვნების გამოტანა ამ რომანზე. შედარებით „გველის პერანგთან" ეს რომანი უკან დახევაა. გველის პერანგი როგორც რომანი, ე. ი. მხატვრული ნაწარმოები დიდი ღირსების რომ იყოს მაშინ ეს უკან დახევა კიდევ იქნებოდა ასატანი, მაგრამ როდესაც თვით „გველის პერანგი" ძალიან მდარე ღირსების რომანია, „ფალესტრა" რაღა იქნება როგორც უარესი?

ჩვენის აზრით „ფალესტრა" არ არის მხატვრული ნაწარმოები. მართალია, დღეს საქართველოში ბევრი ისეთი რამ იბეჭდება, ხშირად რომანის სახითაც, რასაც არავითარი სამეზობლოც არა აქვს ხელოვნებასთან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პასიურად უნდა შევხედეთ — ჩვენ მკითხველები — ამ მოვლენას. „ფალესტრა" შეიძლება სჯობდეს ზოგიერთ სხვა არა მხატვრულ ნაწერს — მაგალითად როგორც არის „მნათობში" მოთავსებული რომანი „სამართალს სისხლით მოვძებნი", მაგრამ ეს მაინც ვერ ხდის „ფალესტრას" ჩვენი დროისათვის საჭირო მხატვრულ ნაწარმოებად, რადგან უვარგისის ჯობნა კიდევ არ ნიშნავს ვარგისიანობას.

რობაქიძე უთუოდ საკმაოდ მცოდნე ადამიანია, ბევრი ნაკითხი, ჰორიზონტიც აქვს მას არა ვიწრო, ქართული ენაც კარგად იცის, საერთოდ, ძველად, რომ იტყოდნენ იმ გაგებით, „კულტურული" კაცია, მაგრამ სამწუხაროდ თავის რომანებში იგი მხატვარი, ხელოვანი მაინც არ არის. გასაკვირი აქ არაფერია. არა ყოველი მცოდნე და ნაკითხი არის ხელოვანი. აქ არ არის დრო და ადგილი იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მხატვარია რობაქიძე სხვა თავის ნაწერებში (ლექსები და დრამები), ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ „ფალესტრა" ხელოვნება არ არის, ყოველ შემთხვევაში იმ მკითხველისათვის, რომელიც დღეს ერთად ერთი ანგარიშ გასაწევია ჩვენს სინამდვილეში — საბჭოთა მკითხველისათვის.

პირველად ყოვლისა „ფალესტრა" არ არის რომანი იმიტომ, რომ მასში არ არის არავითარი მთავარი ხაზი, რომელიც გამაერთიანებელი იქნება ნაწარმოების ყველა ცალკე ნაწილების, ეპიზოდების. „ფალესტრაში" არ არის ასეთი ხაზი, ეს იმას ნიშნავს, რომ მასში არ არის არავითარი ისეთი, რაიც ნაწარმოების ცალკე ნაწილებს აერთიანებს. „ფალესტრა" არ არის მთლიანი ნაწარმოები. იგი ხელოვნურად გადაბმულ ცალკე ნაწილებისაგან შესდგება. არის ამბავი ადოლფ უნგარსზე, მაკ ლეიკზე, ფალესტრაზე, მისტერ ხოლზე და სხვა, — მაგრამ რატომ უნდა შეერთდენ ეს ადამიანები და ეს ამბები ერთ რომანში, შინაგანათ, ორგანიულად ეს დამტკიცებული და ნაჩვენები არ არის. მართალია, ადამიანები ავტორის სურვილის მიხედვით ხვდებიან ერთმანეთს,ლაპარაკობენ, მსჯელობენ, მაგრამ შინაგანი ერთიანობა მათი მოქმედებით ერთმანეთთან დაკავშირებისა მოცემული არ არის. რომანი არ არის უბრალო ქრონიკა, არც ხელოვნურად დალაგებულ ფოტოგრაფიულ პლასტინკების გროვა, რომანი შინაგან, ორგანიულ ერთიანობას მოითხოვს მოყოლილ ამბების და ადამიანთა მოქმედებების. სხვაფრივ რომანი რომანი არ არის. და სწორედ ეს მთავარი „ფალესტრაში" არა გვაქვს.

რომანში ნაკლებადაა, თითქმის სულ არაა, მხატვრული მოქმედებანი „ფალესტრას" გმირები არ მოქმედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიათურა

ქარხანა № 5

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რგანის ხეობაში მრავლად არის გაფანტული შავი ქვის მადნის სარეცხი ქარხნები. თითქმის ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ხვდება მგზავრს ასეთი ქარხნები, ზოგი ქარხანა ხისაა, ზოგიც აშენებულია თეთრი თლილი ქვისაგან, მაგრამ, დროთა განმავლობაში, ქვისაგან აშენებულ ქარხნებს დაუკარგიათ თავისი პირვანდელი ფერი და ეხლა გამოიყურებიან შავად.

რგანის ხეობის ქარხნებიდან თავისი სიდიდით და მოწყობილობით ყურადღებას იპყრობს ქარხანა № 5.

ჭიათურიდან ამ ქარხნამდე არის 4 ვერსი, ქარხანა მდებარეობს ხეობის მარჯვენა მხარეს და საურმე გზა პირდაპირ უდგება მას.

ქარხანა № 5 გასარეცხ შავი ქვის მადანს ღებულობს რგანის (ყოფ. სვანიშვილის) მაღაროებიდან.

მაღაროებიდან გამოტანილი შავი ქვის მადანი გროვდება არხში, წყლის საშუალებით მადანი მიდის ქარხნისაკენ ღარით.

ღარის დასაწყისში სდგანან მუშები —მადნის ჩამშვებლები, რომლებიც მუშაობენ თოხებით. ეს მუშები ერთ და იმავე დროს ფხვნიან მადანს და შემდეგ ატანენ წყალს ქარხნისაკენ.

მადნის ჩამშვებლებს უხდებათ მუშაობა ცის ქვეშ კარგსა და ცუდ დარშიაც. მათი მუშაობა მოითხოვს ამტანიანობას და ამიტომ ჩამშვებლებად იგზავნებიან უფრო ჯანმრთელი მუშები. ჩამშვებლებს ეძლევათ სპეციალური ტანისამოსი და გამძლე ფეხსაცმელები, რადგან მუშაობა უხდებათ ტალახში.

ერთ გარემოებაზე სჩივიან ჩამშვებლები: მათ არ ეძლევათ ხელთათმანები, რაც აუცილებელია ზამთრობით. საწვიმრებიც არ ჰყოფნით ერთი წლის განმავლობაში და მოითხოვენ, რომ საწვიმრების ხმარების დრო იქნეს შემცირებული.

ღარიდან შავი ქვის მადანი მიდის პირდაპირ ქარხანაში. პირველად ხდება მადნიდან უვარგისი ქვის გამოყოფა. აქ დადგმულია დაზგა, სადაც ირჩევა უვარგისი ქვა მადნისაგან. მადანი მიდის შემდეგი დაზგისაკენ, უვარგისი ქვა კი იყრება გარედ.

მადანი თანდათანობით ცხრილების საშუალებით იწმინდება და სუფთავდება. ყოველ ცხრილს მიჩენილი ჰყავს მუშა, რომელიც რეცხავს მადანს და ამავე დროს ასუფთავებს მას.

ცხრილები წააგვენ საცერს, რომლებიც ავტომატიურად მოდიან მოძრაობაში.

ბოლოს გარეცხილი და გასუფთავებული მადანი გადის გარედ და გროვდება განსაკუთრებულ ადგილას.

აქედან გარეცხილ მადანს სადგურამდე ეზიდებიან ურმებით. თითო ურემი იტევს 50—100 ფუთამდე მადანს რაც დამოკიდებულია ურმის სიდიდეზე.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ არსებული შავი ქვის სარეცხი ქარხნები არ არის მოწყობილი რაციონალურად. მანქანები დაძველებულია, დაზგები და ცხრილები არ არის კარგი ხარისხის, რის გამო მადნის დიდი რაოდენობა იკარგება ტყუილ - უბრალოდ.

ცენტრალური სარეცხი ქარხანა, რომლის აგება უკვე გადასწყვიტა ტრესტმა, დიდ სარგებლობას მოუტანს ჭიათურის წარმოებას, რადგან, ერთის მხრივ — გააუმჯობესებს მადნის ხარისხს და, მეორე მხრივ — აცილებულ იქნება თავიდან მადნის დაკარგვა.

ქარხანა № 5-ში დღეს მუშაობს 87 კაცი, მუშაობა სწარმოებს ორ ცვლად, პირველი ცვლა მუშაობს დილის 7 საათიდან — 8 საათამდე, მეორე ცვლა— 8 საათიდან — 11 საათამდე. 11 საათის შემდეგ სწარმოებს ქარხნის მიმდინარე რემონტი, რომელზედაც დაბანდებულია 5 კაცი.

ქარხნის ნაყოფიერება იზრდება ყოველდღიურათ. ქარხნის მუშები და ადმინისტრაცია დაინტერესებულნი არიან ქარხნის მუშაობით და სცდილობენ შეუწყონ ხელი მის ნაყოფიერების ზრდას.

მუშების წინადადებით ქარხანაში მოხდა ზოგიერთი გაუმჯობესება, როგორიც არის ახალი დაზგის დადგმა, რითაც ნაწილობრივად აცილებულ იქნა მადნის დაკარგვა; ქვის სატეხის შეძენა და სხვა. ქვის სატეხის შეძენამ დიდათ შეუწყო ხელი ქარხნის მუშაობას, რადგან მსხვილი ქვა აფერხებდა და აძნელებდა მუშაობას.

თუ რამდენად გაიზარდა ქარხნის ნაყოფიერება, ამის მაჩვენებელია შემდეგი ციფრები: ქარხნის გამგის ამხ. ჭანკოტაძის სიტყვით, ამერიკელების დროს ქარხანა რეცხავდა დღეში — 18.000 ფუთ შავ ქვას. დღეს კი ქარხანა რეცხავს — 24.000 ფუთ შავ ქვას.

მიმდინარე წლის ოქტომბრის განმავლობაში ქარხანამ მისცა ტრესტს — 4.932,02 ტონა გარეცხილი მადანი; ნოემბერში კი ქარხნის მიერ გარეცხილი მადნის რაოდენობა უდრიდა — 6.068,23 ტონას.

უეჭველია, რომ შემდეგში ეს რიცხვი უფრო გაიზრდება. ამის თავდებია ქარხნის მუშების შეგნება და აქტივობა.

მადნის გაზიდვას ქარხნიდან ხელს უშლის უგზოობა და ტრანსპორტის უვარგისობა. გზა ქარხნიდან სადგურამდე ძალიან ცუდია. წვიმის დროს გზა თითქმის გაუვალი ხდება, ტრესტი ღებულობს ზომებს გზის შესაკეთებლად, მაგრამ ამით საქმეს მაინც არ ეშველება არაფერი. ამ გზას სჭირია საფუძვლიანი შეკეთება და გაგანიერება.

ტრესტმა უკვე გადასდვა ნაბიჯი საჰაერო გზის მოსაწყობად რგანის ხეობაში, რაც, უეჭველია, გააფართოებს შავი ქვის გაზიდვას ხეობის ქარხნებიდან.

ორიოდე სიტყვა ქარხნის მუშების მდგომარეობის შესახებ. მუშებს არა აქვთ საცხოვრებელი ბინები, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება. აგრეთვე სჭიროა ქარხნის ახლო მოწყობილ იქნეს თავშესაფარი, სადაც მუშები, სამუშაოს დაწყებამდე, მოიყრიან თავს, წაიკითხავენ ჟურნალ - გაზეთებს, გამართავენ საუბარს და სხვა.

ადგილკომი მოთავსებულია მაღაროებთან, თითქმის 2—3 ვერსის მანძილზე და ისიც მთაზე. უფრო რაციონალური და მიზანშეწონილი იქნება, რომ რგანის ხეობაში მოთავსებული ქარხნები გამოყოფილ იქნენ ცალკე საადგილკომოთ, რაც დიდათ სასარგებლო იქნება მუშებისათვის.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა
30 დეკემბერი.

ჭიათურის ქრონიკა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მუშკორთა კრება

28 დეკემბერს ჭიათურის მუშათა კლუბში შესდგა ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშკორთა კრება, რომელზედაც პარტიის რაიკომის აგიტპროპგანყოფილების გამგის ამხ. ა. ბრეგვაძის მიერ გაკეთებულ იქნა მოხსენება საბჭოთა არჩევნების და მუშკორთა ამოცანების შესახებ.

ამხ. ბრეგვაძემ სთქვა, რომ ჭიათურის რაიონში კიდევ არიან დარჩენილი მრავალი მავნე ელემენტები — ყოფ. თავად-აზნაურები და კულაკები, რომლებიც ეცდებიან გაიყვანონ საბჭოებში თავიანთი წარმომადგენლები და ამით იქონიონ გავლენა ღარიბ გლეხობაზე. ამიტომ საჭიროა მუშკორთა აქტიური დახმარება, რომ ასეთი ელემენტები არ მოხვდნენ საბჭოებში.

ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა

28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ჭიათურის მუშათა კლუბში შესდგა ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა სახ. პოლიტსამმართველოს (საგანგებო კომისიის) არსებობის 11 წლის თავის აღსანიშნავად.

მოხსენებით საგანგებო კომისიის განვლილი გზის შესახებ გამოვიდა შორაპნის სამაზრო პოლიტსამმართველოს განყოფილების უფროსი ამხ. ბ. ტაბიძე, რომელმაც თავის ვრცელ სიტყვაში გააცნო დამსწრეთ საგანგებო კომისიის ისტორია და ის ბრძოლები, რომელიც გადაიტანა კომისიამ ბრძოლაში მშრომელთა უამრავ მტრებთან.

მოხსენების შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების დადების წინ

სამთამადნო კავშირის ჭიათურის რაიკომი ამჟამად აწარმოებს ფართო მუშაობას ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების დადების ირგვლივ.

რაიკომმა დაუგზავნა ქარხანა-მაღაროების ადგილკომებს მიმართვა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ადგილკომებმა უნდა გამოარკვიონ ხელფასის ტანსაცმელის, მუშაობის პირობების, კულტურულ საქმიანობის და სხვა საკითხები.

მოკლე ხანში დაიწყება ხელშეკრულების პროექტის განხილვა.

სახანძრო საქმე

ჭიათურის ბრანდმეისტერის სიტყვით, სახანძრო საქმე ჭიათურაში იმყოფება მეტად უნუგეშო მდგომარეობაში. სახანძრო რაზმს ჯერ-ჯერობით არა აქვს სათვალთვალო კოშკი, კოშკის პროექტი დიდი ხანია ძევს ადგილობრივ აღმასკომში, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არის გადადგმული ნაბიჯი მის ასაგებათ.

ქალაქად არ მოიძებნება სახანძრო ბოჭების სათანადო რიცხვი, არსებული ბოჭები კი გაფანტულია უგეგმოდ და ხანძრის დროს სრულიად გამოუსადეგარნი არიან.

რაზმელებისათვის არ არის მიჩენილი ერთი განსაკუთრებული ბინა, რის გამო მეტად ძნელია მათი თავის მოყრა ხანძრის დროს.

როგორც მოხალისეებს, ისე რაზმელებს ჯერ-ჯერობით არა აქვთ სპეციალური ტანისამოსი და არ არის მიღებული ზომები ტანისამოსის შესაძენად.

საჭიროა ავტომობილის შეძენა, რაც დიდათ გაადვილებს ბრძოლას ხანძართან. მთავრობის მიერ ჭიათურის სახანძრო ავტომობილისათვის გადადებულია 8,000 მანეთი. ადგილობრივად გაღებული უნდა იქნეს დამატებით 2.000 მანეთი. ავტომობილი სავსებით გამოსადეგი იქნება ჭიათურის პირობებში.

საბინაო მშენებლობა ჩვენში

როგორც საქართველოს სტატისტიკის ცენტ. სამმართველოს 1927 წ. ფაქტიური მშენებლობის გამოკვლევის წყაროებიდან სჩანს, ხსენებული წლის განმავლობაში სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს მთელს რესპუბლიკაში (გარდა სოფლის ადგილებისა) 46 ახალი საცხოვრებელ შენობათა აგება დაუმთავრებიათ. მათი გარეშე მოცულობა უდრის 102,820 კუბიკურ მეტრს და საცხოვრებელი არე 13,102 კვადრ. მეტრს. საამშენებლო ხარჯები შეადგენს 1.907.026 მანეთს. ამავე ხნის განმავლობაში კერძო მშენებელთ მთელს რესპუბლიკაში (გარდა სოფლის ადგილებისა) აუგიათ 418 ახალი საცხოვრებელი სახლი. მშენებლები სოციალ. მდგომარეობით ნაწილდებიან ასე: მუშები—126, მოსამსახურენი—118, ვაჭარ-მრეწველნი დაუქირავებელი მუშა-ხელით—114, ვაჭარ-მრეწველნი დაქირავებული მუშა-ხელით—14, სოფლის მეურნეობის პატრონნი—27 და დანარჩენი—14. ეს 418 სახლი გარეშე მოცულობით უდრის 96,507 კუბ. მეტრს და შეიცავს 16171 კვად. მეტრ საცხოვრებელ არეს. ამ სახლების მშენებლობაზე 938,827 მან დახარჯულა. ერთი შეხედვით თითქო ისე გამოდის, რომ კერძო მშენებლობა უფრო მეტი ტემპით მიმდინარეობს და რომ მას ერთი კუბიკური მეტრის აგება ვითომ გაცილებით ნაკლები უჯდება, ვინემ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს. ნამდვილად კი წინააღმდეგს ვხედავთ. როგორც ზევით იყო აღნიშნული სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ 1927 წ. განმავლობაში დამთავრებულია 46 სახლის აშენება 102,820 კუბიკ. მეტრის მოცულობისა, მაშასადამე, თვითეულ აშენებულ სახლის მოცულობა საშუალოდ უდრის 2235-ს; კერძოების მიერ აშენებულ თვითეული სახლის კუბიკური მოცულობა კი არ აღემატება 233 კუბ. მეტრს—(96.507:418—233). კერძო და კოოპერატიულ-სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ აშენებულ სახლებს შორის გარეშე მოცულობის მხრივ შეფარდება უდრის 1:10, ე. ი. პირველთა მიერ აშენებული ერთი სახლი თავის მოცულობით უდრის 10-ს კერძოდ აშენებულ სახლს. ამასთან ერთად საინტერესოა შეფარდება გარეშე მოცულობისა საცხოვრებელ არესთან (საცხოვრებელი სახლები ნორმალურად ითვლება შეფარდება 1:6 ზევით 1:10-დე) კერძო მშენებლობისათვის ეს შეფარდება უდრის 5-ს (რაც ძალზე მცირეა), ხოლო კოოპერატიულ-სახელმწიფო მშენებლობისათვის —8,5-ს (რაც ნორმალურია).

კერძო მშენებლობას ერთი კუბიკური მეტრის აგება გარეშე მოცულობით უჯდება 9,5 მანეთი, ხოლო სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს 18,5 მანეთი. განსხვავება დიდია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მშენებლობის ხასიათს, მასალის და საფუძვლიანობას, უნდა ვსთქვათ, რომ კერძოების მიერ აშენებული სახლები სრულებით არ აკმაყოფილებენ არც მშენებლობის ტეხნიკურ მოთხოვნებს და არც ბინის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს. მაგ., ქ. თბილისში კერძო მშენებლობის 80 პროც. შესდგება სრულიად (ერთი-ორი ოთახიანი სახლი და ისიც სამზარეულოს მოკლებული), უფუნდამენტო, არამკვიდრი და ერთფენიანი აგურის კედლისაგან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მშენებლობაზე არ არსებობს საჭირო ზედამხედველობა. წარმოდგენილი პროექტის დამტკიცებით და მშენებლობაზე ოფიციალური ნებართვის მიცემით არ უნდა თავდებოდეს აღმასკომების კომუნალური განყოფ. ზედამხედველობა მშენებლობაზე; აუცილებლივ უნდა ხდებოდეს მშენებლობის ადგილობრივი დათვალიერება, არის ხშირი შემთხვევა, რომ როგორც ქ. თბილისში, ისე სამაზრო ქალაქებში შენობა აშენებულია ნებართვის გარეშე, რაც იმას მოწმობს, რომ მშენებლობის ზედამხედველი ორგანოები არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ამ საქმეს.

ჩვენ უნდა ვაიძულოთ კერძო მშენებელნი, რომ მათ ააგონ ისეთი სახლები, რომელნიც აკმაყოფილებენ ტეხნიკურ-სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს. ამ მხრივ კონტროლი უნდა გავაძლიეროთ.

როგორც ზემო მოყვანილი ციფრებიდან სჩანს, საბინაო მშენებლობის 60 პროც. (შენობათა გარეშე მოცულობით) ეკუთვნის კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს. ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზოგადო მნიშვნელობის შენობათა აგება მთელი 100 პროცენტით სახელმწიფო და ნაწილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციების ხელშია, 1927 წ. განმავლობაში სახელმწიფო ორგანიზაციებს აუშენებიათ 65 ახალი საზოგადო მნიშვნელობის შენობა 51,800 კუბიკ. მეტრი მოცულობის და 569.570 მ. ღირებული.

ა. ქარჩავა.

არც არაფერს აკეთებენ, ე. ი. მოქმედებაში და საქმის კეთებაში კი არ არიან მოცემული ეს ადამიანები, თორემ ლაპარაკით ისე ბევრს „აკეთებენ“. ამიტომაც არ ხდება არავითარი განვითარება, გაღრმავება ნაწარმოების. რადგან არ არსებობს მხოლოდ ლაპარაკის მოძრაობა, თუ გინდ ეს ლაპარაკი ავტორსაც ეკუთვნოდეს. ბევრს, ძალიან ბევრს მოგვიყობა და გვიამბობს რობაქიძე იმაზე, თუ როგორ დაქანაობს ავტოთი უნგარ, მაგრამ ეს მხოლოდ ავტორის ლაპარაკია სხვის მოძრაობაზე, თვით მოძრაობა კი მხატვრულად განსახიერებული არ არის ოდნავათაც. ამიტომაც არ იშლება რომანი, არ ღრმავდება, არ რთულდება, რადგან ოდნავათაც არ იცვლება მდგომარეობა. ორგანიულ მოძრაობას არ განიცდიან ნაწარმოებში გამოყვანილი ადამიანები და მიტომ არის მხოლოდ დაუბოლავებელი ლაპარაკი, სიტყვების კორიანტელი ხან გმირებისა და ხან კი თვით ავტორის. და მერმეთ როგორია ეს ლაპარაკი, ან და ეს ფოტოგრაფიული პლასტინკები? მხატვრულ ლიტერატურამ იცის საუკეთესო ნიმუშები საუბრულ პროზისა და ან და ნატურალისტური აწერილობისა. აქ საჭიროა სიტყვების შნოიანობა, ე. ი. შესაფერისობა იმ საგნებისადმი, რომლებზედაც არის ლაპარაკი ან და რომელსაც ასწერენ; და რაც უმთავრესია: ინტერესიანობა ამ ასაწერ საგნებისა, თუ მოსაყოლ ამბებისა. „ფალესტრა“ ვერც ამით დაიკვეხის; არამც თუ ვერ დაიკვეხის: პირდაპირ აუტანელი ხდება კითხვა ყველა იმ პროვინციალურ და გაბერებულ —ცხონებულ ჰშიბიშევსკის დროის — ფილოსოფიურ „ღრმა აზრებისა“, ქალის, მამაკაცის, სქესის, მასკის და ვინ იცის კიდევ რის შესახებ; — რომლებითაც ასე უმოწყალოდ უმასპინძლდებიან საბრალო მკითხველს — რობაქიძის გმირები, განსაკუთრებით ეს პერეცია თუ ვიღაც ეშმაკი: „ხშირად კი თვით რობაქიძე. აი ზოგიერთი ნიმუშებიც ასეთ „ღრმა აზრების“ და მხატვრულ ადგილებისა:

„დიახ, უმწარესი და უტკბილესი: „მე“, აქ მარხია ყოფის საიდუმლო. უმწარესი — რადგან სიკვდილია იგი, უტკბილესი — რადგან სიცოცხლეა იგი. თითქმის ერთსა და იმავე დროს. თვითონ ყოფა მარადი „ქცევაა“, მუდმივი ცვლა, უწყვეტი დენა. ამ დენაში, ამ ცვლაში, ამ „ქცევაში“ — ცხადდება და ცნაურდება „მე“, „პირი“. მარადი ქცევა, მუდმივი ცვლა. ქცევა და ცვლა —რის? და აქ იჭრება ხელუხლებელი „სახე“, ხატი (არა სალოცავი): დემოკრიტის „გარსი“, პინდარის „აიდოლონ“, გერმანული „აბბილდ“. ნიშანი ამ „სახის“ არის მასკი, ნიღაბი. და დაარდი: იმ კულტებში, საცა „ცვლა“ ყოფის საიდუმლოდ იყო გამოცხადებული, „ქცევა“ მასკით ხდებოდა. მაგალითად: დიონისოს კულტში. „მე“ უნდა გაიხსნეს, უნდა გაირღვეს. არსი უნდა გადავიდეს ყოვლადში. პიროვნება უნდა ეზიაროს ზეპიროვნულს. ეს არის დიონისოს ფენომენი. და როგორი იყო რიტუალი ამ ფენომენის?“.

და კიდევ ერთი ადგილი:

„ჩემი ახსნა ასეთია... სქესი ყველაფერშია... სიტყვაშიაც კი... სქესში წარმოშობაა და გაქრობა... მამა შობს შვილს და კვდება... შვილი მამად იქცევა: თავის მხრით შობს შვილს და კვდება... ამ შვილსაც იგივე ხვედრი მოელის — და ასე: დაუსრულებელ... ამ დენაში რჩება გვარი, პიროვნება კი კვდება... პიროვანი მარცხდება და იმარჯვებს უპიროვნო... ასე ყველგან... მაგრამ არის ერთი გამონაკლისი: ეს ადამიანია. სიყვარულით ჭირვეული... სიყვარული პიროვანის გზნებაა... სიყვარულში ადამიანს აღარ უნდა სქესით გაგრძელება... მას უნდა სრულ იქმნას საყვარელთან ერთად“...

„მერე“?..

„მერე და: — ადამიანი ამას ვერ აღწევს... იტანჯება... იბრძვის... მას სძულს უპიროვნო სქესი, რომელიც მის პიროვან „მე“-ს ანადგურებს... შეუცნობელ წიაღში ეს „მე“ პროტესტს უცხადებს ამ სქესს... მაგრამ სქესი საყვარელ არსშია მოქცეული, და ხშირად, როცა ადამიანის „მე“ ცნობს, რომ მისი ბრძოლა იმ თავითვე განწირულია, სქესისადმი სიძულვილს საყვარელზე გადაიტანს ხოლმე... აქაა დაფლული ძირები სიყვარულისა და სიძულვილის... ამას სასიყვარულო სიტყვებიც ამცნევენ: „შეგჭამ“, „შეგხრამ“ და სხვა...

ან და კიდევ:

„ნამდვილია: სენსუალობა. ხაზი. რადიოქცეულ. საშინლად წელილი. თითქმის ამატერიულობამდე დასული. მაგრამ მწველი. ტკბილი“.

„დიდებული ნათქვამია“ — შენიშნავს მაკ ლეიკი. ვინ იცის, შეიძლება მართლაც დიდებული იყოს ეს ნათქვამი მაკ ლეიკისათვის, მაგრამ ქართველ მკითხველისათვის კი, არამც თუ დიდებული. ჩვენ მოვიყვანეთ მხოლოდ სამი ამონაწერი ასეთი ფილოსოფიური „ღრმა აზრებისა“. ასეთებით კი ავსილია მთელი „ფალესტრა“. გადაჭარბებული არავის ეგონოს: სადაც კი რობაქიძის ორი გმირი თავს შეიყრის განსაკუთრებით კი — სასმურებით ხელში — აუცილებლად ასეთი ფილოსოფიური მსჯელობანი იწყება... ვაი მათ, თორემ ჩვენ — წავიკითხავთ — წაკითხვასაც მაინც და მაინც ვინ გვაძალებს; არც დავკარგავთ არაფერს თუ არ წავიკითხავთ, მხოლოდ რაღაც უგემო ნალექი დარჩება სადღაც ტვინის ზორეულ უჯრედებში, ჩვენ არ გვინდა ვიფიქროთ, რომ პერეცის ფილოსოფიური მსჯელობანი — ეს რობაქიძის საკუთარი აზრებია; არა. ღმერთმა დაგვიფაროს... არამც თუ ეს: ჩვენ ისიც არ გვინდა მივაწეროთ პატივცემულ ავტორს, რასაც ის თავის თავს თითონ აწერს... მაგრამ მოვიყვანოთ აქ მაინც ის, თუ რას აწერს თავის თავს — ჩვენის აზრით ცილს სწამებს —რობაქიძე. აი რას ამბობს:

„ტიციან ტაბიძე (პაოლო იაშვილზეც იყო ზევით ნათქვამი, მაგრამ ჩვენ პაოლო იაშვილი იმდენად „გვიყვარს“, რომ მასზე ნათქვამს, ვმალავთ. ამ შენიშვნას იმიტომ ვაკეთებთ, რომ არავინ იფიქროს, თითქოს ტიციანი მოიხსენია და პაოლო დაივიწყა გ. რობაქიძემ,—ეს არაჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა: არა ყველაფერი ჩვეულებრივია აქ: ტიციანიც არის ხოტბა შესხმული და პაოლოც ვ. ბ.). ორპირის ჭაობში და მალარიაში ლაფორგის მთვარის სიყვითლეს ხედავდა და ლექსებში მასსავით უჟღერდა ამ ყბად-აღებულ მნათობს, გრ. რობაქიძეს (დააკვირდით, დააკვირდით! ვ. ბ.) ამ დროს მხოლოდ ორი რამ აწვალებდა: აპოკალიპსისი და დიონისო. ამავე დროს ამზადებდა იგი „ორლობის ეშაფოტს“ და „პატმოსის რიტმებს“, ქვეყანა მართლაც იქცეოდა და მხოლოდ თბილისი იყო ერთად ერთი ქალაქი, რომელიც ამ ქცევას პოეტური მღერით ხვდებოდა (უდარდელობით ხომ არ აიხსნება აღმოსავლურით თუ ქართულით?)“.

ჩვენ სრული პასუხისმგებლობით ვამბობთ: რობაქიძე აქ—ან ცილს სწამებს თავის თავს და ათქმევინებს მას იმას, რაც თითონ არ სჯერა ან და ცილის მწამებელია ის თბილისის და... ქართველი მშრომელი ხალხის. როგორ? 1919 - 1920 წ. წ. თბილისი და საქართველო მხოლოდ პოეტების მხიარული სიმღერებით ხვდებოდა „ქვეყნის ქცევას“? განა თბილისი მხოლოდ ისეთი იყო და მხოლოდ ის იყო —რასაც რობაქიძე აგვიწერს ათეულ გვერდებზე თავის „ფალესტრისა“? მხატვრობა მხატვრობად, მაგრამ თბილისს და საქართველოს არც ისე ადვილად დავანებებთ პატივცემულ რობაქიძეს. „ფალესტრა“, როგორც რობაქიძე სწერს — ეს უცხო თვალი ყოფილა ევროპაში და ჩვენ ოდნავადაც არ გვინდა, რომ ეს თვალი ყალბი და ცრუ იქნეს თბილისის და საქართველოს მიმართ... ის თბილისი, რომელსაც თქვენ ასწერთ — პატივცემულო ავტორო — მხოლოდ ბოზების, სპეკულიანტების, თეთრ ხელთათმანიან სოციალისტების და ზოგიერთ კოკაინისა და ალკოჰოლის გმირ პოეტების თბილისია — მაგრამ ეს განა თბილისი იყო... 1919-1920 წ. წ. თბილისი და მთელი საქართველო არა მარტო პოეტების მხიარული მღერით ხვდებოდენ ქვეყნის ქცევას ე. ი. რევოლიუციას. არა, ეს ცილისწამებაა, თბილისიც არ ყოფილა ერთად ერთი ასეთი ქალაქი; ესეც ცილისწამებაა... თბილისი და საქართველოს მშრომელი ხალხი, ისევე როგორც მთელი სხვა ქვეყნიერება, სისხლით, სიკვდილით, აჯანყებებით, ციხეებით, ნატვრით და იმედით შესცქეროდა რევოლიუციას... რევოლიუციის ისტორია ეს არ არის რომელიმე ყანწელ პოეტის პოეტობის ისტორია, რადგან თუ კი ეს უკანასკნელი ბლომად არის ყანწის „წითელი წყლით“ ნასილი — სამაგიეროდ რევოლიუცია ათასების და მილიონების წითელი სისხლით არის შეღებილი. თბილისის მუშათა რაიონებმა, ყოფ. ალექსანდრეს ბაღმა, გურიამ, სამეგრელომ, ლეჩხუმმა, ოსეთმა და დუშეთმა იციან კარგათ, როგორი „პოეტური მღერით“ ხვდებოდა „ქვეყნის ქცევას“ თბილისი და საქართველო, ან და შეიძლება ნოე რამიშვილის და ჯუღელის რაზმელები და გვარდიელები ხვდებოდენ „პოეტურ მღერით“ ქვეყნის ქცევას?.. ეს ვკითხოთ ჯუღელის „მძიმე ჯვარს“ და ნოე რამიშვილის ყოფილ დამჭაშებს... ზოგიერთი მათგანნი ეხლაც დაეხეტებიან რუსთაველის პროსპექტზე და ალბად თუ წააწყდებიან პატივცემულ რობაქიძის „პალესტრას“ ბევრს იცინებენ, გულში მაინც, „თბილისი იყო ერთად ერთი ქალაქი, რომელიც ამ ქცევას პოეტური მღერით ხვდებოდა“! ჩვენ სრულებითაც არ გვინდა დავემზგავსოთ ზოგიერთ ახალგაზრდა „კრიტიკოსებს“, რომლებიც ერთ დაჭერილ სიტყვით მთელ იდეოლოგიას ჰქმნიან სხვადასხვა ხშირად არ არსებულ გადახრების შესახებ; მაგრამ აქ, „ფალესტრას“ ამ თავის შესახებ არ შეგვიძლიან არ ვსთქვათ: მოთმენასაც საზღვარი აქვს... ჩვენ შეურიგდებით იმ ამბავს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხის სიკვდილ - სიცოცხლის დღეებში ტიციან ტაბიძე ძაღლივით უჟღერდა მთვარეს თუ გინდ ლაფორგისასაც, ან და გრ. რობაქიძეს აწვალებდა მხოლოდ ორი რამ: აპოკალიპსისი და დიონისო .. ჯანდაბას ყოველივე ეს, ჯანდაბას მათი წარსული. აპოკალიპსისი და ლაფორგის მთვარე... მაგრამ როდესაც დღესაც, თითქმის თავმომწონებით და უშნო ტრაბახით ამასვე გაჰყვირიან, ამას კი წერტილის — შავი და ურყევი — დასმა სჭირდება...

(გაგრძელება იქნება)

ვალ. ბახტაძე.

როგორ მიმდინარეობს კოლხელშეკრულების დადების კამპანია

კოლხელშეკრულების დადების კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. რკინის გზელთა საბინაო მშენებლობის ფონდი მომავალ წლისათვის გადიდებულია. ახალგაზრდა მუშები აქტიურ მონაწილეობა ღებულობენ კოლხელშეკრულების განხილვაში

კოლხეშეკრულებას გავეცანით

(ამხ. სტ. სახ. ორთქ. შემკ. ქარხანა)

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ განიხილა კოლექტიური ხელშეკრულება. კრებამ მოიწონა ოქ. გზის ცეკას პლენუმის დადგენილება კოლხელშეკრულების უფლებრივ ვადის გაგრძელების შესახებ. ხელშეკრულებას დაემატა მუხლები, რომლის ძალით მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მიმდინარე წელს დაიხარჯება 70 მილიონი მანეთზე მეტი. საბინაო აღმშენებლობაზე ნაცვლად 12 მილიონი მანეთისა 34 მილიონი მანეთი. შრომის დაცვაზე დაიხარჯება 14 მილიონი მანეთი, შრომის პირობების გაუმჯობესებაზე 11 მილიონი მანეთი, გზებზე, სხვადასხვა საჭიროებისათვის—ბინების ასაგებად 6 მილ. მანეთი. აბანოებზე ორ მილიონ ნახევარი და სხვა საქმეებზე ორ მილიონ 30 ათასი მანეთი, 12 მილ. 400 მანეთი ხელფასის გაუმჯობესებაზე. ტეხნიკურ გაუმჯობესებაზე, ნახევარ მილიარდამდე დაიხარჯება.

რკინის გზების შემოსავალი, მთელს კავშირში წლიურად უდრის 1 მილიარდ 700 მილიონ მანეთს. გასავალი კი 1 მილიარდ 800 მილიონი მანეთს, სახელმწიფო იძლევა დოტაციას ტრანსპორტის გასაუმჯობესებლად. დიდი თანხები დაიხარჯება შავი ზღვის სანაპირო და ციმბირის რკინის გზების გაყვანა დამთავრებისათვის ამიერ-კავკ. რკ. გზებზე რევოლიუციის დროს აყრილი მეორე ხაზი ისევ დაიგება და ზოგან მესამე ხაზიც იქნება გაყვანილი.

კოლექტიურ ხელშეკრულების ძალით გაფართოვდება საკონფლიქტო კომისიების უფლებები, რადგან მათ გაამართლეს დანიშნულება. პასუხისგებაში მიცემულს იმ შემთხვევაში მიეცემა გაცდენილი დროის ხელფასი, თუ დაპატიმრება მოხდება მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო და გამართლდება. მაგრამ თუ დაპატიმრება კერძო, ან ხულიგნობის ნიადაგზე მოხდება და მაინც გამართლდება, მას არ მიეცემა გაცდენილი დროის ხელფასი.

წინეთ ავათმყოფობის ვადა იყო 4 თვე ამის შემდეგ ავათმყოფი მუშა, გადადიოდა დამზღვევ სალაროზე და ადგილი ეკარგებოდა. ეხლა ეს ვადა გაგრძელებულია 6 თვით. დამატებულ მუხლების თანახმად, სეზონის მუშები კავშირში ჩაირიცხებიან მეორეთ მუშაობის დროს. სამგზავრო ბილეთები დარჩება ძველებურად, მხოლოდ ვაუქმდება წლიური ბილეთები, რადგან ისინი უამრავ ხარჯებს იწვევენ. სამაგიეროთ მუშებს მიეცემათ წყალზე სამგზავრო ბილეთები უფრო მეტი, ვიდრე ეს იყო დღემდე.

ხელშეკრულების განხილვაში ახალგაზრდობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო. მათ მთელი რიგი საკითხები წამოაყენეს მუშა ახალგაზრდობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ფ.

ნაკლი უნდა გამოსწორდეს

გასული წლის დასაწყისში საქართველოს მედსანშრომის კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დასდო კოლხელშეკრულება საქართველოს სახმედვაჭრობასთან. ამ კოლხელშეკრულებით ერთი და იგივე თანამდებობის თანამშრომელთა ხელფასი ყველგან—ქალაქად მაზრებში და სოფლად, გათანასწორებულია. მაგრამ გამონაკლის შეადგენენ ქალაქების, სამაზრო ქალაქების და ზოგიერთ დაბა ქალაქები საფთიაქების გამგეები. თანახმად კოლხელშეკრულებისა, ისინი ღებულობენ თვეში 140 მანეთს, სოფლის აფთ. გამგეები კი 95 მანეთს უბინაოთ. თუ ბინა არა აქვთ 100 მანეთს თვეში. ასეთი განსხვავება ჯამაგირებში აშკარა უსამართლობაა. სოფლის აფთიაქის გამგეები მეტი დატვირთული არიან მუშაობით, ვიდრე ქალაქში მომუშავეები. მათ უხდებათ შეთავსებით მუშაობის წარმოება (ორი სამი თანამდებობის ერთად ასრულება. როგორიც ცარის, რეცეპტორი, ასისტენტი, მოანგარიშე და გამგე)—ისიც განუსაზღვრელ საათებში.

ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს, რათა სოფლის აფთიაქის გამგეების ხელფასი გათანასწორებულ იქნას ქალაქების და ზოგიერთ დაბა-ქალაქების აფთ. გამგეთა ხელფასთან, რაც შეეხება ბინით და სხვა კომუნალურ დახმარებათა სარგებლობას. ამის შესახებ თვით კოლხელშეკრულებაშია ნათლად აღნიშნული, რომ თანახმად საქართველოს სახკომსაბჭოს დეკრეტის (იხ. გაზ. „კომუნისტი“-ს მე-137 № 1927 წ. „სოფლად მომუშავე მედპერსონალი, მათ რიცხვში აფთიაქის გამგეებიც, უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სახმედვაჭრობის ქირით ბინით და გათბობა-განათებით“. ეს ერთგვარი შეღავათია სოფლად მომუშავე მედპერსონალისათვის, სოფლად მუშაობის განსაკუთრებული პირობების და თავისებურობისათვის. ასეთი შეღავათის ჩათვლა ხელფასის ანგარიშში, სრულებით არ არის სწორი. ახალი კოლხელშეკრულების დადების დროს, ყოველ მიზეზის გარეშე უნდა იქნას სოფლის აფთიაქის გამგეთა ხელფასი ქალაქების აფთ. გამგეთა ხელფასთან გათანასწორებული

აგრეთვე ჯერ-ჯერობით სოფლის აფთიაქებში ყველგან ერთნაირად არ სარგებლობენ გამოსასვლელი დღეებით—კვირაში ერთხელ, სადაც ნაკლები სამუშაოა და მეორე რაიონის აფთიაქიც ახლოს არის, იქ შესაძლებელია დაიკეტოს აფთიაქი კვირაში ერთ დღეს. სადაც კი სამუშაო პირობების მიხედვით არ შეიძლება დაიკეტოს აფთიაქი, და თანამშრომელს არა აქვს საშუალება ისარგებლოს გამოსასვლელი დღეებით, იმ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება წლის ბოლოს მიეცეს მათ ან ფულადი კომპენსაცია, ანდა დამატებით შვებულება.

აღნიშნული დეფექტები გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალი კოლხელშეკრულების დადებს დროს.

გ. ჩიხლაძე.

განვიხილეთ კოლხელშეკრულება

ამხ. კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ განიხილა კოლექტიური ხელშეკრულება. განხილვაში დიდ აქტივობას და სიფხიზლეს იჩენდნენ მუშები. განსაკუთრებით დიდი კამათი გამოიწვია მუშებში იმ მუხლებმა, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ თუ ქარხანაში საქმე მოაკლდება, ადმინისტრაციას უფლება მიეცეს, მდგომარეობის გამოსწორებამდე მე-8 თანრიგის ხელოსანი ჩამოიყვანოს 6—7 თანრიგამდე. კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ადმინისტრაციას მიეცა უფლება ხელოსანის თანხმობით,—დაუკლოს მას თანრიგი გარდა ამისა კოლხელშეკრულების თანახმად ჯამაგირების დარიგება უნდა ხდებოდეს თვეში ორჯერ, მუშაობის დროს. შესასრულებელი საქმის შემფასებელი აუცილებლად უნდა იყოს საქმის კარგად მცოდნე, რადგან ქარხანაში საქმე არის მრავალფერი და ამიტომ საჭიროა შემფასებელი იყოს უფრო მეტი მცოდნე. თუ ხელოსანი დაუშვებს შეცდომას და გააფუჭებს საქმეს, მან უნდა აანაზღაუროს იგი თავის ძირითადი ჯამაგირის ერთი მესამედის გადახდით თვეში მანამდე, სანამ დაჰფარავდეს მის ღირებულებას. გარდა ამისა ცივ საქმეზე მომუშავე მუშებს უნდა მიეცეთ აბანოს ბილეთები თვეში ორჯერ. ცხელ საქმეზე მომუშავეთ კი თვეში სამჯერ.

დიდი კამათი გამოიწვია, აგრეთვე შეგირდების საკითხმაც. ეს საკითხი თხოულობს აუცილებლად მოგვარებას. დღევანდლამდე არსებულმა ნაჭრობით მუშაობის წესმა, დაამახინჯა შეგირდობა და სრულიად ჩამოაშორა ისინი ნამდვილ სწავლას. 3—4 თანრიგიდან, შეგირდები გადაჰყავდათ ნაჭრობით სამუშაოზე, რისთვისაც ცდილობდა მეტი ფულის აღებას. ამაში ისინი ხელს იფუჭებდნენ. ოსტატები მოითხოვენ, რომ შეგირდი 5—6 თანრიგს ქვევით არ დაიშვას ნარდ სამუშაოზე. მეექვსე თანრიგიდან შეიძლება შეგირდი გადაიყვანოს ნარდ სამუშაოზე, მაგრამ ეს ოსტატის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ხდებოდეს.

ახალ კოლხელშეკრულებაში სხვა საკითხებთან ერთად შეტანილია შემდეგი მუხლიც: თუ ქარხანაში მომუშავე შავ მუშას, რომლის წლოვანება არ აღემატება 20 წელს, ექნება სურვილი ხელობის სწავლისა, ის გადაყვანილ უნდა იქნას შეგირდად და თანრიგიც დაენიშნოს შეგირდისა.

შაქრო ნავთლუღელი.

საყურადღებო საკითხები

დირექტივა მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შესახებ მტკიცედ უნდა გატარდეს ცხოვრებაში.—გაძლიერებულ იქნას ამ მიმართულებით მშრომელი მასების კონტროლი. — თვითდაბეგვრის საკითხს მეტი სიფრთხილით უნდა მიუდგეთ.

გაუფრთხილდეთ სახალხო ქონებას

სახალხო ქონების მოვლა-პატრონობა, მისი მიზანშეწონილად გამოყენება და ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილება, მუდამ უნდა შეადგენდეს თვითეულ ორგანიზაციის და მისი ხელმძღვანელის საზრუნავ საგანს. ამ მიზნით თავის დროზე იქნა გამოსროლილი ლოზუნგი მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში მტკიცედ გატარების შესახებ. ამ ლოზუნგის განხორციელებაზე დიდად არის დამოკიდებული სოციალისტური მშენებლობის წარმატება და ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. პირველ ხანებში მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას დიდი ყურადღება ექცეოდა და მან მნიშვნელოვანი შედეგებიც მოგვცა.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში? სამწუხაროდ არა დამაკმაყოფილებელი. ლოზუნგმა მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შესახებ დაკარგა პირვანდელი მიმზიდველობა და ის თითქმის დავიწყებას მიეცა. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას სოფლად არსებულ დაწესებულებების შესახებ, რომლის შესანახად იხარჯება მნიშვნელოვანი თანხა.

სოფლად მომუშავე ზოგიერთი მუშაკები არ იღებენ საკმაო ზომებს მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად და ხშირად დაუშვებელ საქციელსაც მიმართავენ. ისინი ზოგჯერ თავიანთი პირადი ინტერესებისათვის იყენებენ სახალხო ქონებას და მით ზიანს აყენებენ ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობას. ამ ფაქტს სხვათა შორის ადასტურებს სამტრედიის თემაღმასკომის თავმჯდომარის ნესტორ გეგიას მოქმედება, რომელიც სახაზინო ეტლით მიემგზავრება მეზობელ სოფელში საეკლესიო დღესასწაულზე და იქ ოთხ დღეს ქეიფში ატარებს, ხოლო ამ ხნის განმავლობაში აღმასკომის კუთვნილი ეტლი თავის კერძო საქმისათვის ჰყავს გამოყენებული. ამ შემთხვევაში აღმასკომის თავმჯდომარე ორგვარ ბოროტმოქმედებას სჩადის: ერთის მხრივ ის მონაწილეობას იღებს გლეხობის დამღუპველ რელიგიურ დღესასწაულში, ხოლო მეორეს მხრივ გაურბის დაკისრებულ მოვალეობის ასრულებას და ამახინჯებს მომჭირნეობის რეჟიმს.

მომჭირნეობის რეჟიმის დარღვევად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე, როცა სენაკის სას.-სამ. ტეხნიკუმის გამგეს კუთვნილი 150 მანეთის ნაცვლად თვეში ეძლევა 250 მანეთი და 5 ოთახიანი ბინა გათბობ-განათებით. და ეს ხდება იმ დროს, როცა მასწავლებლების უმრავლესობას ჯერ კიდევ ვერ ვაძლევთ საკმაო შრომის ხელფასს და ბევრი მათგანი საბინაო პირობების მხრივ სივიწროვეს განიცდის.

ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავალი შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმაოა იმის დასადასტურებლად თუ რამდენად მახინჯდება ადგილებზე ხელისუფლების დირექტივა მომჭირნეობის მტკიცედ დაცვის საქმეში.

ამ მიმართულებით უფრო მეტი სიფხიზლეა საჭირო სათანადო ორგანოების მიერ.

სოფლელი.

აღმასკომის თავმჯდომარე—რელიგიურ დღესასწაულზე

ტობანიერი, ქუთ. მაზრა

ყველასათვის ნათელია, რომ ყოველი შეგნებული ადამიანი და სოფლად მომუშავე ამხანაგები სხვებისათვის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს, მაგრამ ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგების საქციელი ამ მხრივ პირდაპირ დასაგმობია. რომ ეს სინამდვილეა, მოვიყვან ზოგიერთ ფაქტებს: 20 ნოემბერს (ძვ. სტილით), საეკლესიო დღესასწაულზე „მთავარანგელოზობას“, ტობანიერის თემში მოვაჭრე ამბროსი სულაბერიძეს ესტუმრა თავისი ოჯახის შემადგენლობით სამტრედიის აღმასკომის თავმჯდომარე ნესტორ გეგია, რომელმაც კარგად შექეიფების შემდეგ იძრო რევოლვერი და თანამოქეიფეებს შიშის კანკალი აუტეხა, ნესტორ გეგია ტობანიერში მობრძანდა აღმასკომის კუთვნილი ეტლით. რომელიც გაჩერებული ყავდა სულაბერიძესას 4 დღის განმავლობაში.

ტობანიერის აღმასკომის თავმჯდომარე ამფილოქე მამფორიას მოქმედებაც ხშირ ქეიფის გარდა გამოიხატება შემდეგში: თუ ვანის აღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ მ. ლორთქიფანიძემ სამტრედია-ვანის შოსე მხოლოდ მისი ეზოდან დაიწყო და გაიყვანა ვანამდე, მამფორიამ ზემო ხსენებული გზა დაიწყო შუაჭთიდან და გააკეთა მისი ეზოს მიმართულებით. ის გზა კი, რომელიც მთელ ვანის რაიონს (6 თემია), სამტრედიასთან აკავშირებს ჭყუშის მიმართულებით უყურადღებოდ დასტოვა. ადგილობრივ გლეხებმა თავიანთი სურვილით მოიტანეს ხრეში, დაყარეს გზის გასწვრივ, მაგრამ მამფორიამ არ მისცა ნება ხრეში გაეშალათ და დაყრილ ხრეშის გვერდში მგზავრები ლაფში იხრჩობიან, ამავე გზაზე არსებულ ბოგირებზე გავლა საშიშია.

მასვე აქვს სას. სამ. ამხანაგობებიდან სესხად გატანილი 150 მანეთამდე, აგრეთვე გატანილი აქვს სამომხმარებლო კოოპერატივიდანაც მოზიდილი თანხა, რასაც თავის დროზე არ აბრუნებს. ეს კარგად იციან ადგილობრივმა მუშაკებმა, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებენ, რაც გლეხობაში ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს.

საჭიროა ზემდგომ ორგანოებმა ასეთ პასუხისმგებელ ამხანაგებს გაფრთხილება მისცენ და თავიანთ მოვალეობაზე მიუთითონ.

მეთვალყურე.

სადაა აქ მომჭირნეობა?

(წერილი სენაკიდან)

პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივების თანახმად ყოველი საბჭოთა კაპიკი უნდა იხარჯებოდეს მიზანშეწონილად. მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთი ორგანოები ამ დირექტივას ხშირად გვერდს უვლიან. ამას ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს ქვემოდ აღნიშნული ფაქტი.

სენაკის სას.-სამ. ტეხნიკუმის გამგე გ. ქანთარიას გამგებლობისათვის სპეციალურ განაკვეთის (150 მ.) გარდა ეძლევა ბინა ხუთი ოთახით, გათბობა-განათება, 50 მან. დამატებით და თან ზაკვეთილებიდან კიდევ 50 მან. ე. ი. გამგე იღებს სულ 250 მანეთს უფასო ბინით და გათბობა-განათებით, რაც ჩვენი რესპუბლიკის სამ. ტეხნიკუმის არც ერთ გამგეს არა აქვს.

საინტერესოა ვიცოდეთ, რით ხელმძღვანელობდა ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროს განსახკომის პროფგანათლების მთავარი სამმართველო? თუ იმას ფიქრობს, რომ ხსენებული ქანთარია ბუმბერაზი და შეუცვლელი სპეცია, ეს არაა სწორი. პირიქით ქანთარია საშუალო განათლებითაა არც დიდი პედაგოგიური სტაჟით, მასთან არა ერთხელ იყო მის შესახებ გაზეთებში მოთავსებული წერილი ბიუროკრატიული მოქმედების, ტეხნიკუმის მუშებზე გადაკიდების, გლეხებთან უხეშად მოპყრობის, ტეხნიკუმის მეურნეობის პირუტყვებით განადგურების და სხვა მრავალ დაუშვებელ საქციელის გამო. ასეთ შემთხვევაში პროფგანათლების მთავარ სამმართველოს ალბად ავიწყდება მომჭირნეობის პოლიტიკა. წლიურად სენაკის სამ. ტეხნიკუმის გამგეზე ასეთი სახით დაზედმეტებული 720 მან. ხარჯის ზედმეტად გაღება არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას. უკეთესი იქნებოდა ეს აღნიშნული 50 მან. სპეც. დარგის კაბინეტის მოსაწყობად და ტეხნიკუმის სხვა სამეურნეო ხარჯებისათვის (თუ გინდ მუშების სპეცტანსაცმლისათვის) გადაედო პროფგანათლების მთავარ სამმართველობას.

ვფიქრობთ, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია მიიღებს საჭირო ზომებს ასეთი ხელგაშლილობის წინააღმდეგ.

შორიზალი.

1929 წლისათვის

აღმასკომს.

გზა ხიარულმა დალია,
ხიდი ქვა წყალთა დენამა,
ბევრი გეგმები აღმიძრა
ჩვენი ქუჩების ცქერამა.
კეთილმოწყობას ველოდით,
გვიმუხთლა ბედის წერამა
ოცდარვა წელი იმსხვერპლა
უფრო პროექტის წერამა.
ბინებს რომ ხელი მოჰკიდე,
გვიმატა გულის ძგერამა,
კომენდანტების გაჩენა
ხომ იცი, როგორ გვეამა?
მაგრამ ზოგიერთ იმათგანს
დიდი სიხარბე სჩვევია,
ყველგან თავისთვის სურთ ბინა,
სადაც რომ შესახვევია!
ოცდა ცხრა წელში გისურვებ
გქონოდეს მეტი უნარი,
არც ერთი ქუჩა, არც სახლი
არ გქონდეს დასაწუნარი.

ტრამვაის.

კარგად იცი ლოდინისთვის
მოთმინება რომ გვეყოფა.
მაგრამ რაა, რომ ამ წელში
გაახშირე კატასტროფა.
კარგი არის, როცა ვაგონს
ისე უშვებ, როგორც ექსპრესს,
მაგრამ ერთს გთხოვთ: მუხრუჭებთან
ნუ დააჯდენ უვიც „მეხრეს“.
ვაგონები ისეთი გაქვს,
რომ გაათბობ კაცს გაყინულს
მაგრამ რაა, რომ გვატარებ
ტარანივით ჩამოკიდულს!
ვისურვებდი: მიმოსვლისთვის
მტკიცე წესი დაგვიწესდეს,—
არც ის ვარგა, რომ თითო მგზავრს
სამი კაცი მუხლზე ეჯდეს.

მილიციას.

ოცდა რვა წელში მრავალმა
ხელი მოითბო ბაცაცმა,
თავი დაუკრა ხაზინას
ფულებმა მრავალ ათასმა.
„საკმაო“ იყო მკვლელობა,
და თავხედური თავდასხმა,
თავდამსხმელთ პოვნას ველოდით
ლოდინით გული გადახმა.
გისურვებ მეტ ფხას, მეტ უნარს
აწ განვლილ წლის გადაღმა,
თუ გვასახელებ, ჩვენ გვკითხე
შენი მოვლა და ტანთ ჩაცმა.

„თელას“-ს.

ყურადღებას, რომ არ გვაქცევ,
ალბად ბევრი გაქვს საქმენი!
შარშან რომ თხოვნა მოგართვით
დაგვიკარგე, თუ რა ჰქენი!?
გასულ წლის ხელშეკრულებს
სულ ყველა დახახევია.
რამდენი პირობაც გითქვამს
იმდენი დაგირღვევია!
რად გინდა, რომ სამუდამოდ
შენთან მოსვლა შეგვაძულო,
მსურველი ვართ, დაპირება—
ზოგჯერ მაინც შეასრულო.

სახელგამს.

ჩვენი თხოვნაა,—მოგვეცი
ძვირფასი რამ საღირალი,
ვის რაში უნდა მითხარი
ამდენი ნაცოდვილარი!
„დავსტამბით“ დავნაყდით, გვეყოფა
პოეტი ცისკენ მზირალი,
ქაღალდს რომ სულაც არ ზოგავს
ეს არის გასაკვირალი.
ნაკლები ბოდვა, ოცნება!
ნაკლები მაკულატურა!
მეტი საჭირია ნაშრომი,
და საქმის ლიტერატურა!

მარგანეცის ტრესტს.

ახალი წლისთვის მიიღე
ეს სალამი გრძნობით სავსე
ყოჩაღ! ყოჩაღ! გვიხარია:
ჭარიმანი „გააფახე“.
კვლავ განაგრძე მუშაობა
მადნის თხრა ისევ ახე,
რათა შენი საკუჭნაო
ოქროებით იყოს სავსე!

ოპერას.

აბონემენტის სისტემა
ეს კარგი დასაწყისია,
მაგრამ სეზონის მუშტარი
მეტი პატივის ღირსია.
ჩვენთვის ყოველთვის—„გედის ტბა“.
კარგი რამ ყველა—სხვისაა.
ასეთი გამასპინძლება
აბა რა საკადრისია.

რუსთაველის თეატრს.

მეტის-მეტად გვიხარია
რომ სწორი გზა დაგისახავს,
კარგს ყოველთვის მოგიწონებთ,
დაგიძრახავთ დასაძრახავს!
იმიტო გვაქვს—მომავალში
ისევ გეტყვით სალამს, ქებას
კვლავ ვიხილავთ კარგს პიესას
და შენს მორიგ გამარჯვებას!
ეცადე და არ ჩამორჩე
ამ ცხოვრების წინსვლას, სრბოლას
მომავალში გისურვებდი
მეტი მაყურებლის ყოლას.

ზერმეს.

წითელი ყაზარმა დიდი გამოცდის წინ

დღეს იწყება წითელი ყაზარმის დათვალიერება. ჯერ კიდევ ორი თვის წინეთ საბჭოთა კავშირის რევოლუციონურ სამხედრო საბჭომ გამოსცა ბრძანება წითელი ყაზარმის დათვალიერების შესახებ, რომლის პირველ დღეთ იყო დანიშნული 1 იანვარი. ამ ბრძანებამ აამოძრავა მთელი წითელი არმია და მზადებამ წითელი ყაზარმის დათვალიერებისათვის მიიღო ფართე კამპანიის ხასიათი,

წითელი ყაზარმის დათვალიერება ფრიად მნიშვნელოვან ამოცანებს ისახავს. უპირველეს ყოვლისა დათვალიერებამ უნდა გამოამჟღავნოს საწოლ ოთახების, საპირფარეშოების ჰიგიენური მდგომარეობა, წითელ-არმიელთა ყოფა-ცხოვრების პირობები; დათვალიერება გამოარკვევს, თუ როგორ არის მოწყობილი ტეხნიკურად სასადილოები სამზარეულოები, პირსაბანი, სამრეცხველო და სხვა, შემოწმებული იქნება აგრეთვე კლუბების, სამკითხველოების და ლენკუთხეების მდგომარეობა. დათვალიერების დროს ყურადღება მიექცევა სამხედრო ნაწილებისათვის ბინების მშენებლობის საქმეს, გათბობას, განათებას, წყლით უზრუნველყოფას და სხვა.

კავკასიის წითელდროშოვან არმიაში დათვალიერების ჩასატარებლად უკვე დაარსებულია კომისია, რომელშიაც სამხედრო ხელმძღვანელ ამხანაგებს გარდა შევიდნენ აგრეთვე ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. დაარსებულია აგრეთვე კომისიები ყველა ერთეულებში. დათვალიერება საარმიო მასშტაბით იწარმოებს გაზეთ „კრასნი ვოინი“-ს საშუალებით, რომლის ფურცლებზე 1-ლ იანვრიდან 28 თებერვლამდე მოთავსდება წერილები, რომლებიც დაახასიათებენ ყაზარმების მდგომარეობას. სამხედრო კორესპონდენტთა წერილები ქართულ ნაწილებიდან დაიბეჭდება ქართულ სამხედრო გაზეთ „წითელ არმიელში“.

აქედან გასაგები ხდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ დათვალიერებას წითელი ყაზარმის კულტურულ ყოფა-ცხოვრებრივ პირობების გაუმჯობესებასა და საერთოდ ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საქმეში. თუ გადავხედავთ ჩვენ იმ მუშაობას, რომელიც უკვე ჩატარებულია, მაგალითად ჩვენს ქართულ ნაწილებში, ყველა დარწმუნდება, რომ ჩვენი წითელი ყაზარმა დათვალიერების შემდეგ მიიღებს სრულიად ახალ სახეს.

დავიწყოთ გინდ სამზარეულოდან. თითქმის ყველა ლეგიონებში სამზარეულოები გადაკეთებულია: შეშიდან გადაყვანილია მინერალურ სათბობ მასალაზე, შეკვეთილია და აგრეთვე მზადდება ნაწილების სახელოსნოებში სკამები, ტანისამოსის ჩამოსაკიდი თვითეულ წითელ არმიელთათვის, ასეულებისათვის იძენენ სარკეებს, კედლის საათებს, ახალ პირსაბანებს, რკინის საწოლებს და სხვა. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სისუფთავეს და წესრიგს ყაზარმაში. პირსაბანი იწყობა იმგვარად, რომ წითელ-არმიელებმა, როდესაც მოისურვებენ, შესძლონ ფეხის დაბანა. განსაკუთრებით უმჯობესდება კვების და სასადილოების საქმე, თითქმის ყველგან სადილი კეთდება ორ კერძისაგან, პირველ ქართულ საარტილერიო ლეგიონში კი კვირაობით მზადდება 3 კერძი. ზოგ ნაწილებში, როგორც მაგალითად, 1 და მე-6 მსროლელი ლეგიონებში ყველა წითელ-არმიელებს აქვთ თავ-თავიანთი დანა-ჩანგალი და სხვა საჭირო ჭურჭელი, პური სადილის და საუზმის დროს ეძლევათ განუსაზღვრელად.

„დათვალიერებასთან“ დაკავშირებით იხმება ყველა ნაწილებში წითელ-არმიელთა იაფთ საჩაიების მოწყობის საკითხი. ამ საჩაიების მოწყობის საქმეს ხელს უწყობს სამხედრო კოოპერაცია („ზაკვოენპო“), ამ საჩაიებმა დიდი კულტურული როლი უნდა ითამაშონ და გაანთავისუფლონ წითელ-არმიელები ქუჩის დუქნების გავლენისაგან.

ყაზარმას ძალიან აქვს გამოცვლილი თავისი სახე. ყველა წვრილმანსაც კი დაეტყო ცვლილება. პირველ შესვლისთანავე თვალში გეცემათ არაჩვეულებრივი სისუფთავე. ვერსად ნახავთ პაპიროსის ნამწვავებს, ქაღალდის ნაგლეჯებს ან სხვა რამე ნაგავს. თვით წითელ-არმიელები ადევნებენ თვალყურს, რომ დაცული იქნეს სისუფთავე. დიდ ყურადღებას აქცევენ წითელარმიელები აგრეთვე პირად ჰიგიენას ცხოვრებაში. მაგალითად, საკმაოსი იყო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება კბილის საწმენდის ჩოთქის სასარგებლოდ, რომ პირველ ქართულ საარტილერიო ლეგიონში ყველა წითელარმიელებს გამოუჩნდათ სურვილი, კოლექტიურად ყოფილიყო შეძენილი კბილის ჩოთქები მათ ხარჯზე.

ყაზარმაში ახლა მოწყობილია ე. წ. „სისუფთავის კუთხეები“, ფეხსაცმელების საწმენდი. და სხვ. ყაზარმების შიგნით ყველა ნივთები დალაგებულია თავის ადგილზე. შიგნის სისუფთავის დასაცავად აკრძალულია თამბაქოს წევა. საექიმო მომუშავეები სისტემატიურად აძლევენ წითელ-არმიელებს რჩევა-დარიგებას სანიტარულ ჰიგიენის საკითხებზე.

მიუხედავათ ამისა, ყაზარმას კიდევ ბევრი ნაკლი აქვს, რომლის აღმოფხვრა დამოკიდებულია მატერიალურ საშუალებებზე. სწორედ ახლა, როდესაც დათვალიერება მიდის ყაზარმა მოითხოვს საზოგადოებრივობის ყურადღებას. თვეზე მეტია განვლო იმის შემდეგ, რაც მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა სუფთა ყაზარმის შექმნისათვის და სამწუხაროდ, ჩვენი ორგანიზაციები და პირველ რიგში საშეფო ორგანიზაციები თითქმის არაფრით არ გამოეხმაურნენ ამ დიდ კამპანიას.

ჩვენ გვაქვს აგრეთვე მაგალითები, როდესაც ამ ორგანიზაციები წარმომადგენლებმა არ შეიწუხეს თავი ნაწილებში დათვალიერების ჩასატარებლად, დაარსებული კომისიების სხდომებზე დასასწრებლად. ვერ ვხედავთ ჩვენ აგრეთვე მუშების მონაწილეობას დათვალიერებაში, ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია. მხოლოდ ფართო საზოგადოებრივობის მონაწილეობით და დახმარებით შესძლებს წითელი არმია თავის დათვალიერების წარჩინებით ჩატარებას.

ი. რუდოვსკი.

კანაფის და კუნჟუტის კონტრაქტაცია

შინ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით მიმდინარე სამეურნეო წელიწადში ჩატარებული იქნება კონტრაქტაცია კანაფისა და კუნჟუტის ნათესზე. კუნჟუტის ნათესებზე კონტრაქტაცია ჩატარებული იქნება აზერბეიჯანში 5.000 ჰექტარზე, და სომხეთში 300 ჰექტარზე (სულ 5.300 ჰექტარზე). მეურნე გლეხებს ჰექტარ. კუნჟუტის ნათესზე მიეცემა ავანსი 40 მანეთის რაოდენობით. კუნჟუტის ნათესებზე კონტრაქტაციის ჩასატარებლათ გადადებულია 265.000 მანეთი.

კანაფის ნათესებზე კონტრაქტაცია ჩატარებული იქნება საქართველოში 400 ჰექტარზე და აზერბეიჯანში 3.000 ჰექტარზე (სულ 3.400 ჰექტარზე).

კანაფის ნათესებზე მეურნეებს მიეცემათ ავანსი ჰექტარზე—100 მანეთის რაოდენობით. ავანსები გაცემული იქნება ნაწილ-ნაწილათ. პირველი ავანსი 20 მანეთის რაოდენობით გაცემული იქნება 1 თებერვლისათვის; მეორე ავანსი—35 მანეთის რაოდენობით 15 მაისისათვის, მესამე ავანსი—25 მანეთის რაოდენობით—15 სექტემბრისთვის და მეოთხე ავანსი 20 მანეთის რაოდენობით 15 ოქტომბრისათვის. კანაფის ნათესებზე კონტრაქტაციის ჩასატარებლათ გამოყოფილია სულ 340.000 მანეთი.

კანაფის დამზადება საქართველოში დავალებული აქვს „სოფლის კავშირს“ და აზერბეიჯანში „კეიბირლიგი“-ს.

1929 წლის 15 იანვარს
საქ. ს. ს. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოსთან
შესდგება

თათბირი ჩაის კულტურის შესახებ

თათბირის დღის წესრიგი:

1) სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს მუშაობა 1928 წლის განმავლობაში (სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს მოხსენება).
2) საქართველოს ს.ს. რესპუბლიკაში ჩაის კულტურის და მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა (სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ მოხსენება).
3) კოლექტიურ მეურნეობების მშენებლობა ჩაის კულტურის რაიონებში (საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის და კოლმეურნეობათა ცენტრის მოხსენება).
4) სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ საოპერაციო გეგმა 1929 წლისთვის (სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ მოხსენება).
5) ჩაის კულტურისა და ტეხნოლოგიის საცდელი საქმე (სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ და საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოხსენება)

თათბირზე მოწვეულ არიან: 1) საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის, აფხაზეთის და აჭარისტანის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატების წარმომადგენელნი: 2) გალის, კოდორის (აფხაზეთი), ბათომის, ქობულეთის (აჭარისტანი), ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის სამაზრო აღმასკომების საადგილ-მამულო განყოფილებათა წარმომადგენლები.. ბათომის, ქობულეთის, გალის, ოჩამჩირის, ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრების სამაზრო აგრონომები. 4) გალის, ოჩემჩირის, ბათომის, ქობულეთის, ოზურგეთის, აცანის, მიქელ-გაბრიელის, სენაკის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, წალენჯიხის და კოწიის საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლები. 5) კოლექტივების წარმომადგენლები: აჭარისტანიდან — ერთი (ბათომის მაზრა), აფხაზეთიდან — ერთი (გალის მაზრა), გურიიდან — სამი (ოზურგეთიდან — ორი და აცანიდან 1), ზუგდიდის მაზრიდან—3 ზუგ.-დან 2 და წალენჯიხიდან—1), სენ. მაზ.-დან—2. 6) ჩაის მეურნე გლეხების წარმომადგენლები: აფხაზეთიდან — ორი (გალის და კოდორის მაზრები), აჭარისტანიდან ორი (ბათომის და ქობულეთის მაზრები), გურიიდან სამი (ოზურგეთის რაიონი —ერთი, აცანის რაიონი — ერთი) 7) ჩაის კულტურის ინსტრუქტორები: აჭარისტანიდან ორი (ბათომის და ქობულეთის მაზრები), გურიიდან — 4 (ოზურგეთის, აცანის, მიქელ-გაბრიელის და ჩოხატაურის რაიონები), აფხაზეთიდან — ორი (გალის და კოდორის მაზრები); ზუგდიდის მაზრიდან — ორი (ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონები), სენაკის მაზრიდან— ერთი (ტამაკოვსკი); 8) ჩაის კულტურის ტეხნიკოსები თითო-თითო: აჭარისტანიდან, აფხაზეთიდან, გურიიდან, ზუგდიდის და სენაკის მაზრებიდან; 9) ოზურგეთის, ჩაქვის და ზუგდიდიდის საცდელ სადგურების წარმომადგენლები; 10) ჩაქვის და სალიბაურის საბჭოთა მეურნეობების გამგეები.

კოლექტივების, ჩაის მეურნე გლეხების და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების ხარჯებს კისრულობს სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობა.

ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში (სასახლე ოთახი № 50).

ბ. 2036 4—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოელი მუშკორები თბილისში

ზაჰესის დათვალიერება

30 დეკემბერს უცხოელ მუშკორთა დელეგაცია მთელი შემადგენლობით გაემგზავრა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის დასათვალიერებლად. დელეგატებმა დაათვალიერეს ზაჰესის ყველა ნაგებობანი და გაეცნენ მათი მუშაობის პროცესს.

დელეგატები განსაკუთრებით დაინტერესდნენ საგენერატორო განყოფილების მუშაობით, უცხოელ სტუმრებს განმარტებას აძლევდა ინჟ. შ. მიქელაძე.

ზაჰესის დათვალიერებას დელეგაციამ მოანდომა 3 საათი, რის შემდეგაც დელეგატები კვლავ თბილისში დაბრუნდნენ და ესტუმრნენ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ქვეითა ჯარის მეთაურთა სკოლას.

სტუმრად წითელ არმიელებთან

30 დეკემბერს ნაშუადღევის 4 საათ., კ.წ.დ. არმიის ქვეითა ჯარის მეთაურთა სკოლის დიდი ეზო გაივსო სკოლაში მოსწავლე კურსანტებით. უცხოელ სტუმრებს შეხვდა სკოლის უფროსი ამხ. კლემენტიევი, რომელმაც მთელი დელეგაცია მიიპატიჟა ამხანაგურ სადილზე. სადილის შემდეგ სკოლის კლუბში გაიმართა მიტინგი.

მიტინგი გახსნა და სტუმრებს მიესალმა სკოლის უფროსი ამხ. კლემენტიევი, რომელმაც სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ დელეგატების საშუალებით უცხოეთის მუშათა კლასს საშუალება მიეცემა უფრო ახლოს გაეცნოს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მდგომარეობას და მუშაობას.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამხ. ვ. ფინკი, რომელმაც გააცნო მიტინგს უცხოელ მუშკორთა დელეგაციის წევრები და დაახასიათა ის მიზანი, რომელსაც ისახავს დელეგაცია საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

ამხ. დეკუს სიტყვა

მიტინგს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საფრანგეთის კომპარტიის წევრმა და გაზ. „ლიუმანიტეს" მუშკორმა ამხ. ლ. დეკუმ. ამხ. დეკუს გამოსვლას დამსწრენი განსაკუთრებული ინტერესით შეხვდნენ, რადგან იგი, როგორც ყოფილი მეზღვაური მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის ესკადრის ოპერაციებში შავ ზღვაზე 1918 წელს. მაშინ ამხ. ანდრე მარტისთან ერთად, დეკუ დააპატიმრა საფრანგეთის ხელისუფლებამ ბოლშევიკებისადმი კარგი განწყობილებისა და რევოლიუციონური მუშაობისათვის.

— მე საშუალება მქონდა,—ამბობს ამხ. დეკუ, გავცნობოდი მუშურ-გლ. წითელ გვარდიას, რომლის საფუძველზედაც შეიქმნა წითელი არმია. ჩვენს დელეგაციას საშუალება ჰქონდა დაეთვალიერებია წითელი არმიის ყაზარმები და გასცნობოდა წითელი არმიის ეხლანდელ მდგომარეობას. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ წითელი არმია გაზრდილა და განმტკიცებულა.

წითელი არმია, განაგრძობს ორატორი, წარმოადგენს სრულ წინააღმდეგობას ბურჟუაზიულ არმიებთან შედარებით. წითელი არმიის ყაზარმა არის სკოლა, სადაც თქვენ საშუალება გაქვთ მიიღოთ კულტურული აღზრდა-განვითარება და ცხოვრებაში სასარგებლო ცოდნა. საფრანგეთის არმიის ყაზარმა კი წარმოადგენს ციხეს, სადაც ფრანგ ჯარისკაცს ასწავლიან მხოლოდ იმას, თუ როგორ უნდა მოკლა კაცი და სადაც ახალგაზრდა გლეხს კულტურული ცოდნის მაგიერ ველურ ინსტიქტებს უნვითარებენ.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია, ამხ. დეკუს გადმოცემით, სულ უფრო მეტ გავლენას იძენს მუშათა კლასში, კერძოთ საფრანგეთის არმიაში.

—ჩვენ შევეცდებით,—ამბობს დასასრულ ორატორი,—გადავცეთ ფრანგ ჯარისკაცებს თქვენი სალამი და გავაცნოთ მათ თუ როგორ ცხოვრობთ და რას აკეთებთ თქვენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ დახმარებას გაგვიწევენ თქვენი გაზეთების სამხედრო-კორესპონდენტები, თუ ისინი სისტემატიურად მოგვაწვდიან ცნობებს თქვენი ყოფა-ცხოვრების შესახებ.

ამხ. დეკუს შემდეგ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ გაზ. „ფრაიჰაიტის" მუშკორი ფრიჰრის (გერმანიიდან), ანდერსენი (ნორვეგიიდან) და კოლ'ეტ (გერმანია). უკანასკნელი მიტინგს მიესალმა გერმანიის წითელფრონტელთა კავშირისა და იუნგშტურმის (ახალგაზრდა წითელფრონტელები) სახელით.

ამხ. ამჩარსკის სიტყვა

სამხედრო კორესპონდენტების სახელით დელეგაციას სიტყვით მიმართა გაზ. „კრასნი ვოინი"-ს რედაქტორმა ამხ. ანჩარსკიმ.

— კავკასიის წითელდროშოვან არმიაში ჩვენ გვყავს 5.000-მდე სამხკორი, რომლებიც გვაწვდიან ცნობებს წითელარმიელების ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. ჩვენთვის საჭიროა, რომ ჩვენი წითელარმიელები იცნობდნენ უცხო ქვეყნების მუშათა კლასის ცხოვრების პირობებს. ამიტომ ყველა სამხედრო კორესპონდენტების სახელით მე ვესალმები თქვენს აქ ჩამოსვლას, როგორც პირველ ნაბიჯს ჩვენი სამხკორებისა და უცხოელი მუშკორების დაახლოვების გზაზე.

ამხ. ანჩარსკის შემდეგ დელეგატებს ესალმებიან: სკოლის ქართული სექციიდან კურსანტი სებისკვერიძე, სომხური სექციიდან—ბაბასიანი, თურქული სექციიდან—აგაევი და რუსული სექციიდან კურსანტი ოგოროდნიკი.

კვირას საღამოს დელეგაცია დაესწრო თბილისის მუშათა თეატრის წარმოდგენას „ცეცხლიანი ხიდი". იმავე დღეს საღამოს თბილისიდან სასწრაფოდ გაემგზავრნენ დელეგაციის წევრები კასტენი და ბონშტენბელი.

რედაქციების დათვალიერება

გუშინ დელეგაცია ესტუმრა გაზ. „კომუნისტი"-ს, „ზარია ვოსტოკა"-ს, „რაბოჩაია პრავდას", „ახალი სოფლის" და სომხურ გაზეთ „პროლეტარის" რედაქციებს.

დელეგატები ესაუბრნენ რედაქციების პასუხისმგებელ მუშაკებს საგაზეთო მუშაობის სხვადასხვა საკითხებზე. მათ აინტერესებდათ, თუ როგორაა მოწყობილი მუშკორთა ქსელი, რამდენი ტირაჟი აქვს ცალკე გაზეთებს, პროვინციაში როგორაა მოწყობილი კორესპონდენტთა ქსელი და სხვა.

შემდეგ დელეგატები ეწვივნენ სპეციალური დანიშნულების იზოლატორს, სადაც დაათვალიერეს პატიმართა სამყოფი ადგილები, გაეცნენ პატიმართა შორის წარმოებულ კულტმუშაობას და ესაუბრნენ თვით პატიმრებს.

პატიმრებთან საუბრის დროს დელეგატებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირის გამასწორებელი სახლები უფრო დასასვენებელ სახლებს მგვანან, ვიდრე ბურჟუაზიული ქვეყნების საპატიმროებს. სადაც პატიმრებს ათავსებენ არა გამოსწორების, არამედ დასჯის და წვალების მიზნით.

უცხოელი მუშკორები თბილისში დარჩებიან კიდევ ორი დღე და შემდეგ გაემგზავრებიან უკან მოსკოვისაკენ.

უცხოელი მუშკორები შალე ულობის ფაბრიკაში (დიდუბე)

სრ. საქართველოს ცენტრალური გლეხკომის მეორე პლენუმი

მეორე სხდომა

საქართველოს გლეხკომების პლენუმის მეორე სხდომაზე გრძელდებოდა მოხსენება ადგილებიდან.

ქუთაისის მაზრაში

(ამხ. ჟორჟოლიანის მოხსენება)

ქუთაისის მაზრაში არსებობს ერთი სამაზრო, 47 სათემო და სამი სასოფლო გლეხკომი. გლეხკომების განკარგულებაშია 3 გლეხთა სახლი, ერთი ქუთაისში და ორი თემში. მაზრაში გლეხკომების წევრად ითვლება 37 ათასი გლეხი. საწევრო გადასახადისაგან განთავისუფლებულია 9208 წევრი. გლეხკომებს აქვთ 778 ქცევა მიწა, რომელიც დასამუშავებლად გადაცემული აქვს ღარიბის გლეხებს. ერთი წლის განმავლობაში ნატურით დახმარება გაეწია 1126 წევრს. ფულადი დახმარება გაცემულია 67.867 მან. და 82 კაპ. რაოდენობით. მიმდინარე წელში გლეხკომმა წყალტუბოსა და ბაღდადის თემში ააშენა გლეხთა სახლები. სრულიად უფასოდ მისცა სამეურნეო მანქანა-იარაღები ღარიბის გლეხებს და სხვ. ქუთაისის მაზრის გლეხკომები თანდათანობით აუმჯობესებენ მუშაობას და რაზმავენ თავის რიგებში გლეხობის ფართე მასებს.

ბორჩალოს მაზრაში

(ამხ. ბაიაზითლის მოხსენება)

ბორჩალოს მაზრაში არსებობს 107 გლეხკომი. ზოგან პატარა სოფლის გლეხკომები უსახსრობის გამო, იშლება. ეს აიხსნება იმით, რომ გლეხკომების მიერ გაცემულ სესხს უკან აღარ აბრუნებენ. სამაზრო გლეხკომი ღებულობს ყოველგვარ ზომებს ადგილებზე გლეხკომების მუშაობის გასაჯანსაღებლად მაგრამ მუშაობას აფერხებს ის გარემოება, რომ ბევრგან გლეხკომების თავმჯდომარენი წერა-კითხვის უცოდინარი არიან, სოფლები ერთმანეთისაგან დაშორებულია და სხვ. მიუხედავად დაბრკოლებებისა, მაზრის გლეხკომებს მაინც აქვს მიღწევები.

გლეხკომებმა თავის ხარჯზე კოოპერატივის წევრად შეიყვანეს 64 ღარიბი გლეხი. მიიღეს აქტიური მონაწილეობა თესვის კამპანიის ჩატარებაში, ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელებაში და სხვ. მოსახლეობას სესხად მიეცა სათესლედ 1581 ფუთი ხორბალი.

სამხრეთ ოსეთში

(ამხ. ჩაბიევის მოხსენება)

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში გლეხკომები დაარსდა 1925 წლიდან. ამჟამად გლეხკომების რიცხვი ოსეთში საკმაოდ გაიზარდა. მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა ოსეთის ცენტრალურმა გლეხკომმა პირველად გახსნა ხორცით სავაჭრო, რამაც ხელი შეუწყო გლეხკომების შემოსავლის გადიდებას. გლეხკომმა გახსნა სახარაზო, სადაც მუშაობს 14 კაცი; დღეს-დღეობით ოსეთის გლეხკომებში გაერთიანებულია 5033 წევრი. აქედან მოჯამაგირე 27, ღარიბი გლეხი 1.268 და 3765 საშუალო გლეხი. ერთდროული დახმარება აღმოეჩინა 38 წევრს.

კახეთის მაზრაში

(ამხ. სეფაშვილის მოხსენება)

კახეთის სამაზრო გლეხკომი აერთიანებს 78 სათემო და სასოფლო გლეხკომებს. 1923 წ. 1 ოქტომბრამდე გლეხკომის წევრთა რიცხვი უდრის 13200 კაცს; საანგარიშო ხნის განმავლობაში წევრთა რიცხვი გაიზარდა 4.700 კაცით. გლეხკომებში გაერთიანებულია 12018 ღარიბი გლეხი, 426 მოჯამაგირე და სხვ. ადგილებზე გლეხკომებს აქვს სხვადასხვა სახის წამოწყებები და სასოფლო-სამეურნეო იარაღები 3 სალეწი მანქანა, 2 ბორანი, 17 ღვინის სახდელი ქარხანა, 3 პურის საცხობი; 15 საყასბო, 11 წისქვილი, 11 სასადილო 17 დესეტინა ვენახი და 143 დესეტინა სახნავი მიწა და სხვ. გლეხკომებმა ფულადი დახმარება გაუწია 3454 ღარიბ გლეხს. გლეხკომების ინიციატივით მაზრაში მოეწყო 3 გლეხთა სახლი —95 საწოლით.

შორაპნის მაზრაში

(ამხ. ცუცქირიძის მოხსენება)

შორაპნის მაზრის 254 სოფელში არსებობს მხოლოდ 31 გლეხკომი.

სამაზრო გლეხკომს მჭიდრო კავშირი აქვს ადგილებთან. შორაპნის მაზრის გლეხკომებში გაერთიანებულია 13.814 წევრი. აქედან ღარიბი გლეხი—9144, საშუალო გლეხი—4670 გლეხკომების შემოსავალი საწევრო გადასახადებიდან, წარმოებიდან და სხვ. უდრის 11.393 მან. და 30 კაპ.; სულ ფულად და ნატურით შემოსავალი უდრის 13.309 და 69 კ.

გლეხკომები დახმარებას უწევენ სამკითხველოებს. ღარიბ გლეხებს, მოსწავლეებს საექიმო პუნქტებს და სხვ. ჭალის გლეხკომმა სამკითხველოსათვის თავის ხარჯზე ააშენა ბინა. ჯოხეთის გლეხკომმა გახსნა სამკითხველო წისქვილში.

მესამე სხდომა

გლეხკომების მუშაობა აფხაზეთში

გლეხკომების მუშაობა აფხაზეთში მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. მიზეზად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ გლეხკომებს სუბსიდიები და დოტაციები ნაკლებად ეძლეოდა. გლეხკომების გამოკვლევამ გამოარკვია, რომ გლეხკომებისა და ადგილობრივ ხელისუფლების შორის დამოკიდებულება ვერ არის შესაფერი. აღმასრულებელი კომიტეტების წევრები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ გლეხკომებს. დღემდე აფხაზეთში გლეხკომის წევრებად მხოლოდ 3.729 გლეხი ითვლება. გლეხკომთა სამეურნეო მდგომარეობა მეტის მეტად სუსტია. მუშაობის გაუმჯობესებას ხელს უშლის აფხაზეთის გეოგრაფიული პირობები და მოსახლეობის ნაციონალური სხვადასხვაობა. გლეხკომების განკარგულებაში ძალიან ცოტაა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, სასურველ სიმაღლეზე არა სდგას გლეხობის კოლექტივებში და არტელებში ჩაბმის საქმე. გლეხკომები თავის მიწებს აძლევენ არა ღარიბ გლეხებს, არამედ კულაკებს, რაც სცემს გლეხკომების პრესტიჟს. ზოგიერთ გლეხკომებში ადგილი ჰქონდა გაფლანგვის შემთხვევებს. ყველა ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მიღებულია ენერგიული ზომები. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მთელს აფხაზეთში მხოლოდ ერთი გლეხთა სახლია, მაზრებში კი ასეთები არ არის.

თბილისის მაზრაში

(ამხ. ცომაიას მოხსენება)

თბილისის მაზრის გლეხკომები აერთიანებენ 12.250 წევრს ერთდროული დახმარების, დახმარება სესხის სახით, შრომითი დახმარების, იურიდიული დახმარების საქმე შესაფერ დონეზეა დაყენებული. სესხად დახმარება აღმოეჩინა 2.196 წევრს, ერთდროული—672 წევრს, შრომითი დახმარება—245-ს იურიდიული—2919 და სხვ. გარდა ამისა, გლეხკომების მიერ კოოპერატ. წევრებად ჩაწერილი იქნა 398 ღარიბისი გლეხი. საწევრო გადასახადისაგან შემოსულია სულ 3484 მან. უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლის წყაროები ადგილებზე ყოველწლიურად მცირდება. სუსტია და ზოგიერთ ადგილებზე სრულიად არ არის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა გლეხკომებზე. ძალიან მოსუსტებს ადგილებზე საქმისა და ანგარიშის წარმოება. გარდა ამისა, უმოქმედობას იჩენს სარევიზიო კომისიები. აუარებელი გლეხებია დარჩენილი გლეხკომის გარეშე.

ამჟამად გლეხკომის ფონდს შეადგენს ნაღდ ფულად 15.766 მან. 19 კაპ.

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე გაიმართა კამათი ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებების გარშემო, რომლის დამთავრების შემდეგ გლეხკომების მომავალ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კვირიკაშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოებში ასარჩევ კანდიდატების შერჩევა დიდის საფრთხილით უნდა სწარმოებდეს და ასეთებად დასახელებულ უნდა იქნენ აქტიური მომუშავენი მოჯამაგირეებიდან, ღარიბებს და საშუალო გლეხობიდან და აგრეთვე ინტელიგენციიდან; კანდიდატებში უნდა სჭარბობდნენ მოჯამაგირეები და ღარიბისი გლეხობა. მოსამზადებელ პერიოდში გლეხკომები აქტიურ როლს უნდა ასრულებდნენ. ეს პერიოდი პირველ იანვრამდე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ადგილებზედ ეს ზოგან არც დაწყებულა, ამიტომ გლეხკომებმა უნდა დააჩქარონ მოსამზადებელი პერიოდის მუშაობა. საანგარიშო კამპანიის დროს ამომრჩეველს უფლება უნდა მიეცეს არჩეულის საქმიანობის კონტროლისა და კრიტიკისა, ხოლო ეს უკანასკნელი არ უნდა იყოს აგებული პირად უკმაყოფილებაზედ. არამედ პირუთვნელობისა და საქმიან ხასიათს უნდა ატარებდეს. გლეხკომებმა ხელი უნდა შეუწყონ აგრეთვე ქალთა ჩაბმას საბჭოებში და სადაც შესაძლებელია ქალის წამოყენებას საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

მეხუთე სხდომა

მეხუთე სხდომაზე საქ. ცენტრ. გლეხკომის პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამხ. კ. ხომერიკმა რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოში გლეხკომების რიცხვი უდრის 750.

წლის დასაწყისში ცენტრ. გლეხკომის მიერ შემუშავებული იყო მინიმალური ხარჯთაღრიცხვა 20.000 მან. რაოდენობით. ეს ხარჯთაღრიცხვა ჯერ დამტკიცებული არ არის. აღსანიშნავია, რომ ადგილებზე გლეხკომები ჯერ ისევ უგეგმოთ მუშაობენ, რაც უარყოფით დაღს ასვამს მათს საქმიანობას. აქ, მაგალითად, სამხრეთ ოსეთის და გორის მაზრის გლეხკომებს არავითარი გეგმიანი ხარჯთაღრიცხვა არ აქვთ და გლეხკომების მუშაობას აქვს მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი. საწევრო გადასახადები საერთოდ მეტად სუსტად იკრიბება. ეს უკანასკნელი კი არის მთავარი საარსებო წყარო გლეხკომისა.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც ცენტრ. გლეხკომის მუშაობა ცნობილ იქნა სავსებით დამაკმაყოფილებლად. რეზოლიუციის მიღების შემდეგ პლენუმი დაიხურა.

საქ. პროლეტარულ სტუდენტების მე-6 კონფერენცია

უკანასკნელი სხდომა

კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე—30 დეკემბერს—სწარმოებდა კამათი განათლების სახ. კომისარის ამხ. დ. კანდელაკის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მესხმა, ანდღულაძემ, კაიშაურმა და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ცოდნა მეტად დაბალია და თუ საშუალო სასწავლებლის მდგომარეობა დაჩქარებით არ გამოსწორდა, უმაღლეს სასწავლებლებს ძალიან გაუჭირდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადება.

მუშათა ფაკულტეტების საერთო საცხოვრებელი იმყოფება მეტად მძიმე მდგომარეობაში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სტუდენტების მეცადინეობაზე.

რკინის გზის მუშათა ფაკულტეტის მსმენელებს ნებას არ აძლევენ ორი საათით ადრე შესწყვიტონ მუშაობა წარმოებაში და რვა საათის სამუშაო დღის შემდეგ დაღლილ-დაქანცულ მუშებს უხდებათ სამეცადინოთ მისვლა სასწავლებელში, ეს გარემოება უსათუოდ ამცირებს მათი მეცადინეობის ნაყოფიერებას.

აღნიშნავენ აგრეთვე, რომ ლაბორატორიები და კაბინეტები ვერ არის სათანადოთ მოწყობილი და ვერ იძლევა თეორეტიული ცოდნის პრაქტიკულად გამტკიცების საშუალებას. სამეცნიერო სახელმძღვანელოების საკითხი სრულებით მოუგვარებელია, რასაც აუცილებლად უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, ვინაიდან სახელმძღვანელოების უქონლობის გამო, სტუდენტების მეტი ნაწილი საგნებს ამზადებს უხეიროთ შედგენილ კონსპექტებით.

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილი იქნა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა.

შემდეგ კონფერენციამ განიხილა და დაამტკიცა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები და პრაქტიკული მითითებანი.

დასასრულ მოხდა პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალური ბიუროს არჩევნები.

ბიუროში არჩეულ იქნა 45 წევრი და 17 კანდიდატი.

არჩევნების შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

თბ. უბნის რკინისგზელთა მე-9 ყრილობა

მერვე სხდომა

კამათი ინჟ. ბერიძის მოხსენების გარშემო

30 დეკემბრის დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი ამიერ-კავკ. რკ. გზ. გამგეობის წევრის ინჟ. ბერიძის მოხსენების გარშემო.

კამათში გამოსულ დელეგატებმა გზის გამგეობას უსაყვედურეს, რომ იგი მთლიანად არ ანხორციელებს კოლექტიურ ხელშეკრულებას, ხელს არ უწყობს მუშების გამოგონებათა ცხოვრებაში გატარებას, ცოტაა იარაღები და საწარმოო მასალები, შპალების გამოცვლაზე სწარმოებს უანგარიშოთ და სუსტია ტექნიკური ზედამხედველობა გზის ნაგებობაზე.

დიდი კამათი გამოიწვია საგზაო შრომის მომწესრიგებელ ბიუროს მუშაობის საკითხმა. ბიუროს მუშაობა ცნობილ იქნა სუსტად.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მოისმინა საუბნო შრომის ინსპექტორის ზაზროევის მოხსენება.

სხდომის დასასრულს, ყრილობის დელეგატები დაიყვნენ სექციებათ მოსმენილ მოხსენების შესახებ პრაქტიკულ ღონისძიებათა დასამუშავებლად.

სულ მუშაობდა ხუთი სექცია: საორგანიზაციო, კულტ-განმანათლებელი, სატარიფო-ეკონომიური, სამეურნეო (გზის გამგეობის მოხსენების შესახებ) და სოცდაზღვევის.

მეცხრე სხდომა

რეზოლიუციები

საღამოს სხდომაზე ყრილობამ განიხილა და მიიღო რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებების შესახებ.

საუბნო კომიტეტის მოხსენების შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში საუბნო კომიტეტის შემადგენლობას გამოაკლდა მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები, კომიტეტში დარჩენილ მუშაკთა კადრმა შესძლო მუშაობის ხაზის სისწორით გატარება; რისთვისაც კომიტეტის მუშაობა ცნობილ იქნეს დამაკმაყოფილებლად".

გზის გამგეობის და საუბნო დამზღვევ სალაროს მუშაობა ყრილობამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

არჩევნები

რეზოლიუციების მიღების შემდეგ, ყრილობა გადავიდა საუბნო კომიტეტის, საუბნო დამზღვევ სალაროს და მათი სარევიზიო კომისიების არჩევნებზე.

საუბნო კომიტეტი არჩეულ იქნა 39 წევრის და 10 კანდიდატის შემადგენლობით, სარევიზიო კომისია 3 წევრის და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

საუბნო დამზღვევ სალაროს კომიტეტში აირჩიეს 15 წევრი და 5 კანდიდატი; სალაროს სარევიზიო კომისიაში—5 წევრი და 2 კანდიდატი.

ყრილობა დაიხურა ღამის 10 საათზე.

ახლად არჩეულ საუბნო ორგანიზაციების პირველი პლენუმი

ყრილობის დახურვისთანავე შესდგა ახლად არჩეული საუბნო კომიტეტის და საუბნო დამზღვევ სალაროს კომიტეტის პრეზიდიუმის არჩევნები.

საუბნო კომიტეტის პლენუმი შესდგა ამხ. პ. საბაშვილის თავმჯდომარეობით. კომიტეტის პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ: ამხ. ბ. რაზმაძე (თავმჯდომარე), ჭურღულიძე (პ.-მგ. მდივანი), მანჯგალაძე (საორგანიზაციო განყოფ. გამგე), მუქერია (კულტგანყოფილების გამგე), ლატარია (სატარიფო-ეკონომიური განყოფ. გამგე), ლუკავიშვილი (ახალგაზრდათა შორის მომუშავე), ფანცულაია (პარტიის ლენრაიკომიდან), სართანია, ძნელაძე, ზაგაროვსკი და სტეილინი.

კანდიდატებად: ყაუხჩიშვილი (ქალი) და ლომაია.

საუბნო დამზღვევ სალაროს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ სალაროს კომიტეტის პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. გადაბაძე.

წვევამდე მზადება აფხაზეთში

წვევამდე მზადება წელს აფხაზეთში ჩატარებული იქნება მარტო კოდორისა და გუდაუთის მაზრებში. წვევამდე მზადების მოსახლეობისათვის დაახლოვების მიზნით მზადება წელს სწარმოებს ადგილობრივ. მაზრებში მოწყობილია სამოსწავლო პუნქტები, სადაც მოთავსებული არიან წვევამდელები.

1907 წელში დაბადებულ მოქალაქეთა გამოცხადება საექიმო კომისიაში სავსებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. ვინაიდან გამოცხადებულთა კონტინგენტი ძალიან დიდი იყო, წვევამდელები შერჩეული იქნა მხოლოდ იმ მოქალაქეებისაგან, რომლებიც არ სარგებლობენ შეღავათებით ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის გამო.

სამოსწავლო პუნქტებზე წვევამდელები გამოცხადდნენ მთელი 100 პროც. სწავლება დაიწყო დანიშნულ დროზე—10 დეკემბერს. მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს; წვევამდელთა სულიერი განწყობილება სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები საკმაო ყურადღებას იჩენენ წვევამდე მზადებისადმი: სამოსწავლო პუნქტები უზრუნველყოფილი არიან მომზადებული პოლიტხელმძღვანელებით და ყველა საჭირო სახელმძღვანელოებით. ვინაიდან ის მაზრები სადაც სწარმოებს წვევამდე მზადება დასახლებულია მარტო აფხაზებით, მეთაურთა შემადგენლობა შერჩეულია არმიის იმ სათადარიგო მეთაურებისაგან, რომლებმაც იციან ადგილობრივი ენა.

აგურისა და კრამიტის ქარხანა ქობულეთში

აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველომ შეადგინა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ქობულეთში აგურისა და კრამიტის ქარხნის ასაგებად. გამოკვლეულ იქნა თიხის რაოდენობა და თვისება. გამოკვლევას დადებითი შედეგი მოჰყვა. საორიენტაციო ხარჯთ-აღრიცხვით ქარხნის ასაგებად საჭიროა 147.000 მანეთი, აქედან გაფმანის ღუმელს დასჭირდება 69.000 მან., შენობას და მოწყობას—48.000 მან., ტრანსპორტს და სხვ.—13.000 მან.

ქარხნის აგების დაწყება განზრახულია 1929 წელს. პირველ წელს წინასწარი ვარაუდით, ქარხანა დაამზადებს 1.500.000 ცალ აგურსა და ღარიან კრამიტს. შემდეგ წელს პროდუქცია 2.000.000 ცალამდე ავა. 1.000 ცალი აგურის თვითღირებულება პირველ წელს ნავარაუდევია 25 მ. 23 კაპ., ხოლო 1.000 ცალი კრამიტის თვითღირებულება—27 მან. 90 კაპ. (აძს).

ქრონიკა

ლაბორატორიის გადაცემა

ს. მ. უ. საბჭოს დადგენილებით თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს გადაეცა ს. მ. უ. ს. ქიმიო-ტექნიკური ლაბორატორიის ანალიტიკური განყოფილება.

ლაბორატორიასთან დღემდე არსებული სავაჭრო და მომარაგების განყოფილებები გაუქმებულია.

გერმანელ სტუდენტთა ექსკურსია

გერმანელ სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც ჩამოსული იყო თბილისში უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დაყენებასთან გასაცნობათ, უკვე გაემგზავრა თბილისიდან ევროპისაკენ.

ჯგუფმა თბილისში დაჰყო სამი დღე.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ თევზის ქონი. ჯანსახკომის ფარმაცევტიული განყოფილების ცნობით რესპუბლიკის ყველა აფთიაქებში თევზის ქონი საკმაო რაოდენობით მოიპოვება და ამ მხრივ კრიზისი არაა მოსალოდნელი.

◆ პროვინციის საავადმყოფოებისათვის. ჯანსახკომმა საზღვარ გარედ შეუკვეთა და თებერვლისათვის თბილისში მოელის პროვინციის საავადმყოფოებისათვის საჭირო ახალი საექიმო ხელსაწყოებს და აპარატებს. სულ შეკვეთილია 6.500 მან. ახალი აპარატურა.

◆ გამოფენის მოწყობა. კომისარიატთან არსებულ სრ. საქართველოს ექიმთა მე-5 კონგრესის მომწვევი ბიუროს ცნობით, კონგრესის გახსნისათვის თბილისში ეწყობა და ბათომში გადატანილ იქნება დიდი სანიტარულ-ჰიგიენური გამოფენა.

სხვადასხვა

◆ სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბი სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბის ოფიციალურად გახსნის დღე დანიშნულია 5 იანვარი.

◆ საქ. მთიელთა კულტურულ საზოგადოებაში. დღეს, საღამოს 6 საათზე მთიელ მუშათა სახლის საკრებულოში დანიშნულია თბილისში მყოფ მთიელთა კრება, კრებაზე გაკეთებული იქნება მოხსენება მთიელთა ახალი ყოფა-ცხოვრების შესახებ.

შემთხვევები

დაჭრა

მოქ. ვანო ფალავანდიშვილმა ჩხუბის დროს დანით დასჭრა ი. ჭურღულიანი. დაჭრილი გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. ფალავანდიშვილი დაპატიმრებულია.

თავის მოწამვლა

გუშინწინ ღამით, იოდით თავი მოიწამლა კლავდია გერასიმეს ასულმა ლაბინმა. ლაბინის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი ირკვევა.

შეპყრობა

მილიციამ შეიპყრო შალვა იაკობისძე ნემსიწვერიძე, რომელსაც ბრალდება ბინებისა და მაღაზიების გაქურდვა.

ხანძარი ფიზიატრიის და კურორტოლოგიის ინსტიტუტში

გუშინწინ ღამით ფიზიატრიის და კურორტოლოგიის ინსტიტუტის შენობაში (ლენინის ქ., № 49), გაჩნდა ხანძარი. საჩქაროდ გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმი რომელმაც ცეცხლი ჩააქრო 10 წუთის განმავლობაში.

ქურდობა

მოქ. დავით რაიიმოვს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 23 მანეთი და 100 მანეთის ობლიგაციები;—გაქურდეს ერასტი წულაძის სახელოსნო (აბასთუმანის ქუჩა). წაიღეს 1000 მანეთის ნივთები;—ჯ. მესტვირიშვილის ბინიდან (მარტყოფის ქ., 17) მოიპარეს სხვადასხვა ნივთები.

გ. იაკულოვის ხსოვნას

დეპეშამ ერევანიდან გვაცნობა სამწუხარო ამბავი. საავადმყოფოში გარდაიცვალა ცნობილი მხატვარი გიორგი იაკულოვი.

განსვენებული არ ყოფილა პოპულიარული მარტო კავკასიაში, მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება შეერთებულია რუსეთის ხელოვნებასთან. მხოლოდ სიკვდილის წინ ჩავიდა იაკულოვი თავის სამშობლო სომხეთში. 1927 წელს იაკულოვი ცხოვრობდა თბილისში და სწორედ აქ მოგვეცა ჩვენ საშუალება ახლო გავვეცნო ის. მოკლე დრო საკმარისი იყო იმისათვის, რომ მას დაემსახურებია საერთო სიყვარული და პატივისცემა.

გიორგი იაკულოვი, როგორც მხატვარი და ადამიანი განხორციელება იყო ახალი ადამიანისა და ახალი ხელოვნების.

მას ყველაზე უფრო სძაგდა ხელოვნებას კაცობრიული იდეალი რომელიც ვერ ეტევა მარტო ეროვნულ ჩარჩოში.

ამიტომ იაკულოვი უყოყმანოთ ჩადგა საბჭოთა ხელოვნების მუშაკთა პირველ რიგებში და სიკვდილამდე გაიტანა ეს ენტუზიაზმი და გატაცება.

ოქტომბრის რევოლიუციას იაკულოვი დახვდა, როგორც მომწიფებული და სახელ-მოხვეჭილი მხატვარი. ის ერთი წამითაც არ დაეჭვებულა, ხელოვანის ინსტიქტით მიხვდა, რომ იწყებოდა ახალი ეპოქა დიდი მასების აღორძინებისა, რომელიც ხელოვნებასაც ახალ ასპარეზს უხსნიდა.

ამ დროს ჩვენ იაკულოვს ვხედავთ მემარცხენე ფრონტის მხატვრებისა, მწერლებისა და პოეტების გვერდით. ხშირი იყო შემთხვევა, როცა იაკულოვი სამოქალაქო ომის დროს ხან ერთ კედელზე ხატავს სააგიტაციო სურათებს და ხან მეორეზე.

შემდეგ იაკულოვი თეატრის დეკორატიულ ხელოვნების ნოვატორი ხდება. იაკულოვის წყალობით გაიმარჯვა მოსკოვის კამერულმა თეატრმა პარიზში, პარიზის საბჭოთა გამოფენაზე იაკულოვის მაკეტებმა მიიღეს პირველი ჯილდო და მხატვარსა და თეატრსაც გაუთქვეს სახელი.

იაკულოვი აღტაცებით შეუდგა მუშაობას რუსთაველის თეატრშიაც. მან დაამზადა ალ. ახმეტელის დადგმისათვის „კარმენსიტა"-ს მაკეტები.

ისინი, ვინც იცნობდნენ პირადად გ. იაკულოვს დღეს ეთხოვებიან არა მარტო ნიჭიერ მხატვარს, არამედ იშვიათ ადამიანსა და მეგობარს რომელსაც არ დასცალდა მუშაობა და რომელიც ასე უდროვოდ ჩამოეცალა ხელოვნების ასპარეზს. და ამით უფრო მტკივნეული და მწარე ხდება ეს დანაკლისი ახალ საზოგადოებრიობისათვის და ხელოვნებისთვის.

ტ. ტაბიძე.

გ. იაკულოვის ნეშტის შეხვედრა

კვირას, 30 დეკემბერს, მხატვარ გ. იაკულოვის გარდაცვალების გამო შესდგა საქართველოს ყველა სამხატვრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც აირჩია საზოგადოებრივი კომიტეტი გარდაცვლილ მხატვრის ნეშტის შეხვედრის მოსაწყობად. კომიტეტში შევიდნენ: ს. თოიძე, ა. ახმეტელი, ნ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, ლ. ჯაფარიძე, შ. დუდუჩავა, სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, დ. კაკაბაძე, ვ. კოტეტიშვილი, ლ. გუდიაშვილი, გ. რობაქიძე, შ. რადიანი და ა. მიქაძე.

30 დეკემბერს შესდგა კომიტეტის პირველი სხდომა, რომელმაც დაადგინა განსვენებულის კუბო საქართველოს სახელოვნო ორგანიზაციების სახელით შეამკოს ვერცხლის გვირგვინით, დაავალოს მოსკოვში მყოფ. ამხ. შ. დუდუჩავას კომიტეტის წარმომადგენლობა დაკრძალვის დროს, მიავლინოს განსვენებულ მხატვრის ნეშტის გამცილებლად მოსკოვამდე ვ. კოტეტიშვილი და წინადადება მისცეს საქართველოს ყველა სამხატვრო ორგანიზაციებს შეეგებონ განსვენებულ იაკულოვის ნეშტს სადგურზე 2 იანვარს.

კომიტეტმა დაადგინა აგრეთვე აღძრას შუამდგომლობა საქართველოს სამხატვრო აკადემიასთან გიორგი იაკულოვის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.

კომიტეტის დადგენილებათა განსახორციელებლად და განსვენებულის ნეშტის შესახვედრად სანაინში გამოყოფილია საგანგებო კომისია, რომელშიდაც შედიან: ა. ახმეტელი, ლ. ჯაფარიძე, ი. ნიკოლაძე, პ. იაშვილი და ვ. კოტეტიშვილი. კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად არჩეულია ამხ. ა. ახმეტელი.

საქართველოს სახელოვნო ორგანიზაციათა წარმომადგენლების სამძიმარი

სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოსა და ხელოვნებათა სამეცნიერო ინსტიტუტის სახელზე ერევანში გაგზავნილია შემდეგი დეპეშა:

— „საქართველოს სახელოვნო დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება გამოსთქვამს თავის ღრმეს მწუხარებას დიდი მხატვარის გიორგი იაკულოვის უდროოდ დაკარგვის გამო".

საქ. ხელოვნებათა მთავარ სამმართველოს გამგე თოიძე, რუსთაველის თეატრის დირექტორი—ახმეტელი, სახელმწიფო ოპერის დირექტორი—ჯაფარიძე, საქართ. მხატვართა კავშირის თავმჯდომარე—კოტეტიშვილი, საქ. სამხატვრო აკადემიის პრორექტორი—სახ. მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, საბჭოთა მწერლების ფედერაცია—რობაქიძე, რადიანი და ელენტი, საკინმრეწველობა—ამირაგოვი და მიქაძე.

იაკულოვის დაკრძალვა

ერევანი, 31 დეკემბერი. 31 დეკემბერს იაკულოვის ცხედარს გამოასვენებენ ანატომიკუმიდან. ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური კომიტეტის და განსვენებულის ქვრივის სურვილის თანახმად, ნეშტს მოსკოვში დაკრძალავენ.

სახვითი ხელოვნების საზოგადოების ინიციატივით, იანვრის პირველ რიცხვებში ერევანში გაიმართება საღამო განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად (ამს).

მეცნიერება და ტექნიკა

„ადენომიოზისი"

უკანასკნელ დროს ევროპის საექიმო ჟურნალებში მეტად ბევრი იწერება ერთი ფრიად საინტერესო მოვლენის შესახებ: ოპერაციის დროს ავადმყოფი ქალის მუცლის ღრუში სულ სხვადასხვა ადგილას პოულობენ უცნაურ სიმსივნეს, რომელიც თავისი აგებულობით (ე. ი. ჰისტოლოგიური შენებით) სავსებით წააგავს საშვილოსნოს ლორწოიან გარსს: შესდგება ასეთივე ჯირკვლებისაგან და ატარებს საშვილოსნოს ლორწოიანი გარსის აგებულების სხვა დამახასიათებელ ნიშნებს (სტრომა). გარდა ამისა ეს სიმსივნეები თავისი თვისებებითაც მთლად საშვილოსნოს ლორწოიან გარსს წააგავან: თვიურის წინ ისევე გამოჰყოფენ ლორწოს, ხოლო თვიურის დროს ამ სიმსივნეს ჯირკვლები ივსება ეპიტელიუმის ქვეშ სისხლ ჩაქცევებით რომლებიც ჯირკვლების სანათურე ზომდე აღწევს; ამის გამო თვითონ სიმსივნე ამ დროს შეშუპებულია, გადიდებული. თვიურის შემდეგ ეს მოვლენები გაივლის და სიმსივნე ისევ იკლებს. ორსულობის დროსაც (იმის მიუხედავად ნორმალური ორსულობაა, თუ საშვილოსნოს გარეშე) ეს სიმსივნე სქელდება, იზრდება, ფხვიერდება და ლორწოს გამოჰყოფს. ერთი სიტყვით ეს სიმსივნე საშვილოსნოს გარსის სრულ ანალოგიას წარმოადგენს.

არამც თუ მუცლის ღრუს სხვადასხვა ადგილას, არამედ ეს სიმსივნე ნაოპერაციებ ჭრილობაშიც ჩნდება—გარედან, კანში. მრავალი ექიმი არის იმის მოწმე, რომ ავადმყოფ ქალს ოპერაციის შემდეგ ზოგჯერ ჭრილობა არ დაეხურება ერთ რომელიმე წერტილში: მთელი ჭრილობა კარგად არის შეხორცებული, მაგრამ ერთი ქინძისთავის ოდენა ხვრელი, რომელსაც ფისტულას ვეძახით, ხან მთელი წლების განმავლობაში არ იხურება. თუ ავადმყოფს გამოჰკითხავთ, ხშირად გაიგებთ, რომ თვე და თვე ხვრელიდან სისხლი მოდის. ამდროს ეს ხვრელი უფრო აწუხებს, სტკივა. თვიურის შემდეგ სისხლი ამ ხვრელიდან აღარ მოდის, მაგრამ ჩირქი მაინც სწვეთავს.

ასეთ შემთხვევაში, როდესაც მუცლის ჭრილობის ერთ წერტილში ასეთი ხვრელი ამ თვისებებს იჩენდა, წინად ფიქრობდნენ, რომ ხვრელიდან ჩირქი შეიჭრა სიღრმეში და შეუერთდა საშვილოსნოს. საიდანაც სისხლის დენა იწყება თვიურის დროსო. მაგრამ გამოირკვა, რომ ამ ხვრელს არავითარი კავშირი არა აქვს საშვილოსნოსთან, რომ ეს ხვრელი არ არის ღრმა და თითონ ჭრილობის არეშია. რომ როგორმე დახურონ ასეთი ხვრელი, ხშირად მიმართავენ ხვრელის ამოჭრას მცირელი კვეთით, ამით ხვრელის კიდეები და კედლები გახალდება და ერთმანეთს შეეხორცება. როდესაც ეს ამონაჭრი გამოიკვლიეს მიკროსკოპიულად, აღმოჩნდა, რომ ის შესდგება ისეთივე ქსოვილისაგან, როგორიც საშვილოსნოს ლორწოიანი გარსი.

პირველ ყოვლისა აღმოჩნდა, რომ ეს სიმსივნე უჩნდება ქალს მხოლოდ სრული მოწიფულობის ხანაში. შემდეგ ისიც გამოირკვა, რომ როდესაც ოპერაციას აწარმოებენ თვით საშვილოსნოზე, ე. ი. როდესაც ხდება მისი გაკვეთა. ან კვანძების გატარება მის სისქეში მაშინ შესაძლებელია საშვილოსნოს ლორწოიანი გარსის უჯრედები მოსწყდნენ თავის ადგილს და სხვადასხვა ადგილას მოხვდნენ. აქ მოხდება ამ უჯრედების ჩანერგვა და განვითარება. ეს იმითაც დამტკიცდა, რომ ცხოველებს სხვადასხვა ადგილზე გადაუნერგეს საშვილოსნოს ლორწოიანი გარსი და ამ „ნერგებმა" თითქმის ყველგან იხეირეს. მაშასადამე გამოირკვა, რომ. როდესაც თითონ საშვილოსნოზე ოპერაციას აწარმოებენ, შესაძლებელი ხდება საშვილოსნოს ლორწოიანი გარსის სულ პატარა ნაწილის გადატანა სხვადასხვა ადგილას; ეს ნაწილი აქ ჩაინერგება და მოგვცემს ახალ წარმონაქმნს, სიმსივნეს, რომელიც სხვადასხვა ავადმყოფურ მოვლენებს იწვევს.

მაგრამ როგორღა ჩნდება ეს სიმსივნე. როდესაც საშვილოსნოზე არავითარ ოპერაციას არ აკეთებენ და მას ხელს არც კი ახლებენ?

საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს სიმსივნე ცნობილია უმთავრესად „ადენომიოზისის" სახელწოდებით, ზოგი კი მას უწოდებს: „ადენომიომატოზს", „ადენომიომეტრის", „ადენოფიბროზს" და სხვ.

„ადენომიოზისი" ვითარდება ხშირად თვით საშვილოსნოში და მილ'ში. ეს—ე. წ. „შიგნითა ადენომიოზისია". მაგრამ, როდესაც ეს სიმსივნე საშვილოსნოს გარეთ ვითარდება, მას „გარეთა ადენომიოზისს" უწოდებენ.

შიგნითა „ადენომიოზისის" ანუ „ადენომიომატოზის" ასახსნელად წამოყენებულია შემდეგი დებულება, რომელსაც მრავალი ავტორი იზიარებს: როგორც ვიცით, საშვილოსნოს ლორწოიანი გარსი ყოველთვე, პერიოდულად ყველგან იხეირებს. მაშასადამე გამოირეცხება, გარეთ გამოდის და შემდეგ ხდება მისი ხელახალი აღდგენა (რეგენერაცია). თვიურის გარდა ასეთ აღდგენას საშვილოსნოს ლორწოიანი გარსი განიცდის აგრეთვე მშობიარობის დროს, მუცლის მოწყვეტის შემდეგ, საშვილოსნოს ლორწოიანი გარსის სხვადასხვა ანთების დროს და სხვ. ასეთი აღდგენის დროს საშვილოსნოს ლორწოიანი გარსი ზოგჯერ გადამეტებულ ზრდას იჩენს: იზრდება სიღრმეში და ჩასჭამს საშვილოსნოს კუნთოვან გარსს.

როდის ხდება ასეთი გადამეტებული ზრდა? ჯერ ერთი აქ საკვერცხეების შინაგ. სეკრეციას აქვს მნიშვნელობა, მერე ადგილობრივ მოვლენას—ანთებას, გამოფხეკა-აბორტის და სხვ. ანთების, მუცლის მოწყვეტის, მშობიარობის დროს საშვილოსნოს კუნთოვანი შრე სუსტდება, ველარ უწევს წინააღმდეგობას ლორწოიან გარსს და ძალაუნებურად ადგილს უთმობს ენერგიულად შემოჭრილი ლორწოიანი გარსის სტრომას. ეს ჰიპოტეზა ბევრის მიერ გაზიარებულია.

როგორც უკვე ვსთქვით, გარეთა ადენომიოზისი ადვილი ასახსნელია იმ შემთხვევებში, როდესაც ოპერაცია ზედ საშვილოსნოზეა გაკეთებული და, როდესაც, მაშასადამე, შესაძლებელია ხელით, იარაღით და ძაფით საშვილოსნოს ლორწოიანი გარსის ნაწილების გადატანა სხვადასხვა ადგილას. მაგრამ როდესაც საშვილოსნოსთვის ხელი არ უხლიათ და მაინც გაჩენილა ადენომიოზისი, ამას, სხვათა შორის, შემდეგნაირად ხსნიან: მუცლის ფარის ბრტყელი ეპიტელიუმი გარდაიქმნება ცილინდრიულ ეპიტელიუმად სხვადასხვა მიზეზის გამო (ანთება-გაღიზიანება). ბევრი არ იზიარებს ამას. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ერთი ქსოვილი სხვა ქსოვილად (თუმცა ერთი ჯგუფის) გადაიქცეს. მაგრამ იმათ, ვინც ამ „გარდაქცევის" თეორიას იცავს, მოჰყავთ სხვათა შორის ის მოსაზრება, რომ ასეთ ანალოგიურ პროცესს ადგილი აქვს ნაწლავებში, პლევრაზე, პერიკარდიუმზე. ამას გარდა, იმასაც ეყრდნობიან ეს ავტორები, რომ ემბრიონალური (ჩანასახის) განვითარების დროს მუცლის ფარი (პერიტონეუმი) და საშვილოსნოს ლორწოიანი გარსი ერთისა და იმავე ფურცლიდან (ბლასტოდერმიაული) წარმოსდგებიან და, მაშასადამე, მუცლის ფარის ეპითელიალურ უჯრედებს შეუძლიათ განიცადონ ზემოხსენებული გარდაქმნა.

ეს მოსაზრება შეარყია სხვა დებულებამ: რომ ხანდახან თვიურის დროს სისხლის ნაწილი უკუ იქცევა მუცლის ღრუში მილების საშუალებით. თვიურის სისხლი კი, როგორც ვიცით, შეიცავს აქერცლილ საშვილოსნოს ლორწოიანი გარსის ნაწილებს. მაშასადამე, ეს ნაწილები მუცლის ღრუში ხვდება და ინერგება საკვერცხეზე. სწორი ნაწლავის ზედაპირზე და სხვ. როგორც ზემოთ ვსთქვით, ეს მოსაზრება იმით დამტკიცეს, რომ საშვილოსნოს ლორწოიანი გარსის ნაწილის გადანერგვა მოხერხდა. მაგრამ თვიურის სისხლში უკვე დაღუპული ლორწოიანი გარსის ნაწილები უნდა იყოს და ასეთ ნაწილებს შეუძლია კიდევ ჩანერგვა, შეზრდა და გამრავლება? ეს ჯერ არავინ იცის, რადგან ზემოხსენებული ცდები გადანერგვისა მოხდენილი იყო მხოლოდ საღ ლორწოიან გარსზე.

ამ ორ დასახელებულ მოსაზრებებს ყველაზე მეტი მომხრეები ჰყავს. შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ მესამე ჰიპოტეზა (ჰალბანის), რომელიც რამოდენიმედ პირველი ჰიპოთეზიდან გამომდინარეობს: საშვილოსნოს ლორწოიანი გარსი თავისი ზედმეტი ზრდის პროცესში შეიჭრება ლიმფატიურ გზებში და ასე გადავა სხვადასხვა ადგილას, მაგრამ ეს მოსაზრება სპეციალისტთა უმრავლესობის მიერ უარყოფილია, რადგან: საშვილოსნოს ლორწოიანი გარსის შეჭრა ლიმფატიურ გზებში ვერ დამტკიცდა და, გარდა ამისა, მეტ შემთხვევაში, როდესაც კი გარეთა ადენომიოზისის შემთხვევა გვაქვს, შიგნითა ადენომიოზისი სრულებით არ აღინიშნება.

ეს დაავადება იწვევს ტკივილებს და შეხორცებებს და ხშირად მას ოპერაციით წამლობენ. ოპერაციის შემდეგ ის აღარ მეორდება, საზოგადოთ ის არც ისეთი დიდი იზრდება, როგორც სხვა სიმსივნეები და არც ავთვისებიანობას იჩენს.

ექ. ა. უსტიაშვილი.

„მთის მზე"

დასავლ.-ევროპ. მეცნიერება თანდათან უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას აკუთვნებს მზის ქიმიურ (ულტრა-იისფერ) სხივებს, როგორც ჯანმრთელ. დაცვის ფაქტორს. ულტრა-იისფერი სხივებით სარგებლობენ არა მარტო როგორც სამკურნალო საშუალებით მთელ რიგ ავადმყოფობათა დროს (რაქიტი ლიმფატიური ჯირკვლების ტუბერკულოზი), არამედ აგრეთვე როგორც პროფილაქტიურ (წინასწარი გამაფრთხილებელ) და საერთოდ ჯანმრთელობის დაცვის საშუალებას. გამორკვეულად მიაჩნიათ, რომ ულტრა-იისფერ სხივებით განათებას მოკლებული ორგანიზმი სუსტდება, წინააღმდეგობას ვეღარ უწევს ავადმყოფობათა გამომწვევ მიკრო-ორგანიზმებს და უფრო ადვილად ავადდება, ექიმები დაბეჯითებით ურჩევენ თავიანთ პაციენტებს ზაფხულობით მიიღონ მზის ვანები. ზამთრობით კი, როცა ორგანიზმი განსაკუთრებით მწვავედ განიცდის ქიმიური სხივების ნაკლებობას, სისტემატიურად ისარგებლონ „მთის მზის" (სინდიყ-ქვარცის ლამპა) სხივებით და ულტრა-იისფერი სხივების სხვა ხელოვნური წყაროებით, სინდიყ-ქვარცის სხივები („მთის მზის" სხივები) თანდათანობით ფართოდ ვრცელდება მოსახლეობაში, განსაკუთრებით ისეთ ხალხში, რომლის ჯანმრთელობა „პროფესიას" შეადგენს—სპორტსმენებში: ფუტბოლისტები, აკრობატები, მოკრივეები დასხ. ამჟამად უცხოეთის თითქმის ყველა სასპორტო დაწესებულებებთან და ცირკებთან გახსნილია სპეციალური სინათლისა და თერაპევტიული კაბინეტები. სადაც მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ხელოვნური მზის ვანები.

საბჭოთა ავიაციის მიღწევები

საერთაშორისო საავიაციო გამოფენიდან რომელიც გერმანიაშია მოწყობილი, მოსკოვში დაბრუნდა თავდაცვა-ავიაქიმის გენერალური მდივანი ამხ. მალინოვსკი, რომელმაც, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში შემდეგი სთქვა საბჭოთა პავილიონის შესახებ გამოფენაზე.

— საბჭოთა განყოფილება არა თუ არ ჩამორჩებოდა სხვა პავილიონებს, არამედ დიდ ინტერესს იწვევდა გამოფენის მნახველთა შორის, რომლებიც ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეებიდან იყვნენ ჩამოსულნი. არც ერთ სახელმწიფოს, გარდა საბჭოთა კავშირისა, არ გამოუფენია სანიტარული აეროპლანები და აერო-მარხილები. ჩვენი აერო-მარხილი, სანიტარული აეროპლანი და სარეკორდო ავიეტკა „ბურევესტნიკ" მთლიანად დამზადებული საბჭოთა მასალებიდან. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდნენ მნახველებში.

გერმანელთა „ავიაციის ხელისშემწყობი" საზოგადოების წარმომადგენლებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდეს საბჭოთა საავიაციო მუშაკებთან.

ახალი ავტომობილი-მაშხალა

დეკემბრის პირველ რიცხვებში ბერლინში მოახდინეს ინჟ. კურტ ფოლკჰარტის მიერ დამზადებულ ახალ „ავტომობილ-მაშხალის" გამოცდა. ფოლკჰარტი თავის ცდებს მაშხალიან ავტომობილის დასამზადებლად აწარმოებდა მაშხალიან სატრანსპორტო საშუალებების სხვა კონსტრუქტორებისაგან (ფრიც ოპელი, ცანდერი, მაქს ვალიერი) დამოუკიდებლად. თავისი კონსტრუქციით ფოლკჰარტის ავტომობილი საგრძნობლად განირჩევა ოპელისა და ცანდერის მიერ დამზადებულ მაშხალიან ავტომობილებისაგან, რომელთა კონსტრუქცია და გამოცდის შედეგები ჩვენ თავის დროზე გავაცანით „კომუნისტი"-ს მკითხველებს.

თავის ავტომობილის გამოცდის წინ ფოლკჰარტმა შეკრებილ ხალხს წაუკითხა მოხსენება, რომელშიც განმარტა თავისი ავტომობილის მოწყობილობა და ხაზი გაუსვა მის უპირატესობას სხვა სისტემის მაშხალიან ავტომობილების წინაშე.

ფოლკჰარტმა აღნიშნა, რომ მისი მაშხალიანი ავტო-მანქანა ადვილი სამართავია და შესაძლებლად ხდის ხანგრძლივ მოგზაურობას. უკანასკნელ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან, როგორც ცნობილია, მაშხალიან ავტომობილების მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ შეუძლია დიდი მანძილის გავლა, ვინაიდან საწვავი მასალის (თოფის წამლის, გაზების) მარაგი მათზე განსაზღვრულია.

მოხსენების შემდეგ ფოლკჰარტი ჩაჯდა ავტომობილში. აამუშავა მაშხალების ასანთები აპარატი. რამდენიმე წამის შემდეგ ავტომობილი ლამაზად დაიძრა ადგილიდან და გაექანა გზაზე. ოფიციალური ცნობით, ფოლკჰარტის მაშხალიანმა ავტომობილმა განავითარა 70 კილომეტრის სისწრაფე საათში.

„სიკვდილის სხივები"

ამერიკელმა მეცნიერმა ლუმისმა, რომელიც განაგრძობდა ცნობილ ფიზიკოს ვუდის ცდებს მაღალი სიხშირის ხმის ტალღებზე, მიიღო წამში 2 ნახ. მილ. სიხშირის მქონე მხოლოდ 500.000—1.000.000 რხევის მქონე ხმის რხევა. დღემდე მკვლევარებმა მოახერხეს მხოლოდ 500.444—1.000.000 რხევის მქონე ტალღების მიღება. თავისთავად ცხადია, რომ ამ ხმის ტალღებს ყური არ შეიგრძნობს. ასეთი სიხშირის მქონე ხმის ტალღები გასაცვიფრებელ ზეგავლენას ახდენენ ზოგიერთ ფიზიკურ პროცესებზე და ცოცხალ ორგანიზმებზე. ლუმისის ტალღები თვალის დახამხამებაში ჰკლავენ წვრილ ცხოველებს და მცენარეულობის უჯრედებს. ლუმისის ტალღების ხანგრძლივი ზემოქმედება საგრძნობლად აზიანებს ადამიანის ორგანიზმსაც.

ავიაციის ოცდა ხუთი წლის თავი

17 დეკემბერს დაიტონში (ოჰაიოს შტატი, შეერთ. შტატები) მთელ რიგ სახელმწიფოთა თანდასწრებით გაიმართა ზეიმი მექანიკური მამოძრავებელი მომარაგებულ აეროპლანის გაფრენის 25 წლის თავის აღსანიშნავად. ზეიმს დაესწრო ორვილ რაიტიც, რომელიც თავის ძმასთან—ვილბურ რაიტთან ერთად ავიაციის ერთ-ერთი პიონერთაგანია.

ძმ. რაიტების აეროპლანი

1903 წ. 17 დეკემბერს ძმ. რაიტების აეროპლანი, რომელსაც ორვილ რაიტი მართავდა, აფრინდა და დაჰყო ჰაერში 12 წამი. რამდენიმე დღის შემდეგ ამავე აეროპლანით ვილბურ რაიტმა იფრინა 59 წამი.

ძმ. რაიტების გაფრენა წარმოადგენდა შედეგს ხანგრძლივი მუშაობისას პლანერებზე — უმოტორო აეროპლანებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით ასეთივე მუშაობას აწარმოებდნენ ავიაციის ენტუზიასტები მთელ რიგ სხვა ქვეყნებში: პერსი პილჩერი—ინგლისში, ოტტო ლილიენტალი —გერმანიაში და სხვ. და რომ ძმ. რაიტებს ერთ მშვენიერ დღეს აზრათ არ მოსვლოდათ ავტომობილის მოტორის დადგმა თავიანთ საუკეთესო პლანერზე, ამას მათ მაგიერ სხვები იზამდნენ. ასეთია ყოველგვარ გამოგონებათა ისტორია. საინტერესოა რომ ძმ. რაიტებს პირველობაში მრავალი მეტოქე ყავს. მთელ რიგ უცხო სახელმწიფოთა პრეტენზიებს, რომ თავი დავანებოთ, შეერთებულ შტატებში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც თანამედროვე ავიაციის პიონერათ თვლიან არა ძმ. რაიტებს, არამედ ვიღაც პროფ. ლანგლეის.

პირველ გაფრენიდან ხუთი წლის შემდეგ ძმ. რაიტები გაემგზავრნენ ევროპაში და თავისი მიღწევების საჯარო დემონსტრაცია მოაწყვეს მთელ რიგ ქვეყნებში, ძმ. რაიტების გაფრენა ათასობით იზიდავდა ხალხს.

მსოფლიო ომის დროს ავიაცია არაჩვეულებრივად განვითარდა. აი მცირეოდენი ციფრები ამის საილუსტრაციოდ.

	1908 წ.	1928 წ.
სისწრაფე (საათ.)	75 კილომ.	500 კილომ.
სიმაღლე	1200 მეტრი	12,000 მეტ.
ფრენის მაქსიმ. ხანგრ.	3 საათი	65 საათ.

ახლანდელი სამგზავრო აეროპლანები არ წააგავენ ძმ. რაიტების დროის, რაღაც უცნაურ მანქანებს, არამედ წარმოადგენენ საჰაერო გემებს ათეულ მგზავრების გადასაყვანად. რაც შეეხება სამხედრო აეროპლანებს, ერთ ან ორ ადგილიან აპარატების ნაცვლად, რომლებითაც სარგებლობდნენ ომის დროს უმთავრესად დაზვერვის მიზნებისათვის, ამჟამად არსებობს ათეული სხვადასხვა ტიპის სამხედრო აეროპლანი.

ნახშირის მარაგი სამხრეთ-პოლიუსთან

მფრინავი ბერდი

რომელმაც მიაღწია ჩრდ. პოლიუსს და ახლა მოაწყო ექსპედიცია სამხრეთ-პოლიუსის შესასწავლად.

ინგლისელმა გეოლოგმა დევიდმა, რომელიც 1908 წ. მონაწილეობას იღებდა შეკლტონის ექსპედიციაში სამხრეთ-პოლიარული მატერიკის გამოსაკვლევად, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში აღნიშნა, რომ ბერდის ექსპედიციის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ნახშირის მარაგის გამოკვლევა ანტარქტიკაში (სამხრეთ-პოლიარულ მატერიკზე). დევიდის სიტყვით, მან შეკლტონთან ერთად სამხრეთ-პოლიარულ მატერიკზე აღმოაჩინა ნახშირის დიდი მარაგი. ნახშირის ფენები ზოგჯერ ნიადაგის ზედაპირზე მოსჩანს. ქვანახშირიანი რაიონი იწყება ბირდაპირის ყინულებთან და სიგრძით 3.000 კილომეტრის უჭირავს, ამრიგად ანტარქტიკა ყველაზე მდიდარია ნახშირით. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ნახშირის ფენის ქვეშ აღმოჩნდა გრანიტი და ფიქალი, რომელთა თვისება შესაძლებლად ხდის, რომ იქვე მოიპოვება ლითონის მადნები, კერძოდ ოქრო.

დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე ის ფაქტი, რომ სამხრეთ-პოლიარულ მატერიკის ქვანახშ. ფენებში იპოვეს გაქვავებულ ცხოველთა ჩონჩხები, იმ ჩონჩხების მსგავსი, როგორიც ავსტრალიის ქვანახშირის ფენებში ნახეს. დევიდის აზრით, ეს იმას ამტკიცებს, რომ სამხრეთ-პოლიარული მატერიკი ოდესღაც თავისუფალი იყო ყინულებისგან და ხმელეთით შეერთებული იყო ავსტრალიასთან.

რეგულიარული საჰაერო მიმოსვლა ოკეანეთი

დასრულდა მოლაპარაკება, რომელსაც აწარმოებდნენ ერთი მხრივ გერმანიის მთავრობა და ცეპელინების შემნებელი საზოგადოება და მეორე მხრივ საზოგადოება „აერო-არქტიკ" (საერთაშორისო საზოგადოება არქტიკის შესასწავლად საფრენი აპარატების საშუალებით). ამ მოლაპარაკების შედეგად მოჰყვა შეთანხმება, რომლის თანახმად გერმანიის მთავრობა და ცეპელინების საქციო საზოგადოება „აერო-არქტიკ"-ს უთმობენ ცეპელინ „Z 127"-ს („გრაფი ცეპელინი"), რომელიც 1930 წ. აპრილში გამოყენებული იქნება საჰაერო ექსპედიციისათვის ჩრდ. პოლიარულ რაიონის გამოსაკვლევად.

დირიჟაბლი „ლ. ც. 127"

(„გრაფი ცეპელინი"), რომლითაც 1930 წ. გაზაფხულზე ეწყობა ახალი ექსპედიცია ჩრდ. პოლიუსისაკენ. დირიჟაბლი აგებულია პროფ. ეკენერის მიერ.

ამასთან ერთად, ცეპელინის კონცერნის მთავარი დირექტორი კოლსმანი და დირიჟაბლების ცნობილი კონსტრუქტორი პროფ. ჰუგო ეკენერი მოლაპარაკებას აწარმოებენ სამრეწველო წრეებთან ახალი ცეპელინების აგებისა და რეგულიარული ტრანს-ატლანტიური მიმოსვლის მოწყობის შესახებ.

მოლაპარაკების საბოლოო მიზანია — საქციო საზოგადოების შექმნა დირიჟაბლებით რეგულიარული საჰაერო მიმოსვლის მოსაწყობათ ოკეანეთი, საზოგადოება შეიძენს „ცეპელინ „ლ ც 128"", რომელიც ახლა შენდება. პირველ ხანებში ამ ერთი დირიჟაბლით, შემდეგში კი სამი-ოთხი დირიჟაბლით საზოგადოება აპირებს რეგულიარული მიმოსვლის მოწყობას ევროპა-ამერიკას შუა. მოგზაურობას ბერლინ-ნიუიორკ შუა ეხლანდელი 5—6 დღის მაგიერ დირიჟაბლით მოუნდება 2 დღე.

შემდეგ საზოგადოება განზრახულობს აქეს რამდენიმე საჰაერო სადგურის მოწყობა ევროპის დასავლეთ სანაპიროებზე. ცეპელინებისთვის ბაზის მოწყობა განზრახულია რეინის ველზე, სადაც სწარმოებს ცეპელინის გასაფრენათ ხელსაყრელი დასავლეთის ქარები. რეინის ველს ფრიდრიხსჰაფენის წინაშე (სადაც ამჟამად მოთავსებულია „ლ ც 127"-ის ანგარი) კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ მდებარეობს ზღვის დონეზე იმ დროს, როცა ფრიდრიხსჰაფენი მდებარეობს რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან და ამის გამო ცეპელინის სტარტის (აფრენის) დროს ჰკარგავს თავისი ამწევი ძალის მნიშვნელოვან ნაწილს.

რეგულიარული ტრანს-ატლანტიური მიმოსვლის დამყარების საკითხს დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე აეროპლანის მომხრეები, რომლებიც დირიჟაბლების ენტუზიასტებს „მფრინავი ძეხვის" მომხრეებს უწოდებენ. როგორც ირკვევა, განზრახულია დაარსდეს საზოგადოება ტრანს-ატლანტიური მიმოსვლის მოსაწყობათ აეროპლანებით. საზოგადოების დირექტორად ასახელებენ ცნობილ მფრინავსა და მრეწველ ხიუნეფელდს, რომელიც მფრინავ კელთან ერთად „ბრემენ"-ის ტიპის აეროპლანით გადაფრინდა ატლანტის ოკეანეზე.

გუსტავ ეიფელის გარდაცვალების 5 წლის თავი

23 დეკემბერს შესრულდა 5 წელი მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი შესანიშნავი ინჟინერის—გუსტავ ეიფელის გარდაცვალების დღიდან.

ეიფელმა სახელი გაითქვა მთელ რიგ განსაცვიფრებელ ნაშენობათა—ხიდების, არხების და სხვ. აგებით. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ნაგებობა, რომელიც მან დასტოვა და რომელიც საუკეთესო ძეგლია მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად—ეს არის კოშკი პარიზში, რომელსაც მისი მშენებლის პატივსაცემად ეიფელის კოშკი უწოდეს.

ეიფელის კოშკის სიმაღლე 300 მეტრს უდრის და მას ამ მხრივ ბადალი არ ჰყავს არა თუ წარსულში, არამედ ახლაც. იგი გაცილებით მაღალია, ვიდრე განთქმული ხეოპსის პირამიდა (137 მეტრი), კელნის ტაძარი (156 მეტრი) და ყველაზე მაღალი (55 სართულიანი) სახლი ამერიკაში (270 მეტრი).

გარდა იმისა, რომ ეიფელის კოშკი მეტად მაღალია, იგი საინტერესოა აგრეთვე თავისი არქიტექტურითაც. შორიდან ძაფებიდან შეკრული ეგონება კაცს და მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ მძიმეა (მის აგებაზე 7.000.00 კილოგრამი რკინა დაიხარჯა) ძლიერ მსუბუქი მოსჩანს.

კოშკი შესდგება სამი პლატფორმიდან. პირველი მათგანი მდებარეობს 57,6 მეტრის სიმაღლეზე, მეორე—115,7 მეტრის, მესამე—190 მეტრის სიმაღლეზე. აქ მოწყობილია ასტრონომიული და მეტეოროლოგიური ობსერვატორიები. ამ მესამე პლატფორმაზე ასასვლელად საჭიროა 1.792 საფეხურის გავლა. ამიტომ იქ მისასვლელად ჩვეულებრივ სარგებლობენ სპეციალური მანქანით. 190 მეტრის სიმაღლიდან მთელი პარიზი მოსჩანს, როგორც ხელის გულზე.

ეიფელის კოშკი

სურათი გადაღებულია 1901 წ. 19 ოქტომბერს, როცა მფრინავმა სანტოს დიუმონმა დირიჟაბლით შემოუფრინა ეიფელის კოშკს გარშემო და მოიგო დიდი ჯილდო.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

„სამსონი და დალილა". მუს. სენ-სანსისა.

ოპ. „სამსონი და დალილა"-ში, რომელიც მიმდინარე სეზონში პირველად 29 დეკემბერს დაიდგა, დალილას როლს ასრულებდა მუხტაროვა. მსახიობის მიერ როლის სცენიური და ვოკალური გადმოცემა შეეფერება ოპერის შინაარს. მძლავრი სამსონი განიცდის ფსიქოლოგიურ ბრძოლას, სადაც მისი ფიზიკური გრძნობა დალილასადმი უპირდაპირდება სამშობლოსა და იმ ზიზღს, რომელსაც იწვევს სამსონში დალილა, როგორც გაბრწყინილი ადამიანი და ებრაელთა მტერი. მაგრამ სამსონის მრისხანებას და შურისძიებას ამარცხებს მუხტაროვა მასში პირუტყვულ გრძნობის გაღვიძებით. ხმის მომაჯადოებელი ელფერით, ვნებით სავსე ინტონაციით, ჩვენ აქ არ შევეხებით საკითხს, თუ თავის თავად რამდენად მისაღებია პირობითი მომენტების, ისე უარყოფა სცენაზე, როგორც ამას მუხტაროვა ჩადის.

პირველი გამოსვლა არტისტ **ნ. ქუმსიაშვილისა** სამსონის პასუხისმგებელ როლში მაჩვენებელია, რომ ეს მომღერალი დაუღალავად მუშაობს და მტკიცე ნაბიჯით მიდის განვითარებისაკენ.

ვოკალურად სამსონის როლი არ წარმოადგენს ქუმსიაშვილისათვის არავითარ სიძნელეს; ხმა ეშლება სრულიად თავისუფლად, და ეს გარემოება აძლევს მსახიობს საშუალებას გამოიჩინოს საჭირო ადგილებში, როგორც ხმის იშვიათი სიძლიერე, ისე სინაზე და მოქნილობა. როგორც მიღწევა, უნდა აღინიშნოს აგრეთვე კარგი გრიმი და კარგი სცენიური შეხედულება ქუმსიაშვილისა. ერთად ერთი ნაკლად ქუმსიაშვილს—ჩაეთვლება ჟესტიკულიაციის და მიმიური მოძრაობის დაუმუშავებლობა, რაც ჰქმნის ერთფეროვან სცენიურ შთაბეჭდილებას. თუ ეს ნაკლი იქნება აშორებული ქუმსიაშვილი ჩაითვლება საუკეთესო სამსონად.

სახალხო მსახიობს **ი. ფალიაშვილს** ეს ოპერა დამუშავებული აქვს ისე, როგორც შეფერის ნამდვილ მხატვარს. ამ საღამოსაც ი. ფალიაშვილი როგორც ლოტბარი იდგა ჩვეულებრივ სიმაღლეზე. მეტადრე იმ ადგილებში, რომელნიც წარმოადგენენ დიდ ტიხნიკურ სიძნელეს. (მაგ., გუნდი პირველ მოქმედებაში, ფუგატო მესამეში და კიდევ სხვა მრავალი).

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

ჭიათურის თეატრი

„წმ. იორგენის დღესასწაული"—ტატიშჩევს. დადგმა: ქ. ანდრონიკაშვილის

ჩვენი თეატრების რეპერტუარში სრულიად არ მოიძებნება ისეთი პიესები, რომლებიც გამოსადეგი იყოს ანტირელიგიური პროპაგანდის მიზნით, რაც დღეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ამ მხრივ რუსეთში უფრო კარგად არის საქმე. რუსეთის თეატრებს აქვთ მრავალი კარგად დამუშავებული ანტირელიგიური პიესა რომლებიც წარმატებით იდგმება როგორც დიდ ქალაქების, ისე მუშათა კლუბების სცენაზე და სოფლადაც.

ერთ-ერთი ასეთი პიესაა ტატიშჩევის „წმ. იორგენის დღესასწაული", რომელიც დაიდგა ჭიათურის თეატრის სცენაზე 27 დეკემბერს.

„წმ. იორგენის დღესასწაული" მწვავე სატირაა სამღვდელოებაზე, რომელიც სარგებლობს „დაბალი" ხალხის უვიცობით და სძარცვავს მას. პიესაში ნათლად არის მოცემული სამღვდელოების გაიძვერობა და ის ხრიკები, რომლებსაც მიმართავენ „ღვთის მსახურნი" ხალხის დასაბრმავებლად და გასატყავებლად.

ტატიშჩევი თავის პიესაში გვიხატავს გერმანიის ერთ-ერთ ქალაქს, სადაც დაცულია წმ. იორგენის წამოსასხამი, რომელიც წარმოადგენს სამღვდელოების შემოსავლის მთავარ წყაროს. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება მიმდინარეობს უცხო ქვეყანაში, პიესა არ ჰკარგავს ამით თავის მიმზიდველობას და ინტერესს და რაც მთავარია, პიესა ჩამოყალიბებულია ისეთ ფორმებში, რომლებიც სავსებით ეთანხმებიან ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოების თანამედროვე მოთხოვნილებებს.

დადგმის მხრივ რეჟისორ **ქ. ანდრონიკაშვილს** არ დაუზოგავს ძალღონე, რომ იმ მცირე საშუალებებით, რომლებიც მას გააჩნია, მიეცა აუდიტორიისათვის კარგად მომზადებული და მთლიანი წარმოდგენა.

დეკორაციები სავსებით შეეფერებოდნენ პიესის დედა-აზრს. კოსტიუმებიც კარგად იყო შერჩეული, თუ მივიღებთ მხედველობაში ჭიათურის თეატრის სიღარიბეს.

პიესის შესრულება მსახიობთა მიერ დამაკმაყოფილებელი იყო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მსახიობი **ინასარი** (ხაზინადრის როლში), რომელმაც საუკეთესოდ შეასრულა თავისი როლი და 5 მოქმედების მანძილზე არ ულალატა ოდნავადაც თავიდანვე აღებულ ტონს.

კარგები იყვნენ მსახიობი **გვინჩიძე** (მიკაელ კლსკის), **შ. ორუშაძე** (გრაფ მინისტრი), **შ. ჯაფარიძე** (კაპელანი).

მოისუსტებდა მსახიობი ქალი **თ. ჩარკვიანი** (ავრელია) მეტადრე უკანასკნელ მოქმედებაში, სადაც მან უნდა გამოიჩინოს მეტი სიმტკიცე.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ სასურველია, აღნიშნული პიესა გადატანილ იქნეს მუშათა კლუბებში რაც დიდად შეუწყობს ხელს ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოებას მუშებს შორის.

ე. ხუციშვილი.

სასამართლო

ვაჭრების ყალთაბანდობა

თბილისის ბაზრის ქ. № 12 გასულ წლის ზაფხულში ვაჭრებმა **მარტიროს გალუსტოვმა** და **გიორგი ჭილაშვილმა** გახსნეს ხორცის სავაჭრო. სავაჭროს დიდი შემოსავალი ჰქონდა, წლიური ბრუნვა 125.000 მანეთს უდრიდა.

რომ თავიდან აეცილებიათ პასუხისმგებლობა გადასახადებისათვის, ვაჭრებმა პატენტი აიღეს ისეთი პირის სახელზე, რომელსაც არავითარი უძრავ-მოძრავი ქონება არ გააჩნდა და რომელიც მათ სავაჭროში მუშაობდა დღიურ ქირაზე. ასეთი პირი გახლდათ მოქ. **კურატაშვილი**, რომელსაც ორ მანეთად ამუშავებდნენ ვაჭრები დღეში.

ვაჭრებმა ივაჭრეს, გაისქელეს ჯიბეები და როცა მოახლოვდა ახალი პატენტის აღების დრო, სავაჭრო მიაკეტეს, ვითომ გაკოტრების მომიზეზებით. უარი უთხრეს საგადასახადო ინსპექციას ძველი გადასახადების შეტანაზე და ამრიგად უნდოდათ შეეხვილიფებიათ 3747 მანეთი, რომელიც მათ შეწერილი ჰქონდათ.

მათ იცოდნენ, რომ კურატაშვილს, რომლის სახელზე ითვლებოდა პატენტი, ვერაფერს გადაახდევინებდნენ, რადგან არაფერი გააჩნდა.

მარტიროს გალუსტოვი და გიორგი ჭილაშვილი მიიმალენ. საგადასახადო ორგანოებს ხელში შერჩათ გაფხეკილი კურატაშვილი. რომელმაც შეიბაა ნამუსად ის, რომ მის სახელზე გამოტანილი პატენტით სხვები ვაჭრობდნენ. მან არ დაასახელა ნამდვილი ვაჭრები. პირველ ხანებში თავის მისამართსაც მალავდა, მაგრამ კურატაშვილი მალე აღმოაჩინეს და მოსთხოვეს გადასახადის ანაზღაურება.

საქმე გადაეცა სასამართლოს. კურატაშვილი ფიქრობდა: რა უნდა მიყონ, რა უნდა გადამახდევინონ, როცა არაფერი გამაჩნია! შეუნახავ ნამუსს ვაჭრებს, რომლებიც ასეთ თავდადებას დამიფასებენ და ცოტა რამეს მიწყალებბენ!

კურატაშვილს მაგრად მოეკიდეს ხელი. დაინიშნა საქმე. კურატაშვილი აიხირად ზის საბრალმდებლო სკამზე. პროცესის დასაწყისში, მაგრამ მალე აიტანა შიშმა.

სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად საქმე ისეთი ხასიათი მიიღო, რომ კურატაშვილს გომსახლში გაგზავნა არ ასცდება.

უეცრად წამოვარდება კურატაშვილი და ჰყვირის: არ დამიღუპოთ: ყველაფერს ვიტყვი! მე სავაჭროში არავითარი წილი არ მქონია. ვიყავი უბრალო დაქირავებული მუშა. სავაჭრო ეკუთვნოდა გალუსტოვს და ჭილაშვილს!

კურატაშვილი ასახელებს მათ მისამართს.

სასამართლოს სხდომა წყდება. რამდენიმე დღის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები აპატიმრებენ ყალთაბანდ ვაჭრებს, რომლებიც გამოტყდნენ დანაშაულში.

გალუსტოვი და ჭილაშვილი ახლო მომავალში გასამართლებული იქნებიან საჩვენებელი პროცესით.

მგრ.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ეტიუდი) რ. ალექსანდროვი



თეთრები იწყებენ და იგებენ

(ამოცანა) მ. ხაველ



შამათი სამ სვლაში

პარტია № 10 (ლაზიერის პაიკთა დებიუტი)

გათამაშებულია ბერლინის საერთაშორისო შეჯიბრებში 15/X—28 წ.

თეთრები: ხ. რ. კაპაბლანკა.—შავები—ა. რუბინშტეინი

1. d2—d4, d7—d5 2. მg1—f3, c7—c5 3. d4 : c5 (თეთრები თამაშობენ მოწინააღმდეგის პაიკის განსაცალკევებლად) 3. . . . ., e7—მ6 4. e2—e4, კf8 : c5 5. e4 : d5, e : d5 6. კf1—b +, მb8—c6 7. 0—0. მg8—e7 8. ეb1—d2, 0—0 9. მd2—b3, კc5—b6 10. ეf1—e1, კc8—g4 11. კb5—d3, მe7—g6 12. h2—h3, კg4 : f3 13. ლd1 : f3, მc6—e5 14. ლf3—f5, მe5 : d3 15. ლf5 : d3, d5—d4? (აქამდე რუბინშტეინი კარგად და საინტერესოდ თამაშობდა, ეხლა კი, ამ სვლის შემდეგ შავების განცალკევებული პაიკი საგრძნობლად სუსტია, რაც შეაფერხებს მათ თამაშს,—აჯობებდა 15. . . ., ლf6, რის შემდეგ შავების მდგომარეობა სჯობდა) 16. კc1—d2, ლd8—f6 17. ეe1—e4, ეa8—d8 18. ეa1—e1, ლf8—c6. (საინტერესო მახე! რასაც კაპაბლანკა მიუხვდა) 19. g2—g3! (თითქოს კa5 ძლიერი სვლა იყო, მაგრამ ამას მოჰყვებოდა 19. . . ., f5! 20. ეe6? მაშინ 20. . . ., მf4 შავების უპირატესობით) 19. . . ., ეf8—e8 20. კd2—a5, ეe8 : e4 21. ლd3 : e4! (ე : e4 შემდეგ თეთრები არაფერს ღებულობდენ, მაგ. 21. . . . კ : a5 22. მ : a5, ლd7 23. მფh2, f5! 24. ეe2, ლd5 და შემდეგ მe5 შავების სასარგებლოდ 21. . . ., მg6—f8 22. ლe4 : c6, b7 : c6 23. ეe1—e7, ეd8—d5 (ამ სვლით შავები ასუსტებენ თავის ისედაც სუსტ მდგომარეობას; რამოდენიმედ სჯობდა 23. . . . მe6) 24. კa5 : b6 a7 : b6 25. ეe7—b7, მf8—d7 26. ეb7—c7, ეd5—d6 27. ეc7—c8+, მd7—f8 28. მb3—d2, c5—c5 29. მd2—c4, ეd6—e6 (თეთრებს მოგებული ენდშპილი აქვთ; პაიკი b6 რამოდენიმე სვლის შემდეგ დაიღუპება) 30. ეc8—b8 (მფf1—უ რო ძლიერი იყო) 30. . . . ., ეe6—e1+ 31. მფg1—g2, g7—g5 32. a2—a4, ეe1—a1 33. მc4 : b6, მფg8—g7 34. ეb8—c8, მf8—e6 35. მb6—d7, ეa1 : a4 36. მd7 : c5, ეa4—b4 (შავებს არც მხედრის გაცვლა შეეძლოდათ: 36. . . ., მ : c5 37. ე : c5, ეb4 38. b3! ე : g5+ და ეc4! მუქარით) 37. მc5 d3, ეb4—b5 38. მფg2—f3, h7—h6 39. b2—b4, h6—h5 40. g3—g4, h5 : g4 41. h3 : g4. f7—f6 42. ეc8—c4, მფg7—f7 43. მd3—c5!, მe6 d8 44. მc5—b3! აქ დროს უქონლობის გამო რუბინშტეინი დანებდა. პარტიის გადარჩენა შავებს მაინც ვერ შეეძლოთ, რადგან ისინი კარგამენ მეორე პაიკს d4. ერთად ერთი პარტია, რომელიც კაპაბლანკამ მოუგო რუბინშტეინს. ამ პარტიამდე ყველა მათი შეხვედრიდან შეჯიბრებებში შედეგი იყო + 1=3 რუბინშტეინის სასარგებლოდ.

რკინის გზებზე

კატასტროფა ყუმის-ხანდარს შუა

31 დეკემბერს, დილით, თბილისიდან სომხეთის მიმართულებით გაიგზავნა საბარგო მატარებელი № 188, თორმეტი დატვირთული ვაგონის და ერთი ორთქლმავლის შემადგენლობით. შემადგენლობაში სხვათა შორის ჩაბმული იყო ორი შეშით დატვირთული ღია ვაგონი.

დილის ათ საათზე ყუმის-ხანდარს შუა მატარებელს მარცხი შეემთხვა.

გზა ყუმის-ხანდარს შუა დაქანებულია. მიაღწია თუ არა მატარებელმა დაქანებულ ადგილს, განავითარა დიდი სისწრაფე. შეშით დატვირთული ერთ-ერთი ვაგონიდან რელსებზე დაიწყო ცვენა შეშამ, რომელიც ხვდებოდა ორბლებს ქვეშ. ამის გამო ლიანდაგს ასცდა და დაიმსხვრა ათი ვაგონი, ლიანდაგიდან გადავარდა აგრეთვე ორთქლმავალიც. ხაზი გაფუჭდა.

კატასტროფის დროს დაიღუპა მთავარი კონდუქტორი **ქოქრაშვილი**, ორი კონდუქტორი დაშავდა მძიმედ და ოთხი მსუბუქად.

თბილისიდან შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომელსაც გაჰყვნენ: ამიერ-კავკ. რკ. გზების გამგეობის წევრი ინჟ. **ბერიძე**, მოძრაობის დარგის მეორე განყოფილების უფროსი **ბარამიძე**, მოძრაობის უფროსი რევიზორი **აბელაშვილი** და გზის სხვა აგენტები.

მატარებლის მოძრაობა სომხეთისაკენ შეფერხებულია.

მატარებელი № 9—10

2 იანვრიდან მატარებელი № 9—10 კვირაში ივლის სამჯერ. თბილისიდან მატარებელი გავა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით. ბათომიდან—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. მატარებლის მოსვლა იწარმოებს იმავე საათებში, როგორც წინეთ.

რადიო სოფლად

თბილისის მაზრაში ამჟამად დადგმულია 27 რადიო-მიმღები სადგური. მიმღები აპარატები მოწყობილია სათემო სამკითხველოებში. წარსულ წელს რადიო-სადგურებისათვის საჭირო თანხები არ იყო გათვალისწინებული სათემო ბიუჯეტით. ახალ საბიუჯეტო წლიდან ამ ხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა. თითქმის ყველა სათემო ბიუჯეტებით გათვალისწინებულია რადიო-მიმღები აპარატების შესაძენად და მოსავლელად საჭირო თანხები. თვითეულ სადგურისათვის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია 100-120 მანეთის რაოდენობით. თბილისის პოლიტგანმა თავს იდვა რადიო-სადგურების მომარაგება აკუმულიატორებით და ბატარეებით. ამჟამად მაზრაში ოთხი მიმღებს გარდა ყველა რადიო სადგურები ამუშავებულია. ზოგი თემის გლეხობამ გადაწყვიტა თავის ხარჯზე მოაწყოს რადიო-სადგური. (მაგ. ბოგვის, ასურეთის, ირგას და ყაზზევის თემები), ზოგან დაარსდა რადიოს მეგობართა საზოგადოების უჯრედები.

ნარევი

აეროპლანის დაღუპვა

სპერში (ამერიკა) ჩამოვარდა და დაიმსხვრა აეროპლანი, რომელზედ იმყოფებოდა ხუთი კაცი. ხუთივე დაიღუპა.

შეერთ. შტატების ხარჯები ავიაციაზე

თუ რა ფართო ხასიათი აქვს საავიაციო მშენებლობას შეერთებულ შტატებში ამას ამტკიცებს თუ გინდ ის ფაქტი, რომ 1900 წლიდან შეერთ შტატების მთავრობამ საჰაერო ავიაციაზე დახარჯა 2.000.000.000 მანეთი.

მეჩვიდმეტე საუკუნის ადამიანები ციმბირში

მიმდინარე წლის შემოდგომაზე მონადირეთა ჯგუფმა ციმბირში აღმოაჩინა 16 სოფელი, რომლებიც არც ერთ ადმინისტრატიულ ერთეულში არ არის. არავითარ გადასახადებსა და სახელმწიფოებრივ მოვალეობას არ იხდის. ამ სოფლების მოსახლეობა ლაპარაკობს ხაზეულად სლავიანურ ენაზე, მისდევს მეფუტკრეობას და ნადირობას.

იურიდიული დახმარება

მიხეილ იოსავას

კითხვა:

დღიდან საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა, 7 წლის განმავლობაში ვიყავი თემის აღმასკომის მდივანი: მანამდე კი 27 წლის განმავლობაში სხვადასხვა თემებში ვიყავი მწერლად. ვარ 65 წლის მოხუცი, ღარიბი, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წევრი წიგნ. № 1125, ორივე თვალში მხედველობის უნარ-მოკლებული 40 პროცენტით სარჩენი მყავს ორი მცირე წლოვანი შვილი; გთხოვთ მიპასუხოთ მერგება თუ არა პენსია.

პასუხი:

პენსიის მიღებისათვის ხნოვანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. თქვენ მოგეცემათ პენსია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხედველობის დასუსტებისა და საზოგადოთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით შრომის უნარი შემცირებული გაქვს 50 პროცენტით მაინც. ამასთანავე თქვენი ხნოვანობის მიხედვით უნდა გქონდეთ 8 წლის შეუწყვეტელი სამსახურის სტაჟი. სამსახური ითვლება შეუწყვეტლად, თუ იგი არ შეწყვეტილა 5 წლის მეტით. სამსახურის სტაჟის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება თქვენი სამსახური საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. შუამდგომლობა პენსიის დანიშვნის შესახებ უნდა აღძრათ სოციალურ დაზღვევის სალაროში არა უგვიანეს ორი წლის განმავლობაში დღიდან სამსახურიდან მოხსნისა.

შალიკო (პროფკავშ. წიგნაკი № 8761)

კითხვა:

რამოდენიმე თვის წინად განვშორდი ცოლს, რომელმაც თან წაიყვანა ჩემი ერთი წლის შვილი. ბავშვი დედასთან არ იზრდება ისე როგორც ეს მისაღებია საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამასთან ქალი ნარვიული ავადმყოფია და მატერიალურად არა შემძლე, როგორც უმუშევარი.

მაქვს თუ არა უფლება ჩამოვართვა დედას ბავშვი იძულებით და შეუძლია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა ბავშვის შესახებ დედის დაუსწრებლად, რადგან ქალი არ იმყოფება იმ ქალაქში, სადაც მე ვცხოვრობ და საეჭვოა, რომ მან შესძლოს დასწრება საქმის გარჩევაზე?

პასუხი:

თუ არ არსებობს შეთანხმება მშობლებთა შორის ამაზე, თუ რომელ მათთაგან იცხოვრონ მცირე წლოვანმა ბავშვებმა, სადაო საკითხი ამის შესახებ უნდა გადასწყვიტოს ადგილობრივმა სახ. სასამართლომ რომელიც ასეთ საკითხის გადაწყვეტის დროს ხელმძღვანელებს მხოლოდ იმით, თუ რომელ მხარე უფრო უზრუნველჰყოფს ბავშვის მოვლა-პატრონობას და სწორ აღზრდას. ყოველ შემთხვევაში მატერიალური შეუძლებლობა თქვენი ყოფილი მეუღლისა ვერ დაედება საფუძვლად მისგან ბავშვის ჩამორთმევას, კიდევ თქვენ ვალდებული ხართ ალიმენტი მისცეთ [illegible] შვილს მაშინაც, როდესაც ის თქვენთან არ სცხოვრობს. თხოვნით ბავშვის ჩამორთმევის შესახებ უნდა მიმართოთ იმ სასამართლოს, რომლის რაიონშიდაც სცხოვრობს თქვენი ყოფილი მეუღლე.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 92

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

ქუთაისის საქალაქო საბჭოსათვის, ცეცხლისაგან დაზარალებულთა მოსახლებლად, კანონით დაწესებული ნორმის ზედმეტი საცხოვრებელი სივრცის მქონე პირთა შემჭიდროების უფლების მიცემის შესახებ

რადგანაც წელს ქ. ქუთაისში მომხდარმა ხანძარმა გამოიწვია მწვავე საბინაო კრიზისი და ზამთრის გამო საჭიროა ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასწრაფოდ უზრუნველყოფა საცხოვრებელი სივრცით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საერთო წესის გამონაკლისად მიეცეს ქუთაისის საქალაქო საბჭოს უფლება შეამჭიდროს ადმინისტრატიული წესით საცხოვრებელი სივრცის მქონე პირნი, რათა კერძო მთლობელთა და საბინაო-საიჯარო ამხანაგობათათვის საექსპლოატაციოდ გადაცემულ სახლებში გამოყოფილ იქნეს კანონით დაწესებული ნორმის ზედმეტი საცხოვრებელი სივრცე, საერთო რაოდენობით ას ოთახამდე, იმ მიზნით, რომ ეს საცხოვრებელი სივრცე გამოყენებულ იქნეს ხანძარისაგან დაზარალებულ მოქალაქეთა მოსათავსებლად.

შენიშვნა: ამა დადგენილების ძალით გამოყოფილი ზედმეტი საცხოვრებელი სივრცე უნდა წარმოადგენდეს ცალკე ოთახს, რომელსაც ცალკე შესასვლელი აქნება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ნოემბრის 28.
თბილისი—სასახლე.

პარტიული კალენდარი

ოთხშაბათს, 1929 წ. 2 იანვარს, საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის კომ. სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის პრ. 21) საღამოს, სრულ 6 საათზე შესდგება ჯგუფური კონსულტაცია თვითგანვითარების წრეების და ინდივიდუალებისათვის—განხილულ იქნება წიგნზე მუშაობის საკითხი.

გაუბედურ. ულნი მშობლები **რაჟდენ გვეტაძე** და **ნინო ბაქრაძე-გვეტაძე**, ძმები: **რამაზ, ნოდარ, ბაადურ და ზაზა გვეტაძეები** გულისტკივილით აცნობებენ მეგობრებს, რომ მოულოდნელათ გარდაიცვალა მა თი საყვარელი და ტკბილი

გურამ

გამოსვენება ბინიდან წერეთლის (განოვის) ქ. 24. ხუთშაბათს, 3 იანვარს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ოთხშაბათს, საღამოს 6 საათზე და ხუთშაბათს დღის 12 საათზე.

ბაბუა მათე გვეტაძე, ბებიები: ალექსანდრა ალავიძე-ბაქრაძისა და ივლიტე გვეტაძე, ბიძა: ნიკოლოზ გვეტაძე და ტასიკო და ლიზა ალავიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

გურამ რაჟდენის ძე გვეტაძის

უდროოთ გარდაცვალებას

გამოსვენება ხუთშაბათს 3 იანვარს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. ბინიდან წერეთლის (განოვის) ქ. 24, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

აკაკი და პასიკო სირაძე, ევგენი და შუშანა წულაძე, აკაკი და ალექსანდრა ჭყონია, შალვა და ქეთევან ბუაჩიძე, სტეფანე ელიაძე და ვასო ნანუაშვილი იზიარებენ

პატარა გურამის

უდროოდ გარდაცვალების გამო.

ალექსანდრა გორგაძისა და ვასო გორგაძე ვაჟით თაიაზით გულისტკივილით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს მეგობრის—რაჟდენ გვეტაძის—პაწაწა ვაჟის

გურამის

უდროოდ დაკარგვას. ნ. 2064

ალექსანდრე ქაჯაია და ელიოზ ხუციშვილი ვუერთდებით ჩვენი მეგობარ-თანამოსამსახურე რაჟდენ და ნინა გვეტაძეების ულრმეს მწუხარებას მათი პატარა

გურამის

უდროოდ გარდაცვალების გამო.

ვანო წულუკიძე, გერმან გიორგაძე, აკა ი გობრონიძე, გიგუცი კოტრაძე, ილია ფაღავა, ვასო იგნატაშვილი, თედო კუნჭულია, შალვა გამყრელიძე, დიტო ლომთაძე, ნიკ. ტყემალაძე, მიხ. კიწურაშვილი და ანტონ კელენჯერიძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხანაგის და მეგობრის რაჟდენ გვეტაძის ვაჟის

პატარა გურამის

გარდაცვალების გამო ნ. [illegible]

საშა გვასალია, თ დო ძლიერიშვილი, საიუჩლ ხვიჩია, ავქრო პარკაძე, ო მარ ჩხეიძე, ლადო ჯალალონია ხუსეინ ნაკაიძე და ლ ვოვტი ჩეჩეავა იზიარებენ მათი ამხანაგებ ს ნინო და რაჟდე გვეტაძეების მწუხარებას

პატარა გურამის

უდროოთ დაკარგვის გამო. ნ. 2063

გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ალი არსენიშვილი, ლელი ჯაფარიძე, ნიკოლოზ მიწიშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, სერგო კლდიაშვილი, შალვა აფხაიძე, კოლაუ ნადირაძე, ივანე ყიფიანი, პაოლო იაშვილი და მათი ოჯახები აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი მეგობრის რაჟდენ გვეტაძის ვაჟის

გურამის

უდროოთ დაკარგვას 1—1 ნ 2867

საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის სააქციო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება ნიჭიერი მხატვარის

გიორგი ბოგდანის ძე იაკულოვის

გარდაცვალებას. ცხედარი თბილისის სადგურზე ჩამოსვენებულ იქნება ოთხშაბათს 2 იანვარს 12 საათზე (თბილისის დროით). სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება სადგურზე 12 საათზე. ნ 2061

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ხელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება ნიჭიერი მხატვარის

გიორგი ბოგდანის ძე იაკულოვის

გარდაცვალებას. ცხედარი თბილისის სადგურზე ჩამოსვენებულ იქნება ოთხშაბათს 2 იანვარს 12 საათზე (თბილისის დროით). სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება სადგურზე 12 საათზე. ნ 2061

რუსთაველის სახელობის თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება ნიჭიერ მხატვარის

გიორგი ბოგდანის ძე იაკულოვის

გარდაცვალებას. ცხედარი თბილისის სადგურზე ჩამოსვენებულ იქნება ოთხშაბათს, 2 იანვარს, 12 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება სადგურზე 12 საათზე, რის შემდეგ ცხედარს გაასვენებენ მოსკოვში ნ. 2061

სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება ნიჭიერ მხატვარის

გიორგი ბოგდანის ძე იაკულოვის

გარდაცვალებას. ცხედარი თბილისის სადგურზე ჩამოსვენებულ იქნება ოთხშაბათს 2 იანვარს (თბილისის დროით). სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება სადგურზე 12 საათზე, რის შემდეგ ცხედარს გაასვენებენ მოსკოვში. ნ. 2061

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება ნიჭიერი მხატვარის

გიორგი ბოგდანის ძე იაკულოვის

გარდაცვალებას. ცხედარი თბილისის სადგურზე ჩამოსვენებულ იქნება ოთხშაბათს, 2 იანვარს, 12 საათზე (თბილისის დროით). სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება სადგურზე 12 საათზე. ნ. 2061

საქართველოს სამხატვრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ნიჭიერი მხატვრის

გიორგი ბოგდანის ძე იაკულოვის

გარდაცვალებას. ცხედარი თბილისის სადგურზე ჩამოსვენებულ იქნება ოთხშაბათს, 2 იანვარს 12 საათზე (თბილისის დროით). სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება სადგურზე 12 საათზე. ნ. 2061

საქართველოს მწერალთა ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება ნიჭიერ მხატვარის

გიორგი ბოგდანის ძე იაკულოვის

გარდაცვალებას ცხედარი თბილისის სადგურზე ჩამოსვენებულ იქნება ოთხშაბათს, 2 იანვარს 12 საათზე (თბილისის დროით). სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება სადგურზე 12 საათზე. ნ. 206

დედა ანასტასია, დეიდები ნინა და ოლია, ძმა ვახო და რძალი მაშო სინაურიძეები, სიძე სანდალა; დისწულები გულსუნდა და ბედია გაჩეჩილაძეები აუწყებენ ნათესავთ, რომ მათ ძვირფასი

ნატაშა სინაურიძის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ძველ სასაფლაოზე 2 იანვარს 1 საათზე 6141

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს 3 იანვარს ლია წარმოდგენა. **ხოზიკას.** კომ. 3 მოქ.

„ხოჭოების დოღი"

დადგმა ალ. ახმეტელისა და კ. პატარიძის
მხატვარი ირ. გამრეკელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში. მუშათ. სასახლე ოთახი № 1.

1—1 ნ. 2055

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	ელენ რიხტერი სურათში **მორალი.** საქკინმრეწვის ჟურნალი № 2
არფასტო	თავის დადგმით გრანდიოზული ფილმი **პასტუს კალინოვსკი** რეჟ. გარდინი (სურათის „პოეტი და მეფე"-ს დამდგმელი).
მინიონი	
სოლეი	სეზონის ახალი სურათი **მეფყერი** რეჟისორ ივ. პერესტიანის დადგმა ოპერატორი—სტანკე
კ პალასი	მხატვრული სურათი **კედელს იქით** მთავარ როლებში ბუჩმა, დიუსი—მეტერ, კოზევსკი.
აპოლო	**კირა კირალინა** პანაიტ ისტრატის რომანის მიხედვით
დარბაზი	მსოფლიო ფილმი **თავდასხმა ვირგინის ფოსტზე**
პროლეტარი ავლაბარი	**თეთრი არწივი**

0—1

მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის

„საქართველოს კ.პ. (ბ) ც.კ.-სა და თბ.კ.-ს მოამბე"-ზე

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ ქართულ და რუსულ ენაზე

ჟურ, „საქ. კ.პ. (ბ)ც.კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე"

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს ხელმძღვანელი ორგანოა პარტაქტივისათვის: ეს ჟურნალი ათავსებს ინფორმაციას საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს პლენუმების, პრეზიდიუმების, სამდივნოების, განყოფილებებისა და კომისიების მუშაობისა და აგრეთვე საქართველოს პარტორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

„საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე"-ში თავსდება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს ყველა რეზოლიუციები, ცირკულიარები და სხვა ოფიციალური მასალები, რომელიც სავალდებულო და სახელმძღვანელოა ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის.

„საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე" უნდა ჰქონდეს ყოველ კომიტეტს, უჯრედსა და პარტიის ყოველ წევრს, როგორც აუცილებელი საჭირო სა[illegible] მათ ყოველდღიურ მუშაობაში.

ჟურნალის ფასი:

1 წლით—2 მან. 00 კაპ.	3 თვით— მან. 55 კაპ.
6 თვით—1 მან. 15 კაპ.	1 თვით— მან. 20 კაპ.

ფული უნდა გადმოიგზავნოს შემდეგის მისამართით: ქ. თბილისი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — საფინანსო განყოფილება.

10—6 ნ. 2011

ჯანყი

ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით

სცენარი და დადგმა

რეჟისორი ა. წუწუნავასი

ოპერ ტ. ა. დიღმელოვი

მალე კინო-თეატრებში აპოლო-პალასი-სოლეი არფასტო-განთიადი.

ნ. 2060

კოოპინკავშირი

არის ცენტრი სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიულ ნადებისა.

სავაჭრო ნადი „გლარჯა"—ლადო დუმბაძის ქ. № 12 ტელ. 25—08 საწარმოო „ტექნოცხიმი" საცხის ქარხანა, რეუტოვის ქ. № 4. „კომუნა" საკონსერვო ქარხანა—კომუნალური ქ. № 123 და სხვა.

კოოპინკავშირის გამგეობა.

ნ. 2058 განოვის ქ. № 7.

ჟურნალი

„ტექნიკა და ცხოვრება"

პროფსაბჭოსთან არსებულ ინჟ. ტექნიკოსთა ცენტრალურ ბიუროს და საქართველოს ტექნიკური საზოგადოების ყოველთვიური ორგანო

მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის ტექნიკური და სამრეწველო-ეკონომიური საკითხების გაშუქებას, მისი საწარმოო ძალთა განვითარებისათვის და ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოკვლევა-გამოყენებისა და ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცებისათვის ხელის შეწყობას.

1929 წლიდან დიდი ადგილი დაეთმობა პოპულიარულ წერილებს კვალიფიციური მუშების ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლების მიზნით.

ჟურნალი ღირს ერთი წლით 4 მან., ნახევარი წლით—2 მ. 50 კ.; დაწესებულებისათვის 5 მ., ნ. ხ. წლით—3 მან.

მისამართი: თბილისი. რუსთაველის პრ., 17, მუშათა სასახლე, ოთახი № 16, ტელ. პროფსაბჭოს ქვ. სადგ., № 17. 6139 2—2

საქ. პროფკავშირების კოოპერატიული გამომცემლობა

„შრომა"

გამოვიდა და იყიდება:

კედლისა და მაგიდის კალენდრები

კედლის კალენდრის ფასი 60 კ. || მაგიდის კალენდარი – 3 მან. (ფიცრით)

ბითუმად მყიდველებს მიეცემათ 20 პროც. დათმობა

გამოვიდა და იყიდება ბროშურები:

განადგურება Разгром)—ფადეევ ს.

სიბრძნე-სიცრუისა—სულხან საბა ორბელიანის.

ვეფხის ტყაოსანი ჯიბის (ფ. 1 მან.) ძვირფას ყდაში.

მიჯამაგირე და მოჯამაგირე ქალის შრომა.

სოფლის მეურნეობაში—ფ. 40 კაპ.

რა არის და როგორ უნდა დაიდვას კოლხელშეკრულება—შალიკოვის—ფ. 30 კაპ.

დროებითი საკონტროლო—კომისიები და მათი მნიშვნელობა—ს. გოლუბრელიძის—ფ. 25 კ. და სხვა ლიტერატურა.

მ ხამართ.). მუშათა სასახლე № 17. გამომც. შრომა.

სურამ-ბორჯომის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ი. ქურდევანიძე

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 9 იანვარს დღის 10 12 საათზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ქ. ბორჯომში, ორ სართულიან ქვიტკირის სახლს დახურულს კრამიტით (ზედა სართული 4 ოთახით, სამზარეულო, საკუჭნაო, ქვედა ერთი დიდი საწყობით) მდებარე ქ. ბორჯომში ჯორჯაძის ქუჩა № 5 კუთვნილს ქ. ბორჯომში მცხ. აბგარ გრიგოლის ძე აკოფოვისა შეფასებულის 500 მან. ქ. ბორჯომის აღმასკომის, ტუსიაშვილის და ჩიტიაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად. თანახმად ბორჯომის სახ. სას მართლოს სამთ. აღმასრ ფურცლისა №№ 2054, 554 და 551-ს 22 ნოემბ. 27 წ. ვაჭრობის დროს დაცულ უნდა იქნეს სამ. სამ. საპრ. კოდ.—311, 312 და 313 მუხ. 614

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" კუთ. „ნოეს", პიოდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხ ოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25 3

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფი ა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებ თა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპირეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ი.

სამალარიო და პარაზიტულ სნეულებათა

დისპანსერი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე (გარდა უქმეებისა) ნაშუადღევის 5-9 საათამდე. (წინასწარი ჩაწერა 4-7 საათ.) კეცხოველის (ყოფ ლორის-მელიკოვის ქუჩა) № 9. ტელეფონი № 24—35. 6067 6 4

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

შ. ს. ლაგაძე

აცხადებს რომ ის 1929 წ. 14 იანვარს ჭიათურის სამრეწველო რაიონში, რგანის ლელ ზე გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** მმ. ა. და გ. ქავთარაძეების შავი ქვის სარეცხ ქარხანას თავის მოწყობილობით და ყოველივე საბინაო შენობებით და შავ-ქვას დაყრილი ჩამოსაშვებზე დაახლოვებით 400.000 ფუთს, დაფასებულს 19.100 მან. დასაკმაყოფილებლად ს.ს.ს.რ. კავშირთა საბჭოს საქმეთა მმართველობის და კოტა რატიანის, პარმენ ლაბაძის და სხვ. ვალის, თანახმად აღმასრულებელი ფურცლებისა და ბრძანებისა გაცემულის თბილისის 1 უბნის სახ. სასამართლოსი და შრომის სახ. სასამართლოსი და სხვ. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შეობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული სამ. საწ. კოდ მე 311 მუხ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი, გარდა სახელმწიფო დაწესებულების და საჭარეოოსი.

თუ ამ დღეს საჯარო ვაჭრობა არ შესდგა მეორეთ მოხდება 22 იანვარს. ნ. 2057

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.) 1929 სასწ. წლის მათემატიკასა და რუსულ ენაში

ქალლეს სასწავ., 4 წლედის მოწ. ობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა სა ნებში შეუწყლედ ს ყვე ა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფი შესავალი ს კონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.

პლეხანოვის ქ. და ჩერნიშევის ქუჩ. კუთხე 25 | 5.

ახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ. 7613 2—2

ქ. ქუთაისი

ექიმი

თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგან სნეულება—სპეციალ ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით. ნ. 25—11

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს სამარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) [illegible]

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი. შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: [illegible] № 10 ნ. 25—19.

ექიმი

ა. დ. კეკელია

[illegible]

ექ. დ. ლ. თევზაძე

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებები [illegible]

[illegible] ნ. 21—1

[illegible] ნ. 20.5